მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საჯარო ბიბლიოთეკა

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

დღიური

- კალიშში პოლიციამ დახვრიტა უმუშევართა დემონსტრაცია.
- ჩან-ძო-ლინსა და უ-პეი-ფუს შორის შეთანხმება მოხდა
- საფრანგეთის პრესა მოითხოვს განიარაღების კონფერენციის გადატანას ექს-ლე-ბენში, ჟენევის ნაცვლად.
- გერმანია-ესპანეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო.
- ბელგია უკმაყოფილოა საფრანგეთის საბაჟო პოლიტიკით.
- სირიის მოსახლეობა ბოიკოტით შეხვდა საქალაქო არჩევნებს.

ხუთშაბათი, 11 თებერვალი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 33 (1488)

განათლების მუშაკთა სრულიად საქართველოს ყრილობისათვის

დღეს საბჭოთა საქართველოს ყველა კუთხეებიდან იკრიბებიან განათლების მუშაკნი, რომლებიც იღწვიან კულტურის ყველა დარგებში. ყრილობას დაესწრებიან ჩვენი მასიური სკოლის, მეორე საფეხურის სკოლის, პროფტეხნიკური განათლებისა და პოლიტ-განათლების მუშაკები. მათი უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს, რასაკვირველია, იმაში, რომ მოისმინონ კავშირის ცენტრალური გამგეობის ანგარიში, შეაფასონ ის საქმიანად და გამოარკვიონ, თუ როგორ მუშაობდა კავშირი მასწავლებლობის ეკონომიური და კულტურული დონის ასაწევად, რა გააკეთა მან კავშირის განსამტკიცებლად სოფლის ინტელიგენციასთან, რა გააკეთა მისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ჩვენი მუშაკები გაარჩევენ, რასაკვირველია, ყველა გარემოებებს, ყველა პირობებს, ყველა სიძნელეთ, რომლებშიც უხდებოდა მუშაობა კავშირს და ობიექტიური მიზეზებისა და საერთო სახელმწიფოებრივი პირობების სრული გათვალისწინებით მიუდგებიან კრიტიკით კავშირის მოღვაწეობას.

რომ მასწავლებლობის ნივთიერი მდგომარეობა, მიუხედავად ერთგვარი უმნიშვნელო გაუმჯობესებისა, მაინც მძიმეა, ამის დაფარვა არავის არ სურს და არც შეუძლია და რომ პირველი ღონისძიება, რომელიც უნდა მიიღოს სახელმწიფომ და, რასაკვირველია, მიიღებს კიდეც, მიმართული უნდა იქნეს მასწავლებლობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ჩვენ ვიცით, რომ განათლების მუშაკებს შეუძლიათ არა მარტო ფაქტების აღნიშვნა, არამედ მათი გაგებაც და ამიტომ ისინი კარგად მიხვდებიან, რისი გაკეთება შეეძლო კავშირს და რა ვერ გააკეთა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყრილობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა მით, რომ იქ ჩვენ მოვისმენთ არა მარტო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენებას თავის მუშაობის სიძნელეებზე და მიღწევებზე, არამედ აგრეთვე მოხსენებებს საბჭოთა აფხაზეთის და საბჭოთა აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატებისაგანაც. ჩვენს ვის თვალსაჩინო გახდება, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ამ ხუთი წლის განმავლობაში ყოველმხრივ აღორძინდა ჩვენი რესპუბლიკების ხალხთა კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხები თავ-თავისთვის ცალ-ცალკე (ავტონომიურად) ცხოვრობენ, მაგრამ მათ შორის ურთიერთ გაგება, კავშირი და ერთობა გაცილებით უფრო მეტი და ღრმაა, ვიდრე ოდესმე იყო. ეხლა ჩვენ ვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას ერთიანი გეგმით, ვხელმძღვანელობთ რა საერთო მიზნებით და პრინციპებით. კერძოთ სახალხო განათლების სისტემა, რომელიც ისახავს ერთ მთავარ მიზანს—ახალგაზრდობის აღზრდას სოციალისტური შრომის პრინციპების მიხედვით და მთელი მოსახლეობის მომზადებას კომუნისტურ ნიადაგზე—ეს სისტემა ჩვენ ყველას ერთი გვაქვს.

ყველასათვის ნათელი გახდება, რომ თვითეული რესპუბლიკა საძირკველს უყრის თავის ფორმით ნაციონალურ, ხოლო შინაარსით კლასიურ, პროლეტარულ კულტურის, რის გამოც ამ სახელმწიფოთა ინტერესები, ამოცანები და ღონისძიებანი საერთო და განუყოფელია.

საქართველოს განათლების სახ. კომისარიატი პირველად არ აკეთებს მოხსენებას განათლების მუშაკთა ყრილობაზე; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ეხლა ჩვენ უკვე უფრო გაბედულად, უფრო რეალურად შეგვიძლია აღვნიშნოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიღწევები ჩვენს მუშაობაში. თბილისის სკოლები, საბავშვო ბაღები და საბავშვო სახლები, ტეხნიკუმები, მუზეუმები და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები ყოველთვის ღია იქნება ყრილობის დელეგატებისათვის, რათა ისინი საკუთარი თვალით დარწმუნდნენ, რომ საქართველოს კულტურული აღმშენებლობა მტკიცე საბჭოთა ნიადაგზე სდგას, იზრდება და ფართოვდება. განათლების სახ. კომისარიატის მუშაობა მტკიცე საფუძველზე სდგას აგრეთვე მაზრებშიაც, სადაც იზრდება ბავშვების და ახალგაზრდობის კოლექტიური აღზრდელობის დასაყრდენ პუნქტების რიცხვი. თუ წარსულ ყრილობაზე ჩვენ აღვნიშნეთ საბავშვო ბაღების და საბავშვო სახლების უქონლობა სოფლად, მას შემდეგ ჩვენ შევძელით გაგვეხსნა და დაგვეარსებინა რამოდენიმე ათ-სეული ასეთი დაწესებულება. თუ წარსულ ყრილობაზე ჩვენ მხოლოდ ვადგენდით გლეხური ახალგაზრდობის სკოლების ორგანიზაციის პროექტებს, მიმდინარე წელს ჩვენ უკვე გვაქვს გლეხური ახალგაზრდობის 17 სკოლა, რომლებიც უკვე გახდნენ მთელი რიგ სასოფლო თემების მშრომელი მოსახლეობის კულტურულ ცენტრებათ.

გარდა ამისა, მე მგონია, ჩვენ საკმაოთ გავაუმჯობესეთ 1-ლი და მე-2 საფეხურის სკოლებისათვის სახელმძღვანელოების მიწოდების საქმე, გავაუმჯობესეთ ამ სახელმძღვანელოების ხარისხი. ჩვენ წინ გველოდება ბევრი სიძნელეები, მრავალი ხელშემშლელი პირობები, გვაქვს ბევრი ნაკლი, ამის შესახებ ვილაპარაკებთ ყრილობაზე.

ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მოვისმინოთ ამ ყრილობაზე ჩვენი სოციალისტური კულტურის მშენებლებს—ადგილებზე მომუშავე მასწავლებლებს. მოვისმინოთ მათ წინაშე მდგარ სიძნელის, დაბრკოლებების, მათი მტკივნეული ადგილების შესახებ, მოვისმინოთ მათი ამხანაგური, საქმიანი კრიტიკა ჩვენი მუშაობის შესახებ და მგონია, რომ საერთო ძალებით, საერთო ენერგიული მუშაობით—საქართველოს კულტურული აღმშენებლობის საქმეს ჩვენ წინ წავსწევთ.

მარიამ ორახელაშვილი.

დანაშაულობა ლატვიაში

(ტელეგრაფით მოსკოვიდან)

ჩვენ დიპლომატიურ კურიერებს—პროლეტარულ რევოლუციის ორი ჯარისკაცს მატარებელში მკვლელები დაესხნენ მათი მკვლელობა მოხდა მეტად უცნაურ პირობებში, (ცხადია იმ მიზნით, რომ ხელში ჩაეგდოთ დიპლომატიური მასალები. როგორც სჩანს, თავდამსხმელებს იმედი ჰქონდათ, ისეთ დოკუმენტებს რომ ნახავდენ, რომელიც საბჭოთა მთავრობას ამხილებდა კაპიტალისტური მსოფლიოს თვალში. აგრეთვე ისინი დარწმუნებული ყოფილან, რომ თუ ასეთ აღმოჩენისათვის საბჭოთა კურიერებს მოჰკლავდნენ, მათი ღვაწლი მატერიალური ჯილდოებით სათანადოთ დაფასებული იქნებოდა კაპიტალისტურ საზოგადოებრივ აზრისა და მისი ორგანოების მიერ.

ფიქრობდნენ თუ არა ისინი გარდა ძვირფას დოკუმენტებისა და ასაფეთქებელ ნივთიერებისა, აგრეთვე ოქროც აღმოეჩინათ პირადი მოხმარებისათვის—ეს უკვე მესამე ხარისხოვანი საკითხია. მათ არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ, რომ ოქროს საკმაოთ მიიღებდნენ, თუ „ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს“ წარმოადგენდნენ. ბოროტმოქმედების ჩადენის მექანიკა არავითარ იჭვს არ იწვევს.

საბჭოთა რესპუბლიკის კურიერებმა დაამტკიცეს, რომ კარგი სკოლა აქვთ გავლილი. მიუხედავად ყოვლისმხრივ მომზადებული ბოროტმოქმედებისა, რევოლუციის ჯარისკაცები არ დაიბნენ. ვერაგულ თავდასხმის დროს იქვე მიაწვინეს ორივე ბანდიტი (ნუ თუ დასაჯერებელია, რომ მხოლოდ ორი იყო?) მათ ძვირად დაუჯდათ თავიანთი მოვალეობის შესრულება. თეოდორ ნეტტე უსულოდ დაეცა. იოჰან მახმასტალი მძიმედ დაიჭრა. მაგრამ მათ დაიცვეს, რაც მიბარებული ქონდათ; თვითეული საბჭოთა მოქალაქის გული არა მარტო აღშფოთებით, არამედ სიამაყით აძგერდა, როცა მოვიდა პირველი ცნობა ბოროტმოქმედების შესახებ: აი, როგორი არიან რევოლიუციის ჯარისკაცები.

შემდეგ იწყება მეორე აქტი, სცენაზე გამოდის ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრი. ის დარწმუნებულია, რომ ბოროტმოქმედებას სისხლის სამართლის ქმედობის ხასიათი ჰქონდა. ის აცნობებს ამის შესახებ პრესას. ლატვიის პრესა და მასთან ერთად მთელი მსოფლიოს ესოდინ უანგარო, სინდისიერი კაპიტალისტური პრესა იმეორებს ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებებს. საიდან წარმოსდგება მინისტრის ასეთი რწმენა? რატომ იჩქარის გამოაქვეყნოს ეს ცნობა კვლევ-ძიების შედეგების გამორკვევამდე? არა რატომ, არამედ რისთვის, აი ასე უნდა დავაყენოთ კითხვა. მინისტრს აშკარათ სურს გამოძიებას მიზნობრივი მიმართულება მისცეს. საჭიროა კვლევაძიება მიმართული იქნას სისხლის სამართლის მიზნისკენ. რისთვის? რათა მას პოლიტიკური მიზანი ჩამოაშოროს.

მინისტრი ისე იჩქარის, თითქოს მის ამოცანას კვალის დაფარვა შეადგენდეს. ვფიქრობთ, რომ თვით უკიდურესი ბურჟუასათვისაც ეს საბუთები საკმაო უნდა იყოს, რომ ამ ბოროტმოქმედებაში პოლიტიკური მიზნები დაინახოს. ვფიქრობთ, რომ ოფიციალური მდგომარეობის გამო მინისტრს უნდა გამოეჩინა თუ მიუდგომლობა არა, ყოველ შემთხვევაში სიფრთხილე მაინც. გამოძიების დამთავრებამდე ჩვენ თავს ვიკავებთ დასკვნების გაკეთებისაგან თავდასხმის ამოცანებისა და მიზნების შესახებ. მაგრამ არა, მინისტრი ვერ ითმენს. ვილაცას ზრახვის დამარცხებამ, რომელიც სისხლით იქნა გამოსყიდული, მინისტრს მოთმინება დაუკარგა.

იმის მაგიერ, რომ ფრთხილად დამჯდარიყო ტელეფონთან, წყნარათ მოესმინა, წყნარათ ეპასუხნა, მინისტრი მოედანზე გამოვარდა და დაიძახა: „თავდასხმას წმინდა სისხლის სამართლის მოქმედების ხასიათი აქვს. ამას გელაპარაკებით მე—ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრი!“

გვჯერა. მინისტრს კარგად ესმის ასეთი საქმეები. მაგრამ თვით მინისტრს ჩვენ არ უჯერით. ის ძალიან ნერვიულობს. ის ძალიან იჩქარის. მისი საქციელი არა თუ უცნაურია, არამედ საშინელიც. ასეთ საქციელს ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ორგანომ, რომელიც ამ საქმეს აწარმოებს. გამომძიებელმა უნდა დაჰკითხოს თვით მინისტრი, რა თქმა უნდა, მოწმის სახით; ჯერ-ჯერობით მხოლოდ როგორც მოწმე... ან შეიძლება როგორც ექსპერტი.

ლ. ტროცკი.

მოსკოვი, 10 თებ.

ფრანგების კრიტიკული მდგომარეობა სირიაში

ვახაბიტები სირიის საზღვრებს მიუახლოვდნენ

ფრანგების ჯარებმა დასტოვეს ლივანის რაიონი.—ჩრდილოეთ სირიაში აჯანყებულები წინ მიიწევენ

საფრანგეთის კომისარმა ბრძანება მიიღო სასწრაფოდ ჩამოაგდოს ზავი დრუზებთან

საქალაქო არჩევნები

ანგორა, 9 თებ. საქალაქო არჩევნები სირიაში სრულიად ახალ მარცხს წარმოადგენს ფრანგებისათვის. **არჩევნებს ადგილობრივმა მოსახლეობამ სრული ბოიკოტი გამოუცხადა.**

საფრანგეთის უმაღლესი კომისარი დე-ჟუვენილი ამ საარჩევნო დამარცხებას ხსნის ადგილობრივ მოსახლეობის პოლიტიკური მოუმზადებლობით.

დე-ჟუვენილი ქრისტიანებს ამხედრებს მაჰმადიანების წინააღმდეგ

ანგორა, 9 თებ. დე-ჟუვენილმა მოწოდებით მიმართა სირიის ქრისტიან მცხოვრებლებს, რომ იარაღით შეებრძოლონ აჯანყებულთ.

დრუზების ბელადმა სოლთან-ელ-ატრაშმა გამოუშვა საპროტესტო მოწოდება, რომლითაც ჰკიცხავს ჟუვენილის მიერ ქრისტიან მოსახლეობის ამხედრებას აჯანყებულ მაჰმადიანების წინააღმდეგ.

ელ-ატრაში აღნიშნავს, რომ აჯანყება ნაციონალურ ხასიათისაა და არა სარწმუნოებრივის. იგი მიმართულია არა ფრანგი ერის, არამედ საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ვახაბიტები ჯებელ-დრუზის საზღვრებზე

ანგორა, 9 თებ. 6,000-მა ვახაბიტმა [illegible] ელ აზრაკის უდაბნო და მიადგა დრუზების მოსაზღვრე ნაპირებს.

დრუზების ბელადმა ელ-ატრაშმა წარმომადგენლები გაგზავნა ვახაბიტების მისალოცად. საფრანგეთის ხელისუფლება ძალიან შეშფოთებულია ვახაბიტების გამოჩენით ჯებელ-დრუზის საზღვრებზე.

აჯანყებულთა მოქმედება ჩრდილოეთ სირიაში

ანგორა, 9 თებ. ჩრდილოეთ სირიაში **მომქმედ აჯანყებულთა რაზმმა ალეპო-რაშაკ შუა დაარღვია რკინისგზის ლიანდაგი 100 მეტრის მანძილზე.** გზის შესაკეთებლად ფრანგებმა გაგზავნეს რამდენიმე ჯავშნიანი მატარებელი, რომელთა დახმარებითაც სწარმოებს მუშაობა.

უკანასკნელი ღონისძიება

ლონდონი, 9 თებ. „მორნინგ პოსტი“ იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაავალა თავის სირიელ კომისარს დე-ჟუვენელს ყოველი ღონე იხმაროს დრუზებთან **მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ, რადგან კამპანიის გაგრძელებისათვის აღარ მოიპოვება საშუალება და ცოცხალი ძალები.** ეს დავალება მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს დე-ჟუვენელს.

დე-ჟუვენელი მიემგზავრა ანგორაში

ანგორა, 9 თებ. საფრანგეთის უმაღლესი კომისარი სირიაში დე-ჟუვენელი გაემგზავრა ანგორაში.

ფრანგები უკან იხევენ

პარიზი, 10 თებ. ცუდი ამინდის გამო ფრანგმა პარტიზანებმა, რომლებსაც ეკავათ ლივანის მასივი, უბრძოლველად უკან იხიეს დამასკისაკენ.

ფრანგების ძალადობის წინააღმდეგ

ანგორა, 9 თებ. ინდოელ მუსლიმანების სხვადასხვა ორგანიზაციებმა გამოაქვთ სასტიკი საპროტესტო რეზოლიუციები ფრანგების ძალადობის წინააღმდეგ სირიაში. რამოდენიმე დღის წინ კალკუტის მუსლიმანებმა ასეთი პროტესტი გაუგზავნეს ერთა ლიგას.

უმუშევართა დახვრეტა კალიშში

ვარშავა, 9 თებერ. კალიშში გაიმართა უმუშევართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია, რომელიც მიემართებოდა ქალაქის საბჭოს შენობისაკენ და მოითხოვდა სამუშაოს ან დახმარების მიცემას. უმუშევრებმა მედგარი იერიშები მიჰქონდით საბჭოს შენობაზე. **ქვეითა და ცხენოსან პოლიციის რაზმებმა იერიშები მიიტანეს დემონსტრანტების წინააღმდეგ და აუტეხეს სროლა, რასაც 9 მუშის მოკვლა და 60 ის დაჭრა მოჰყვა.** შეტაკების დროს მოკლული იქნა აგრეთვე ორი პოლიციელი.

უმუშევართა დახვრეტის გამო დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის დეპუტატმა ბალინმა მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა სეიმში. მან მოითხოვა კალიშის ამბების დაუყოვნებლივ განხილვა სეიმში და საქმის სასწრაფოთ გამოძიება.

ბალინის წინადადება უარყოფილი იქნა ხმების უმრავლესობით.

ჟენევის ნაცვლად ექს-ლე-ბენი

პარიზი, 9 თებერ. იმ შემთხვევაში, თუ უშედეგოთ დამთავრდა საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება შვეიცარიასთან, საფრანგეთის პრესა განიარაღების წინასწარ კონფერენციის მოწვევის ადგილად ექს-ლე ბენს ასახელებს.

ჩინეთის ამბები

შეთანხმება ჩან-ძო-ლინსა და უ-პეი-ფუს შორის

ტოკიო, 9 თებერ. ამერიკელთა გაზეთი, „ჯაპან ადვერტაიზერი“, რომელიც ტოკიოში გამოდის, იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინის საგარეო საქმე[illegible] **ადასტურებს ცნობას ჩან ძო-ლინსა და უ-პეი-ფუს შორის შეთანხმების მიღწევის შესახებ,** რომლითაც ჩან-ძო-ლინს ეძლევა მოქმედების თავისუფლება მანჯურიაში, ხოლო-უ-პეი-ფუს ჩინეთის დანარჩენ ნაწილში.

ხარბინში და მუკდენში მცხოვრებ უცხოელების აზრით, ამბობს გაზეთი, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა იქნება მუდმივი გაუგებრობის წყარო, ვიდრე იქ რუსეთის გავლენა არ მოისპობა. ჩან-ძო ლინი ამჟამად უცდის მხოლოდ შესაფერ შემთხვევას, რომ ხელახალა ხელში ჩაიგდოს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

გერმანია-ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო დამოკიდებულება

ლონდონი; 9 თებერვ. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატაში მუშათა პარტიის დეპუტატმა სკერმა შეიტანა შეკითხვა—**იცის თუ არა მთავრობამ, რომ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის სწარმოებს მნიშვნელოვანი ვაჭრობა, რომ ამ ვაჭრობას ზრდის ტენდენცია აქვს და გერმანიის სახ. მეურნეობის აღდგენის საქმეში ის დიდ როლს შეასრულებს.** სკერმა აღნიშნა, **რომ საბჭოთა კავშირი გერმანიაში ღებულობს მნიშვნელოვან სესხს 12 თვის ვადით, რაც კიდევ უფრო აადვილებს სავაჭრო ურთიერთობას ორივე სახელმწიფოს შორის.**

სკერი კითხულობს—აპირებს თუ არა მთავრობა მიიღოს ზომები ინგლისსა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთი-ერთობის გაუმჯობესებისათვის. და ამით შეანელოს ინგლისში გაბატონებული სავაჭრო დეპრესია და მოსპოს ის შედეგები, რომელიც შეიძლება მოჰყვეს გერმანიასა და ინგლისის ქიშპობასი

ვაჭრობის მინისტრმა კენლიფ ლისტერმა განაცხადა, რომ მას აქვს ცნობები საბჭოთა კავშირის და გერმანიის სავაჭრო ურთიერთობის ზრდის შესახებ, მაგრამ ეს ვაჭრობა გერმანიის მთელი საგარეო ვაჭრობის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. შემდეგ კენლიფ ლისტერმა განაცხადა, რომ მას აქვს აგრეთვე ცნობები გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირისათვის კრედიტის მიცემის შესახებ, მაგრამ არ იცის ამ კრედიტის რაოდენობა. რაც შეეხება შეკითხვის უკანასკნელ ნაწილს, ის ფიქრობს, რომ ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელიც შესაძლებელია არსებულ პირობებში, შეიძლება წარმოებულ იქნეს ინგლის-საბჭოთა კავშირის 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულების საფუძველზე.

„ამ ვაჭრობის სიდიდე, განაცხადა კენლიფ ლისტერმა,—თავის თავად ცხადია, დამოკიდებულია იმისგან, თუ რამდენად ხელსაყრელ პირობებს შექმნის საბჭოთა კავშირი, ინგლისის სავაჭრო წრეების ნდობის უზრუნველსაყოფად“.

მანქანები საბჭოთა მადნეულობის სამაგიეროდ

ვარშავა, 9 თებ. პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის ინიციატივით ვარშავაში გაიმართა კრივოროგის ლითონტრესტის წარმომადგენლის მატროზოვის თათბირი პოლონეთის ლითონის მრეწველობის წარმომადგენლებთან. თათბირი იხილავდა საკითხს საბჭოთა ლითონის მრეწველობისათვის საჭირო მანქანების გაცვლის შესახებ საბჭოთა რკინის მადანში.

პოლონეთის მრეწველები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირთან ნორმალური ეკონომიური ურთიერთობათა დამყარება.

საბჭოთა კავშირის კონცესიები სპარსეთში

თეირანი, 9 თებერვ. სპარსეთის საზოგადოებრივ მუშაობის მინისტრმა მეჯლისს წარუდგინა პროექტი კონცესიისა, რომლის თანახმად საბჭოთა კავშირის განკარგულებაში გადადის თევზის დასაჭერი ადგილები კასპიის ზღვაზე.

პროექტი მეჯლისმა საზოგადოებრივ სამუშაოთა კომისიას გადასცა.

ავსტრიის ელჩი ამხ. ლიტვინოვთან

მოსკოვი, 10 თებერვ. ავსტრიის ელჩმა პოლმა 8 თებერვალს ინახულა გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილე **ლიტვინოვი,** რათა განეხილა ის გაუგებრობანი, რომელიც აღმოცენდა იმ პირთა პროცესთან დაკავშირებით, რომელთაც ბრალდებათ სრულუფლებიან წარმომადგენელ ბერზინზე თავდასხმის ცდა.

ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავსტრიის მთავრობა აღშფოთებულია თავის შეფარების უფლების ბოროტად გამოყენებით, რაშიაც დამნაშავენი არიან ის პირები, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ თავდასხმის ცდაში. შემდეგ პოლმა აღნიშნა, რომ ავსტრიის მთავრობის მიერ დაგმობა კონსპირატიული მოქმედების, რომელიც ამ შემთხვევაში მიმართული იყო საბჭოთა კავშირის პატივცემულ სრულუფლებიან წარმომადგენლის წინააღმდეგ, გამოიხატა იმ ენერგიაში, რომლითაც ავსტრიის მთავრობამ ჩაატარა სისხლის სამართლის გამოძიება. ამას მოწმობს საქმის საჯარო გარჩევის მსვლელობა და ოფიციალური ბრალმდებლის გამოსვლა.

ლიტვინოვმა ეს განცხადება მიიღო ცნობათ და განაცხადა, რომ პოლის განცხადების თანახმად მოელის ავსტრიის ხელისუფლების მიერ სათანადო ზომების მიღებას ავსტრიის ტერიტორიაზე მყოფ იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც დასახული აქვთ ბოროტმოქმედებითი ხასიათის მიზნები, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა დიპლომატიურ კურიერებზე თავდასხმის გამო

ჩიჩერინის ბრძანება

მოსკოვი, 10 თებერ. ჩიჩერინის ბრძანებაში საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის მიმართ აღნიშნულია, რომ ნეტტემ და მახმასტალმა გამოიჩინეს თავიანთი რევოლიუციონური მოვალეობის განსაკუთრებული შეგნება და გმირული მოქმედება, როდესაც მათ ვერაგულად ბანდიტები დაესხნენ თავს დიპლომატიური ფოსტის გასაძარცვავად.

დიპლომატიურ კურიერ ის ნეტტეს დაკრძალვა

მოსკოვი, 9 თებ. 9 თებერვალს დიპლომატიურ კურიერის ნეტტეს ნეშტი საფლავზე გააცილეს მოსკოვის მუშების მრავალრიცხოვანმა დელეგაციებმა, ჩიჩერინმა, ლიტვინოვმა და საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის თანამშრომლებმა.

ვაგანკოვის სასაფლაოზე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა ლიტვინოვმა, ვაჭრობის სახ. კომისარიატის სახელით—განეცკიმ, სოკოლნიკის რაიკომის წარმომადგენელმა ერმოლაევმა და სხვებმა, რომლებმაც [illegible] ნეტტეს რევოლიუციონური გმირობა დიდხანს აღაფრთოვანებს. მუშათა კლასი მუდამ შეინარჩუნებს რევოლიუციის ერთგული ჯარისკაცის საუკეთესო ხსოვნას. ნეტტეს საფლავზე მიტანილი იქნა 20-ზე მეტი გვირგვინი.

ლატვიის ელჩმა ოზოლსმა ნეტტეს საფლავზე მიიტანა გვირგვინი წარწერით: „საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ კურიერს ლატვიის დიპლომატიურ მისიისაგან“.

სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების შესახებ

სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება (ანუ, როგორც ჩვენში უწოდებენ, სამუშაო ხელფასის უნიფიკაცია), ნაწილობრივ უკვე ტარდება ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ნაწილში. მისი გატარება დღის წესრიგშია დასმული ჩვენშიც და, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს განხორციელდება 26—27 წლის ბიუჯეტში.

სანამ შევეხებოდეთ სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების პრინციპებს და მიზნებს, საჭიროა შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორ ეწყობოდა წინად სამუშაო ხელფასის ფონდები სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში.

საქმე იმაშია, რომ ხარჯებს სამუშაო ხელფასზე ჩვენს ბიუჯეტში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს და საჭიროა გარკვეული და სწორი პრინციპები ამ ფონდების გამოსაანგარიშებლად ისე, რომ ეს ფონდები ერთის მხრივ შეეფერებოდნენ ცალკე უწყების ნამდვილ მოთხოვნილებებს, ხოლო მეორე მხრივ არ უჩვენებდნენ იმაზე მეტ თანხებს, რომელიც შეიძლება გაღებული იქნეს.

მაშასადამე, პირველად შემოღებული იყო ფონდის გამოანგარიშების პრინციპი ამა თუ იმ დაწესებულების საშუალო ხელფასის მიხედვით, მაგალითად ასე: ამა თუ იმ დაწესებულებაში შტატი შესდგებოდა 220 კაცისაგან, საშუალო სატარიფო ხარისხი იყო 9; თუ ამ მეცხრე ხარისხს ეთანაბრებოდა (სატარიფო განაკვეთით) 25 მანეთი, მაშინ ხელფასის ფონდი მიიღებოდა საშტატო ერთეულის (220) გადამრავლებით საშუალო განაკვეთზე (25 მ.) და საერთო ფონდი ამგვარად გამოიხატებოდა 5500 მანეთში.

ხელფასის ფონდის გამოანგარიშების ასეთი პრინციპით, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა სისწორით ხელფასის განსაზღვრა (ანუ სწორი ნორმიროვკა), ვინაიდან საშუალო განაკვეთი შეიძლებოდა ყოფილიყო შემთხვევითი და სავსებით ვერ გამოხატავდა ამა თუ იმ დაწესებულებისათვის საჭირო თანხას, რადგან თვით თანამშრომლების განაწილება სატარიფო ხარისხების მიხედვით არ ყოფილა მუდმივი. ამასთანავე სხვადასხვა უწყებებში ერთი და იგივე თანამდებობის სატარიფო განაკვეთი (განაწილება სატარიფო ხარისხების მიხედვით) სხვადასხვანაირი იყო და ამგვარად ხშირად იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მაგალითად, სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის საქმის მწარმოებლის სატარიფო განაკვეთი უდრიდა მე-8 ხარისხს და ასეთივე საქმის მწარმოებელის განაკვეთი, ვსთქვათ, იუსტიციის სახ. კომისარიატში—მე-10 ხარისხს.

ასეთმა ტარიფიკაციამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთი და იგივე თანამდებობა მუშაობის ერთნაირი სირთულით სხვადასხვანაირ სატარიფო განაკვეთში იყო მოთავსებული (და მაშასადამე ხელფასიც სხვადასხვანაირი იყო).

იმისათვის, რათა შეტანილი ყოფილიყო სახელმწიფო დაწესებულებათა ხელფასის განაწესრიგებაში რამდენიმეთ მაინც ერთნაირი ნორმები, შემოღებული იქნა პრინციპი, რომლის მიხედვით ერთნაირი თანამდებობა ყველა დაწესებულებებში ერთნაირ სატარიფო განაკვეთში თავსდებოდა, ე. ი. მაგალითად, საქმისმწარმოებლები ყველა უწყებაში გადიოდენ მე-8 ხარისხით, მანქანაზე გადამწერები მე-8 ხარისხით, რეგისტრატორები მე 6-თი და სხვა.

ერთის შეხედვით, შეიძლებოდა მიგვეღწია ერთგვარ წონასწორობისათვის შრომის ხელფასის საქმეში.

მაგრამ პრაქტიკაში საქმე სხვანაირად წავიდა. თუმცა მუშაკები მუშაობის ერთნაირი სირთულით ერთნაირ ხარისხში იყვნენ მოთავსებული, ფაქტიურად სხვადასხვანაირ ხელფასს იღებდნენ, ვინაიდან ადმინისტრაცია სხვადასხვა თანხებიდან (ხარჯთაღრიცხვის სხვა მუხლებში გათვალისწინებული თანხებიდან) აძლიდნენ თავიანთ თანამშრომლებს სპეციალურ „დამატებას“, პროცენტულ „დატვირთვას“ და სხვ.

და ისევ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთი და იგივე თანამდებობის ხელფასი არა მარტო სხვადასხვა დაწესებულებებში, არამედ ერთსა და იმავე დაწესებულებაში, სხვადასხვანაირი იყო. ასე მაგალითად საბჭოთა კავშირის დაწესებულებებში უფროს საქმისმწარმოებლებს ეძლეოდათ 55 მან.—125 მანეთამდე, ამასთანავე ათნაირი განაკვეთი არსებობდა. ასეთი მაგალითები ბევრია და უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს დაწესებულებებში ასეთნაირათვეა აჭრელებული შრომის ხელფასი.

საკითხის მეორე მხარეა—საშტატო კონტინგენტი და თანამდებობათა ნომენკლატურა.

მგონია, ყველამ იცის, რამდენათ ჭრელია თანამდებობათა ნომენკლატურა; არსებობს სრულიად ერთნაირი თანამდებობანი, რომელთა ხელფასი სხვადასხვა დაწესებულებებში სულ სხვადასხვანაირია. რომ სიტყვა არ გავაგრძელოთ, მოვიყვანოთ ერთ დამახასიათებელ მაგალითს. ყველასათვის ცხადია, რა თანამდებობას უნდა ასრულებდეს მდივანი, სულ ერთია, იქნება ის განყოფილებაში, სამმართველოში თუ სხვაგან, მაინც მდივნათ რჩება და მისი ფუნქციები არ იცვლება. იგი შეიძლება დატვირთული იქნას მეტად ან ნაკლებად, მაგრამ თავის ფუნქციების მიხედვით ის მაინც მდივნათ რჩება.

თანამდებობების ნომენკლატურა ჩვენში მეტად ჭრელია, ხოლო ეს სიჭრელე საერთოდ იხმარებოდა სამუშაო ხელფასის ასაწევად.

აქედან გასაგები ხდება, რომ სამუშაო ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგებას უნდა ჰქონდეს შემდეგი მიზანი:

1) თანამდებობათა განსაზღვრული ნომენკლატურის და ხასიათის გამორკვევა ისე, რომ ყველა თანამდებობებს, რომელნიც ერთგვარი არიან სამუშაოს მოცულობით და ხასიათით—ექნეთ ერთგვარი სახელწოდება.

2) უწყებათა მტკიცე შტატის დაწესება აუცილებლობასა და მიზანშეწონილობასთან შეფარდებით.

3) მტკიცე ხელფასის შემოღება ყოველ საშტატო თანამდებობისათვის.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ღონისძიებით მნიშვნელოვან შედეგს მივაღწევთ: ჯერ-ერთი, რომ ჩვენ მეტად ცვალებადი შტატი გვყავს. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის, რომ საშტატო ერთეულების რიცხვი თითქმის ყოველ დაწესებულებაში მერყეობს და ეს მოვლენა უნდა პირველ რიგში მოისპოს. ყოველ უწყებას უნდა ჰყავდეს ისეთი შტატი, რომელიც უზრუნველყოფს მის ნორმალურ და პროდუქტიულ მუშაობას. რასაკვირველია, შესაძლებელია ცვლილებების შეტანა (შტატის გადიდება ან შემცირება), მაგრამ ამ ცვლილებებს უნდა ჰქონდეს გეგმიანი ხასიათი და ის უნდა ხდებოდეს მხოლოდ აუცილებელ საჭიროების შემთხვევებში.

მეორე—ერთგვარი მოცულობის და ხასიათის თანამდებობათათვის მთლიანი ნომენკლატურის შემოღებით მოსპობილ იქნება თვითნებური ტარიფიკაციის შესაძლებლობა, და მაშასადამე თვითნებური ხელფასის დაწესებაც.

მესამე—მოისპობა თვით ტარიფიკაციის შესაძლებლობა, რადგან ყოველ თანამდებობისათვის დაწესდება განსაზღვრული მტკიცე ხელფასი (ხარისხის გარეშე). რასაკვირველია, სამუშაო ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგების ცხოვრებაში სისწორით გატარება შესაძლებელია მხოლოდ მტკიცე საბიუჯეტო დისციპლინის დროს, როცა თავიდან აცილებული იქნება თანხების ხარჯთ-აღრიცხვის ერთი პარაგრაფიდან მეორეში გადატანის შესაძლებლობა, როცა სამუშაო ხელფასზე დაიხარჯება მხოლოდ სამუშაო ხელფასის ფონდი.

ჩვენ არ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ამჟამად ყველა წვრილმანები, რომელნიც შეგვხვდება მასალების დამზადების პროცესში და სამუშაო ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგების გატარების დროს. ახლო მომავალში ჩვენს წინაშე იქნება შტატების და სამუშაო ხელფასის მდგომარეობის მთელი სურათი. ეხლა კი ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი სამუშაო ხელფასის რეფორმის წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა, რათა ყველა უწყებებმა გაიგონ, რომ ყველა ცნობები, რომელსაც მოსთხოვენ მათ, უნდა მიცემულ იქნეს იმ სახით, როგორითაც ისინი არიან სინამდვილეში: უნდა გამორკვეულ იქნეს სამუშაო ხელფასი ყოველგვარ გადამეტების ან შემცირების გარეშე. უნდა გამოირკვეს აგრეთვე შტატების ფაქტიური მდგომარეობა.

სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების მთელი მუშაობა იყოფა ორ ნაწილათ: სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილობრივი ბიუჯეტი. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ საქმე უფრო მარტივია, რადგან აქ გვაქვს დამტკიცებულ საშტატო ერთეულების ასე თუ ისე განსაზღვრული რაოდენობა, სამუშაო ხელფასის განსაზღვრული ფორმები და სხვ... ადგილობრივი ბიუჯეტის მიმართ საქმე უფრო რთულია. აქ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მაზრებს, სამაზრო მუშაკების მხრივ კი საჭიროა ენერგიული დახმარება ამ მუშაობაში.

ი. მუხი.

საბჭოთა პრესა

პროფკავშირების უმთავრესი დანიშნულება

„ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ნიადაგზე აუცილებლად იზრდება მუშათა მასების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა მოთხოვნები არ აღემატებოდეს იმ საშუალებებს, რომელთა გაღება შეუძლია ჩვენს სახელმწიფოს მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

„საჭიროა, სწერს „რ ა ბ ო ჩ ა ი ა მ ო ს კ ვ ა“.—მაღალი შეგნება, ზოგადკლასობრივ ინტერესების ნათელი შეგნება იმისთვის, რომ პროლეტარიატის ცალკე ჯგუფების მოთხოვნილებანი შეეფარდებოდნენ მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობას. აქ კავშირებმა დიდი მუშაობა უნდა ჩაატარონ მუშათა მასების, განსაკუთრებით ჩამორჩენილ ჯგუფების და სოფლიდან ჩვენს წარმოებებში ახლად ჩაბმულ ელემენტების აღსაზრდელად“

პროფკავშირების მთავარ დანიშნულებას შეადგენს მუშების მატერიალური ინტერესების დაცვა. ამ დარგში უნდა ხდებოდეს მათი მჭიდრო დაკავშირება მასებთან. მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, არ უნდა ჰქონდეს მუშა-მოსამსახურეთა ჩამორჩენილ ჯგუფების კუდში ჩანჩალის ხასიათი, არამედ პროფკავშირებმა მათ ნამდვილი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ როგორც მეურნეობის განვითარების, ისე მუშების ინტერესების თანაბრად გათვალისწინების ნიადაგზე. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დამოკიდებულებას კოლექტიურ ხელშეკრულებებისადმი. „რაბოჩაია მოსკვა“ განაგრძობს:

„საჭიროა მხარი დავუჭიროთ ისეთ მოთხოვნებს, რომელთა განხორციელება შეიძლება, მოვითხოვოთ მათი შესრულება, აუსრულებელი მოთხოვნები კი უნდა წააწყდენ ჯეროვან წინააღმდეგობას, მათ შესახებ ამომწურავი განმარტება უნდა მივსცეთ მუშებს, სწორედ დასაბუთებული განმარტება, თუ რატომ არ შეიძლება ამ მოთხოვნების მიღება,—და არა ფორმალური უარით გავისტუმროთ ისინი. სხვათა შორის, ამაშია საერთო კრებაზე ხელშეკრულების დაწვრილებითი განხილვის პრაქტიკული აზრი, სანამ მასზე ხელს მოაწერდენ. საკითხის ვრცელი განხილვის და გამორკვევის შემდეგ თვითეულ მუშას ესმის—რატომაა ასეთი თუ ისეთი სამუშაო ხელფასი და შრომის სხვა პირობები; ამ გზით უზრუნველყოფილია ხელშეკრულების შეგნებული შესრულება და მისდამი შეგნებული საქმიანი დამოკიდებულება“.

თუ ასეთი წესი იქნება დაცული, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მუშები გადაჭარბებულ მოთხოვნებს არასოდეს არ წაუყენებენ ჩვენს სახელმწიფო მრეწველობას. ამავე დროს პროფორგანოების მიერ კოლხელშეკრულებათა საჯაროდ დასმა მუშათა საერთო კრებაზე განსახილველად დიდათ შეუწყობს ხელს პროფორგანიზაციების მასიურ მუშაობის გამოცოცხლებას და მათთან მუშების უფრო მჭიდროთ დაახლოვებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, კოლხელშეკრულების მასებში გადატანას არ უნდა ჰქონდეს „მოისმინეს და მიიღეს“ ხასიათი. საკითხისადმი ასეთი ფორმალური მიდგომა უფრო უარყოფით შედეგს მოგვცემს, ვინემ დადებითს.

იტალია და გერმანია

შტრეზემანი მუსოლინის სიტყვის შესახებ.

ბერლინი, 9 თებერვ. ვოლფის სააგენტო იტყობინება: „დღეს შტრეზემანმა რეიხსტაგში პასუხი გასცა შეკითხვებზე სამხრეთ ტიროლის და მუსოლინის სიტყვის შესახებ. თავის სიტყვაში შტრეზემანმა აღნიშნა, რომ სამხრეთ ტიროლი გადაეცა იტალიას და გერმანიაც სცნობს ამ ფაქტს. ჩვენ ყოველთვის პატივს ვსცემდით და პატივს ვსცემთ მომავალშიაც იტალიის სუვერენიტეტს ამ ოლქში. მაგრამ საერთო მდგომარეობა არ ამოიწურება ამ პოლიტიკურ-უფლებრივ მომენტით. არსებობს არა მარტო საერთაშორისო უფლება, არამედ აგრეთვე საერთაშორისო მორალიც".

შტრეზემანი შეეხო იტალიის მეფის და იტალიის სხვა ოფიციალურ პირთა განცხადებებს, რომლებშიაც ისინი დაპირებას იძლეოდენ, რომ სამხრეთ ტიროლში უზრუნველყოფილი იქნებოდა გერმანულ მოსახლეობის კულტურულ ინტერესების დაცვა. „მიუხედავად ასეთი დაპირებისა, აცხადებს შტრეზემანი, ფაშისტურმა რეჟიმმა მოახდინა სამხრეთ ტიროლის იტალიანიზაცია და ჩამოაცილა ის გერმანიას. იტალიისათვის ბოიკოტის გამოცხადებისათვის დაწყებულ მოძრაობის საპასუხოდ, რომელიც განავითარეს მიუნხენში კერძო პირებმა, მუსოლინმა გერმანიის ელჩს რომში განუცხადა, რომ თუ ეს ცდები არ შეწყდა, ის ოფიციალურად აკრძალავს გერმანიის საქონლის შემოტანას. ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია ასეთი საქციელი, როცა უპასუხისმგებლო პირების მოძრაობას, რომელიც დაგმო გერმანიის მთავრობამ, სურთ უპასუხონ საერთაშორისო სავაჭრო-პოლიტიკურ შეთანხმებათა დარღვევით".

როცა რომელიმე ხალხის ჩაგვრა ჰქმნის მშვიდობიანობის დარღვევის საფრთხეს, არსებობს ერთა ლიგაში გასაჩივრების საშუალება. გერმანიის მთავრობამ დაადგინა შევიდეს ერთა ლიგაში. ამ გადაწყვეტილებას კიდევ უფრო განუმტკიცა ნიადაგი მუსოლინის სიტყვამ, რომელსაც მთელი მსოფლიო შეხვდა, როგორც სამარ მუქარას გერმანიასა და ავსტრიის წინააღმდეგ. ეს მუქარა ისევე არ შეეფერება ერთა ლიგის დანიშნულებას, როგორც მუსოლინის განცხადების თავხედური, თავშეუკავებელი კილო.

თავის გამოსვლას მუსოლინმა საფუძვლად დაუდო ბავარიის პრემიერ-მინისტრის გელდის მიერ ლანდტაგში წარმოთქმული სიტყვა, არც კი დაუცადა ამ სიტყვის, სტენოგრაფიული ანგარიშის მიღებას. გელდი გარკვევით ლაპარაკობდა მხოლოდ გერმანელების კულტურულ თავისუფლებაზე სამხრეთ ტიროლში. ჩვენ ვერავინ ვერ წაგვართმევს უცხოეთში მყოფ გერმანელ უმცირესობათა კულტურულ უფლებათა დაცვის უფლებას და გამოვალთ ერთა ლიგაში ნაციონალურ უმცირესობათა დასაცავად. ჩვენ არ გვაქვს მტრობა იტალიის ხალხთან და გვინდა მასთან მშვიდობიანი ცხოვრება. ამისათვის კი აუცილებელია თავისთავის პატივისცემა, ურომლისოდაც ვერც ერთი ხალხი ვერ იარსებებს. საგარეო უძლურება არ ნიშნავს შინ ღირსების დაკარგვას. ამიტომ მე გადაჭრით უარვყოფ გერმანიის წინააღმდეგ მიმართულ მუქარას".

შტრეზემანის სიტყვის გამოძახილი

ბერლინი, 10 თებ. გერმანიის ბურჟუაზიული გაზეთები თითქმის ერთსულოვნად იწონებენ შტრეზემანის პასუხს მუსოლინის გამოსვლაზე. მხოლოდ უკიდურეს მემარჯვენე პრესის ერთი ნაწილი არ არის კმაყოფილი ამ პასუხის ლმობიერი ტონით. დემოკრატების ორგანოს აზრით, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს შტრეზემანის განცხადება მუსოლინის მიერ წამოყენებულ ბრალდების შესახებ, თითქოს გერმანიას განზრახული აქვს განიხილოს ლოკარნოს ხელშეკრულება. ბრენერის საზღვრების უზრუნველყოფის აქტი, ავსტრიის თვითგამორკვევის უფლება, შტრეზემანის განცხადებით, გერმანიის საქმე არ არის.

ბავარიის პრემიერის განცხადება

ბერლინი, 10 დეკემ. ბავარიის პრემიერი ჰელდი აცხადებს, რომ იტალიის გენერალურმა კონსულმა მიუნხენში ბარბარომ განზრახ დაამახინჯა მისი სიტყვის აზრი, როდესაც იგი დეპეშით აცნობა რომში, რითაც საბაბი მისცა მუსოლინის მას წინად მომხდარ გამოსვლისათვის.

ლოკარნო საფრთხეშია

ლონდონი, 9 თებ. ინგლისის მთავრობის წრეები შეშფოთებული არიან იტალიისა და გერმანიას შორის უკანასკნელ დროს მომხდარ შეხლა-შემოხლით. მათ ეშინიათ, რომ იტალია-გერმანიის ურთიერთობა ხელს შეუშლის ლოკარნოს მნიშვნელოვანი შედეგების განხორციელებას.

მუსოლინი უპასუხებს შტრეზემანს

პარიზი, 10 თებ. ჟენევიდან იტყობინებიან, რომ დღეს მუსოლინი გამოვა პარლამენტში საპასუხო სიტყვით.

ერთიანი ფრონტი მუსოლინის წინააღმდეგ

პარიზი, 10 თებ. ბერლინიდან იუწყებიან, რომ რეიხსტაგში ყველა პარტიების ერთიანი ფრონტი შექმნა მუსოლინის წინააღმდეგ. პრესა კმაყოფილია შტრეზმანის სიტყვით. „ფორვერტსი" აღნიშნავს, რომ გერმანია იბრძვის მუსოლინის წინააღმდეგ, მაგრამ იტალიისათვის და მშვიდობიანობისთვის.

მუსოლინის სიტყვის გამოძახილი

ლებე უპასუხებს მუსოლინს

პარიზი, 10 თებ. როგორც ბერლინიდან იუწყებიან რეიხსტაგის თავმჯდომარემ ლებემ თავის სიტყვაში უარჰყო მუსოლინის დაუმსახურებელი და შეურაცხმყოფელი თავდასხმა და განაცხადა, რომ გერმანია განაგრძობს სამართლიანობის მოთხოვნას სხვა სახელმწიფოებში მყოფ თავის ეროვნულ უმცირესობისათვის.

გერმანია და ერთა ლიგა

10 მარტისათვის

ბერლინი, 9 თებ. იტალიის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით შესდგა ერთა ლიგის საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ერთა ლიგის საგანგებო კრების მოწვევის საკითხი. კრება მოწვეულ უნდა იქნეს გერმანიის განცხადების გასარჩევად ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ლიგის საგანგებო კრება შესდგება 10 მარტს.

დაიწყო ინტრიგები

ბერლინი, 9 თებ. იმ მომენტიდან, რაც გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის საკითხი დღის წესრიგში დაისვა, დაიწყო ინტრიგები, რომელთა მიზანია გერმანიის გავლენის შესუსტება ერთა ლიგაში.

იმ გარემოების გამო, რომ გერმანიამ უნდა მიიღოს მუდმივი ადგილი ერთა ლიგაში, წამოიჭრა საკითხი პოლონეთის ერთა ლიგაში მიღების შესახებ. აყენებენ აგრეთვე ესპანეთის და ბრაზილიის კანდიდატურას. გარდა ამისა, არსებობს მიდრეკილება იმ წესის მოსპობის სასარგებლოდ, რომლის თანახმად ერთა ლიგამ ყველა მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა მიიღოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება. ამგვარად გერმანიის ხმა სრულებით დაჰკარგავდა მნიშვნელობას.

„ტან"-ი ვერსალის „ზავის" სადარაჯოზე

პარიზი, 9 თებ. იხილავს რა საკითხს გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი „ტანი" სწერს:

„არ უნდა გამოგვეპაროს ის განწყობილება, რომლითაც გერმანია შედის ერთა ლიგაში. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ის ენერგიულ ბრძოლას დაიწყებს ვერსალის ზავის პირობების წინააღმდეგ და ჩვენ მოგვიხდება დაცვა იმ უფლებების, რომელნიც ჩვენ მოგვანიჭა ხელშეკრულებებმა".

გერმანიის ნოტის გადაცემა

ბერლინი, 10 თებ. გერმანიის ნოტა ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შესახებ დღეს გადაეცემა ლიგის საბჭოს.

ბელგია უკმაყოფილოა

პარიზი, 10 თებ. „მატენის" ცნობით, ბელგიის მინისტრთა საბჭო საფრანგეთის ახალ საბაჟო ტარიფებით უკმაყოფილოა. ვანდერველდეს დავალებული აქვს პარიზში გამგზავრება ამ ტარიფების შესაძლო შემცირების შესახებ მოსალაპარაკებლად.

გერმანია-ესპანეთის შეთანხმება

პარიზი, 10 თებ. რეიხსტაგმა ხმების უმრავლესობით ნაციონალისტების და კომუნისტების წინააღმდეგ მიიღო გერმანიასა და ესპანეთს შორის დადებული ეკონომიური ხელშეკრულება

თავდასხმა პრიმო-დე-რივერაზე

პარიზი, 10 თებ. ლონდონის გაზეთები იუწყებიან, რომ გავრცელებულ ხმების თანახმად, რკინის გზის ხაზზე ბარსელონას მახლობლად დადებული იყო ყუმბარა, რომელიც აფეთქდა რამდენიმე წამით ადრე პრიმო-დე-რივერას მატარებლის მოსვლამდე.

ყალბი ფულების მჭრელთა საქმე

ვინ არის შულცე

ბერლინი, 10 თებ. შულცეს პიროვნება, რომელსაც წილი ჰქონდა ყალბი ფულის მჭრელთა საქმეში, ამჟამად გამორკვეულია. ის აღმოჩნდა ვინმე კოლაჩერი, რომელმაც დიდი ხანი გაატარა რუსეთის სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციაში. კოლჩანერმა თავიდან აიცილა დაპატიმრება.



მარცხნივ—უნგრეთის მთავრობის თავმჯდომარე ბეტლენი (ლაპარაკობს პარლამენტში ყალბი ფულების მჭრელთა საქმეზე); ზევით მარჯვენა მხარეზე—პატრი ზადრავეცი, უნგრეთის არმიის უფროსი ეპისკოპოსი, რომელიც ხელს უწყობდა ყალბი ფულების მჭრელებს; ქვევით—ივან რაკოვსკი, უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, ყალბი ფულების კეთებაში ახლო მონაწილეობას იღებდა, უნგრეთელ მუშების სისხლის მსმელი.

კრებები აკრძალულია

ბერლინი, 10 თებ. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობების თანახმად აკრძალულია სოციალისტების კრებები ყალბი ფულის მჭრელთა საქმის განსახილველად.

ჩეხო-სლოვაკიაში

ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა უფრო უარესია ვიდრე ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში იყო

პრაღა, 9 თებ. კომპარტიის ცეკამ გამოუშვა საპროტესტო მოწოდება ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის მიერ გამოცემულ ინსტრუქციის წინააღმდეგ; აღნიშნული ინსტრუქცია ეხება ეროვნულ უმცირესობათა მიერ სამშობლო ენით სარგებლობის უფლებას. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ მთავრობა ჩეხო-სლოვაკიაში თანდათან უფრო ცუდ ეროვნულ ურთიერთობას ქმნის ვიდრე ძველ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში იყო.

მოწოდება პროტესტს აცხადებს ინსტრუქციის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს სენ-ჟერმენის ხელშეკრულებითა და კონსტიტუციით უზრუნველყოფილ კარპატის მხარის რუსინების ავტონომიას.

მუშათა საპროტესტო მიტინგი ტოკიოში

ტოკიო, 9 თებ. 7 თებერვალს გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია მთავრობის რეაქციონულ კანონპროექტების წინააღმდეგ — პროფკავშირების და იძულებით არბიტრაჟის შესახებ.

მრავალრიცხოვან მიტინგზე შიბის პარკში მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მუშებს მოუწოდებს წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობის კანონპროექტების განხორციელებას, რაც წარმოადგენს კაპიტალისტების შეთქმულებას მუშათა კლასის წინააღმდეგ. პარლამენტის დეპუტატები რომელნიც ხმას მისცემენ ამ კანონპროექტებს, იაპონიის პროლეტარიატის მტრებათ ჩაითვლებიან.

დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდენ დიდძალი მუშა-ქალები.

დემონსტრაციის გამო დაპატიმრებულია 150 კაცი.

ასეთივე დემონსტრაციები გაიმართა ოსაკაში და იოკაგამაში.

ბრძოლა ერთიანი ფრონტისათვის

ბრძოლა ერთიანი ფრონტისათვის უნგრეთში

ვენა, 3 თებ. ბრძოლა პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობისათვის უნგრეთში ისახავს ორ მიზანს: პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენას ნაციონალური მასშტაბით, პროფკავშირებიდან გამორიცხულ მემარცხენე ოპოზიციის მომხრეების უკანვე მიღების გზით, და საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის აღდგენას.

მიუხედავად პროფკავშირთა ბიუროკრატიის წინააღმდეგობისა, 1925 წლის განმავლობაში უნგრეთის მთელ რიგ პროფესიონალურ ორგანიზაციებმა გამოიტანეს რეზოლიუციები, რომლებშიაც მოითხოვენ პროფკავშირთა მთლიანობის აღდგენის ნაციონალურ და საერთაშორისო მასშტაბით.

მეტყავეების პროფკავშირის მეჩექმეების სექციამ დაადგინა დაავალოს უნგრელ დელეგატებს მეტყავეების ინტერნაციონალის კონგრესზე მოითხოვონ საბჭოთა მეტყავეების კავშირის მიღება ინტერნაციონალში. ამავე დროს სექციამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტს. მეჩექმეების სექციას მიბაძეს მეტყავეთა პროფკავშირის სხვა სექციებმა და სამშენებლო დარგის მუშათა პროფკავშირმა.

რამდენადაც პროფკავშირებში ძლიერდებოდა ეს მოძრაობა მთლიანობის სასარგებლოდ, იმდენად მათი ცენტრალური კომიტეტები აძლიერებდენ რეპრესიებს ოპოზიციის წინააღმდეგ და განაგრძობდენ ერთიანი ფრონტის მომხრეების გამორიცხვას პროფკავშირებიდან. გამორიცხვამ და პროტესტის ნიშნად წევრების მასიურად გასვლამ შეასუსტა პროფკავშირები, რომელნიც ისედაც ცუდ პირობებში იყვნენ ეკონომიური კრიზისის და უმუშევრობის გამო.

უკანასკნელ დროს პროფკავშირთა რეფორმისტულმა საბჭომ შესცვალა თავისი ტაქტიკა და ცდილობს დააბრუნოს პროფკავშირებიდან გასული წევრები. ამის შესახებ დაწყებული მოლაპარაკება ჯერ კიდევ უშედეგოთ რჩება, რადგან საბჭო ცდილობს დაიტოვოს გამორიცხულთა უკანვე მიღების შეზღუდვის უფლება, ხოლო ოპოზიცია მოითხოვს, რომ ყველა გამორიცხული უკანვე იქნეს მიღებული.

პროლეტარული მთლიანობისათვის.

პარიზი, 9 თებ. ვალანსიენში პროლეტარული მთლიანობის სასარგებლოდ გამართულ მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 4.000 მუშამ. მანიფესტაციის დროს გამართულ მიტინგზე ილაპარაკეს სოციალისტების კომუნისტების და შრომის უნიტარული კონფედერაციის ორატორებმა.

„მთლიანობა"

ბერლინი, 9 თებერვ. ამსტერდამში ფიმენისა და მოსამსახურეთა საერთაშორისო გაერთიანების მდივნის შმიდტის რედაქციით გამოვიდა თორკვირეული ჟურნალი „მთლიანობა".

სხვადასხვა

— **კარლოსი მეფეს შეურიგდა.** როგორც „ჩიკაგოტრიბუნი" იუწყება პარიზიდან რუმინეთის ტახტის მემკვიდრე კარლოსი და მისი მამა რუმინეთის მეფე შეთანხმდენ. შეთანხმების ძალით კარლოს დაუბრუნდა ყველა ტიტულები და უფლებები.

მეფის მეუღლემ მარიამმა თანხმობა განაცხადა თავად ბიბა სტირბეის სასახლიდან გაძევებაზე. პრემიერი ბრატიანუ იმოგზაურებს საზღვარ-გარეთ და გენერალ ავერესკუს მოუხდება ახალი კაბინეტის შედგენა.

— **უდიდესი დირიჟაბლი.** ლონდონიდან მიღებული ცნობის თანახმად ნიუ-იორკში შენდება უდიდესი დირიჟაბლი სიგრძით 850 ფუტი. დირიჟაბლს შეუძლია წაიყვანოს 100 მგზავრი ბარგით. მისი სისწრაფე იქნება 75 მილი საათში.

— **უმუშევრობა ინგლისში.** უკანასკნელი ცნობების თანახმად უმუშევართა საერთო რიცხვი შეადგენს 1.175.000 კაცს — 63.000 კაცით ნაკლებს, ვიდრე შარშან. უკანასკნელ 4 კვირის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი შემცირდა 78.000 კაცით.

— **იტალიის ელჩი ბერლინიდან რომში გაემგზავრა.** „დეილი ექსპრესს"-ის ცნობით იტალიის ელჩი ბერლინიდან რომში გაემგზავრა.

— **საოცარი ბავშვი.** მეცნიერების ყურადღებას იპყრობს 3 წლის ბავშვი კენტუკში. ეს ბავშვი იწონის 110 გირვანქას, აქვს მოზრდილი მამაკაცის ხმა და გონებრივი განვითარება, რომელიც უდრის 15 წლის ჭაბუკის განვითარებას.

— **ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირის პროცესი.** აბოში დაიწყო ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირის პროცესი.

— **ბურჟუაზიულ ციხეებში.** „რემედას"-ის ბულგარეთის სექციის ცნობით, სოფიის ცენტრალურ ციხეში ამჟამად 276 პოლიტიკური პატიმარი იმყოფება.

— **2585 წლის თავი.** მარსელის გეოგრაფიული საზოგადოება შეუერთდა იაპონიის საკონსულოს და გადასწყვიტა იდღესასწაულოს იაპონიის იმპერიის დაარსების დღიდან 2585 წლის თავი.

— **პეტენი ბრიანთან.** ბრიანმა მიიღო მარშალი პეტენი, რომელმაც მას მოხსენება გაუკეთა ესპანიაში მოგზაურობის შესახებ.

— **გამოცდა ვერ ჩააბარეს.** ფინეთის ფლოტის ადმირალი ფონშულცი გადადგა, რადგან მან ვერ ჩააბარა დანიშნული გამოცდა. იმავე მიზეზით დაითხოვეს 17 ოფიცერი. ამ ფაქტმა ძლიერი სენსაცია გამოიწვია სტოკჰოლმში.

— **„სასწრაფო მატარებელით".** ბერლინიდან სასწრაფო მატარებლით გაგზავნეს 200 პოლიციელი, რომელნიც იმსახურებენ რეინლანდის განთავისუფლებულ ზონაში.

— **მოსამართლეების გაფიცვა.** ჩილეთის უზენაეს სასამართლოს მოსამართლეები გაიფიცენ, რადგან მათ არ მიუღიათ 3 თვის ჯამაგირი.

— **ჯორაშუში დაიკავეს იტალიის ჯარებმა.** იტალიის ჯარებმა დაიკავეს ოაზისი ჯორაშუში, სადაც საზეიმოდ აღმართეს იტალიური დროშა. უხუცესებმა მორჩილება განაცხადეს.

აღმოსავლეთი

სპარსეთი

პროექტი დასჯისა ჰაზარდის თამაშობისა, ლოთობისა და ბანგის წევისათვის

იუსტიციის სამინისტროს მიერ შედგენილ წესდებას დასჯის შესახებ დაემატა მუხლები, რომელშიაც გათვალისწინებულია დასჯა ჰაზარდის თამაშისა, ბანგის წევისა და სხვა ნარკოტიულის საშუალების და სპირტის ხმარებისთვის. ამ დანაშაულისთვის დაწესებულია დატუსაღება 3 დღიდან 6 თვემდე.

გილანის რკინის გზის გამოყენება

საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად სპარსეთს გილანში დაუთმო 14 ვერსიანი რკინის გზის შტო რომელიც დღემდე გამოუყენებელი იყო. საზოგადოებრივი სარგებლობის სამინისტრომ ყურადღება მიაქცია ამ სარკინიგზო მასალას და განკარგულება გასცა გილანშივე გამოიყენონ ის.

ზარაფხანის გაფართოება

მეჯლისმა ფინანსთა მინისტრს ნება დართო 250.000 თუმანი დახარჯოს მომავალი წლის ბიუჯეტის ანგარიშში ზარაფხანისთვის მანქანებისა და ხელსაწყოს შესასყიდათ და შენობების ასაგებათ.

ნავთი ქურინდში

სამხრეთ სპარსეთის ნავთის კომპანიამ განიზრახა ნავთის ამოღება დაიწყოს ყურინდში. სადაც ინჟინრები გაიგზავნენ. სამხედრო უწყებას ებრძანა ამ ინჟინრებს დახმარება გაუწიოს.

სამხედრო ბეგარა

საყოველთაო სამხედრო ბეგარის შესახებ მას წინეთ გამოცემულ კანონის ცხოვრებაში გასატარებლად თეირანში შედგა კომისია. მან განიხილა მუნიციპალიტეტის მიერ დამზადებული სია ჯარში გასაწვევ ახალგაზრდებისა (21 წლიანი), მრავალი ნაკლი აღმოაჩინა და მოითხოვა ახალი სიის შედგენა. ახალი სამხედრო კანონი ძალაში შედის ახალი წლიდან ე. ი. 2 მარტიდან. პირველათ კანონი გატარებულ იქნება თეირანში, შემდეგ კი თანდათანობით პროვინციაში, სადაც მის გასატარებლათ გამოყენებულ იქნებიან ის მოხელენი, რომლებიც განაგებენ სამოქალაქო და კადასტრის საქმეებს.

ხორბლის შესყიდვა

გარდა საბჭოთა კავშირში შეძენილ 700,000 ფუთი ხორბლისა, სხვა ქვეყნებშიაც იძენენ საჭირო რაოდენობის პურს, ავსტრალიაში შესყიდულია 200,000 ჰარვარი და ამდენივე ინდოეთში.

მეჯლისის მეხუთე მოწვევის სესიის გაგრძელება

რადგან ფინანსიურ და ეკონომიურ ხასიათის მრავალი კანონპროექტი გაურჩეველი დარჩა, ამიტომ აღძრულია საკითხი მეჯლისის სესიის გაგრძელებაზე კიდევ 50 დღით. ამისათვის ფორმალურ საბუთად გამოყენებულია ის გარემოება, რომ მეჯლისის წევრების მესამედი არჩევნების დაგვიანების გამო სესიის დასაწყისშივე ვერ გამოცხადდა. მეჯლისის დათხოვნისას კი ამ დეპუტატების მიერ საესებით არ იქნება გამოყენებული მათი კანონიერი დრო და მხოლოდ სესიის გაგრძელებით შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს ეს დანაკლისი, ეს საკითხი ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტელია.

პალესტინა

ფუად-სელიმის ხსოვნის აღსანიშნავად

ანგორა, 9 თებერვ. ინგლისის ხელისუფლებამ პალესტინაში უკანასკნელ დროს აკრძალა არაბთა მოსახლეობის სამგლოვიარო პროცესია, რომელიც უნდა გამართულიყო დრუზების დაღუპულ ბელადის ფუად-სელიმის ხსოვნის აღსანიშნავად. ამ პროცესიაზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ არაბების წარმომადგენლები პალესტინის ყველა კუთხეებიდან და მეზობელ ქვეყნებიდან.

არაბეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება მოსახლეობისადმი, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ინგლისის მთავრობის ძალადობის გამო პალესტინაში.

ჯებელ დრუზის ოლქის მთავრობამ დაადგინა იმ ადგილს, სადაც დაიღუპა ფუად-სელიმი დაარქვას ფუადის ქალაქი.

მთლიანი პარლამენტი

ანგორა, 9 თებერ. სიონისტების წინადადების გამო პალესტინაში ორი ავტონომიური ეროვნულ მთავრობის შედგენის შესახებ, მუსლიმანური პრესა აღნიშნავს ასეთი პროექტის უაზრობას. არაბთა პრესა ამბობს, რომ ებრაელები და არაბები ცხოვრობენ ერთ ტერიტორიაზე და ამიტომ, თავის თავად ცხადია, უნდა შეიქმნეს მთლიანი პარლამენტი, რომელშიაც წარმოდგენილი იქნება ორივე ეროვნება. გაზეთები ურჩევენ მთავრობას სასწრაფოდ გამოაცხადოს ასეთი მთლიანი პარლამენტის დემოკრატიული არჩევნები.

ირაკი

„პრესის თავისუფლება"

ანგორა, 9 თებერ. ირაკის მთავრობის განკარგულებით დაიხურა ნაციონალური გაზეთი „ელ ისტიკლალ". გაზეთი განუცდიდა შევიწროებას ირაკის მეფის ფეისალის მხრივ. გაზეთის დახურვის მიზეზი იყო უკანასკნელის მიერ ირაკ-ინგლისის იმ ხელშეკრულების გაკრიტიკება, რომლის თანახმად უნდა გაგრძელდეს ინგლისის მანდატის ვადა ირაკზე.

კომინტერნში

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიაში

ჩეხო-სლოვაკიის არჩევნების მიერ გამოწვეული მთავრობის კრიზისი უკანასკნელ დროს კომპარტიის პოლიტიკის მთავარ საგანს წარმოადგენდა. ჩეხმა სოციალ-დემოკრატებმა პარტიას წინადადება მისცეს მონაწილეობა მიეღოთ მთავრობის შედგენაში. ჩვენმა პარტიამ ერთის დღის მოწოდებაში თავისი შეხედულება გამოსთქვა მთავრობის კრიზისზე და თავისი უახლოესი პოლიტიკის მიმართულება განსაზღვრა. მან უარჰყო რაიმე ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობის მიღება. პარტია საარჩევნო გამარჯვების შემდეგაც უწინდებურად ერთგულია მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგისა. მშრომელი მასების უმნიშვნელოვანეს ამოცანათ აღიარებულია მთლიანი ფრონტის შექმნა, მიტომ რომ ის აუცილებელ პირობას წარმოადგენს აგრეთვე საპარლამენტო მოღვაწეობის წარმატებისათვისაც. ამ მთლიანი ფრონტის კამპანიისთვის პარტიაში ლოზუნგების სახით, რამდენიმე კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიური და სახელმწიფოებრივ - ფინანსიური მოთხოვნა შეიმუშავა.

პარტიულს ცხოვრებას ამ წუთში ავსებს ის ბრძოლა, რომელსაც რენეგატ ბუბნიკის მომხრე წითელ მშენებელთა და შეშის მჭრელთა კავშირების თავმჯდომარეების წინააღმდეგ ვაწარმოებთ. ეს უკანასკნელნი ეწინააღმდეგებიან „შედუღების" მოძრაობას: აქ საკითხი ეხება ამ ორი ორგანიზაციის შედუღებას მთლიან საერთაშორისო პროფესიულ კავშირთან (წითელთან). პარტიამ ამ მუშაობაში უკვე ერთგვარ წარმატებას მიაღწია და ორივე თავმჯდომარის პოზიცია მუშათა მასსების თვალში დიდათ შეარყია.

დაიწყო პარტიის საერთო კამპანია სახელმწიფოს მოხელეების მასსიური დათხოვნისა და მათი ჯამაგირების შემცირების წინააღმდეგ.

იტალიის კომპარტია

იტალიური კომპარტიის მოქმედება, რომელიც არალეგალურია, ბოლოს დროს რამდენჯერმე შეფერხდა იმ დევნისა და დატუსაღების გამო, რომელსაც ფაშისტური მთავრობა აწარმოებდა. პარტიამ დაიწყო კამპანია პროფკავშირების გაერთიანებისთვის და ფაშისტური ზომების წინააღმდეგ; როგორც ცნობილია ფაშისტური მთავრობა ცდილობს ყოველი არაფაშისტური პროფკავშირი მოსპოს. კომპარტიამ შრომის გენერალურ კონფერენციას წინადადება მისცა ერთი მთლიანი ფრონტის შედგენის შესახებ.

პარტიის შინაურ ცხოვრებაში აღსანიშნავია კამათი მომავალი პარტიული ყრილობის შესახებ. მემარცხენეების გავლენა (ბორდიგის მომხრეების) შემცირდა. ოპოზიციის მთლიანობა აკლია და დამახასიათებელია, რომ ბორდიგის მიმდევრები უფრო ბორდიგას პიროვნებას თანაუგრძნობენ, ვიდრე მის პლატფორმას. თვით ბორდიგა დღეს მონაწილეობას არ იღებს პარტიულ კამათში.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

საფრანგეთი

სამთო-მადნო მუშების მდგომარეობა

სამთო-მადნო მუშები, რომლებიც შედიან სამთო-მადნო მუშების რევოლიუციონურ გაერთიანებაში, საფრანგეთის პროლეტარიატის ყველაზე უფრო შეკავშირებულ რაზმს წარმოადგენენ. ბრძოლაში შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, მუშათა დელეგატების უფლებების გაფართოებისათვის, ისინი, თავისი გამოსვლებით, ხშირად მომხდარი ფაქტის წინაშე აყენებდნენ რეფორმისტ-ლიდერებს. ასეთი გამოსვლის აუცილებლობაზე იყო ლაპარაკი საფრანგეთის სამთო-მადნო მუშების რევოლიუციონური გაერთიანების ნაციონალურ საბჭოს უკანასკნელ გაფართოებულ პლენუმზე. თითქმის დაესწრნენ დელეგატები საფრანგეთის ყველა სამთო-მადნო წარმოებიდან, რომლებმაც მუშების ყოფის საშინელი სურათი დახატეს მოხსენებებში. შრომის ხელფასის ზრდა ბევრად ჩამორჩება სიძვირის ზრდას. თითოეული კაპიკის მომატება ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლას მოითხოვს. 8 საათის სამუშაო დღე ფაქტიურად არსად არ ტარდება ცხოვრებაში. დელეგატებმა მოიყვანეს ფაქტები, როცა მწარმოებლები მექანიკოსებს, შოფერებს და ცეცხლის გამჩაღებლებს 16—18 საათს ამუშავებდენ, რომ არ გაედიდებინათ მუშების რიცხვი. ასეთი მოვლენა გამონაკლისებს არ შეადგენს.

საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება: დაიწყოს სასტიკი ბრძოლა შრომის ხელფასის მოძრავი შკალის გასატარებლად ცხოვრებაში (ე. ი. შრომის ხელფასი უნდა გაიზარდოს სიძვირის ზრდის თანაბრად), 8 საათის სამუშაო დღის დასაცავად, წარმოებებში მუშა-დელეგატების უფლებათა გასაფართოებლად.

საბჭო მოითხოვს, რათა პროფკავშირებს გადაეცეს მოზარდ და ახალგაზრდა მუშების შრომის დაცვის საქმე, სანიტარული პირობების საკითხები და სხვა.

უკანასკნელი ცნობები

შუამდგომლობა

პარიზი, 10 თებ. გაზეთები იტყობინებიან რომ ბრიანი და ერიო ცდილობენ მოარიგონ ფინანსიური კომისია და დუმერი. პრესა დაჟინებით მოითხოვს დააჩქაროს კამათი ფინანსიურ საკითხებზე და აღნიშნავს სენატის რადიკალ-სოციალისტების მიერ გამოტანილ დადგენილებას, გამოვიდნენ შუამდგომლათ. სხვა ჯგუფებიც ასეთივე პოზიციას დაიკავებენ

ბრიანი აფრთხილებს

პარიზი, 10 თებ. ბრიანმა განაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ დასვამს საკითხს ნდობის შესახებ, თუ პალატა 8 დღის განმავლობაში არ გამოიმუშავებს ფინანსიურ პროექტს, სენატში წარსადგენათ.

მცირე ანტანტის კონფერენცია

პარიზი, 10 თებ. მცირე ანტანტის გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენცია გაიხსნება დღეს ტემეშვარში.

უმუშევართა დახვრეტა

ბერლინი, 10 თებ. კალიშიდან იუწყებიან, რომ უმუშევართა ბრბო შეცვივდა ქალაქის საბჭოში. „პოლიციამ დაამყარა წესრიგი"—8 კაცი დაჭრილია.

გერმანია და ერთა ლიგა

ლონდონი, 10 თებ. გერმანიის შუამდგომლობა ერთა ლიგაში შესვლის შესახებ დღეს გადაეცა ლიგის გენერალურ მდივანს ჟენევაში.

გერმანიის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგობანი

ბერლინი, 10 თებ. კამათმა რეიხსტაგში შტრეზემანის სიტყვის გამო მუსოლინის საპასუხოთ, გამოააშკარავა გერმანიის საგარეო პოლიტიკის უძლურება და წინააღმდეგობა ლოკარნოს შემდეგ. პარლამენტის პარტიები ვერ დაადგენ საერთო ხაზს, რომელსაც შეეძლო ერთნაირი წონის მიცემა მთავრობის პასუხისთვის მუსოლინის საპასუხოთ. ბუნებრივია, რომ მემარჯვენე პარტიები ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ, რადგან ისინი მხარს უჭერენ მუსოლინის მეთოდებს.

ის პარტიები, რომლებიც მხარს უჭერენ ლოკარნოს, მათ რიცხვში სოციალ-დემოკრატები ცდილობდენ დაემტკიცებინათ, რომ მუსოლინის გამოსვლა ეწინააღმდეგება ერთა ლიგის ხასიათს, და დროულად სთვლიდენ გერმანიის ლიგაში შესვლას.

კომუნისტმა დეპუტატმა შტეკერმაც გაილაშქრა მუსოლინის წინააღმდეგ, მაგრამ მან სთქვა, რომ დაპყრობითი პოლიტიკა დამახასიათებელი თვისება არა მარტო ფაშისტების, არამედ ყველა იმპერიალისტების, და მათ შორის იმ სახელმწიფოებისაც, რომლებიც შედიან ერთა ლიგაში. მხოლოდ საბჭოთა კავშირშია გადაწყვეტილი სწორათ ნაციონალური საკითხი. ევროპა ამ საკითხს მაშინ მოაგვარებს, როდესაც ხელისუფლებას პროლეტარიატი ჩაიგდებს სათავეში.

შვეიცარია - საბჭოთა კავშირის უთანხმოების გამო

სტოკჰოლმი, 10 თებ. კონსერვატიული „სვენსკა დაგბლადეტ" კომენტარიებს უკეთებს პარიზის ცნობებს, რომ საფრანგეთმა სურვილი განაცხადა შუამავლის როლში გამოვიდეს შვეიცარიის და საბჭოთა კავშირის უთანხმოების მოსაგვარებლათ, და მიუთითებს, რომ ამ უთანხმოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპის სახელმწიფოებისთვის, რადგან ის დაკავშირებულია, საბჭოთა კავშირის მონაწილეობასთან განიარაღების მოსამზადებელ კონფერენციაში, და ზოგიერთმა წრეებმა ეს გამოიყენეს ხალხთა ლიგის გადასატანათ სხვა ქვეყანაში.

ამხ. რაკოვსკი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ

პარიზი, 10 თებერვალი. საფრანგეთ საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების გამო რაკოვსკიმ ინტერვიუში განაცხადა, რომ მოლაპარაკებას ბევრი სიძნელენი აქვს გადასალახავი, მაგრამ თუ საფრანგეთის ექსპერტები ისეთ კეთილგანწყობილებას გამოიჩენენ, როგორც საბჭოთა ექსპერტები, ადვილათ შეიძლება დაძლიოთ ყოველგვარი სიძნელენი, თუ ორივე მხრით კეთილსინდისიერება იქნება [illegible] შეთანხმება.

ოქროს გაყიდვა

მოსკოვი, 10 თებ. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარმა ნება დართო ოქროს გაყიდვის სხვადასხვა ნაკეთობების გასაკეთებლათ.

რა ხდება უცხოეთში

პოლონეთი

ვაი სიმდიდრისაგან

პოლონელი მინისტრები უკანასკნელ ხანებში ხან ერთ სახელმწიფოს ემუდარებიან სესხის მოცემაზე და ხან მეორეს. სესხით ფიქრობენ ისინი უფსკრულის პირას მიგორებულ „ზლოტის" კურსის გამოსწორებას. და რომ დაარწმუნონ ბანკირები იმაში, რომ მათი ფული მათ უკლებლივ დაუბრუნდება პროცენტებთან ერთად, მიუთითებენ პოლონეთის ხაზინის აურაცხელ სიმდიდრეებზე, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება აღებული ფული.

მაგრამ ერთ რამეს მალავენ პოლონელი მინისტრები: სახელდობრ, თუ რამდენ შემოსავალს იძლევა სახაზინო ქონება.

მართალია პოლონეთის ხაზინას ბევრი ქონება მოეპოვება ტყეების, მადაროების, ფაბრიკა-ქარხნების სახით. მაგრამ ამ ქონებიდან მიღებული „შემოსავალი" პოლონეთის ხაზინას ჯერ არ უნახავს.

რომ დავრწმუნდეთ ამაში, ავიღოთ 1924—25 წ. წ. ზოგიერთი საბიუჯეტო ციფრები. 1924 წ. ბიუჯეტით სახელმწიფო წარმოებებს უნდა მოეცათ შემოსავალი 100 მილიონი ზლოტი, ხარჯები კი მათ შესანახათ ნავარაუდევი იყო 102 მილიონი ზლოტის რაოდენობით. როგორც ვხედავთ, თვით ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული მცირე დეფიციტი 2 მილიონი ზლოტი. მაგრამ სინამდვილე გაცილებით უარესი აღმოჩნდა. **სახელმწიფო წარმოებებზე ფაქტიურათ დაიხარჯა 116,5 მილიონი ზლოტი, შემოსავალი კი მათგან უდრიდა 17 მილიონს. ამრიგად ზარალი სახელმწიფო წარმოებებიდან უდრიდა 99,5 მილიონ ზლოტს.**

მიუხედავათ ასეთი მწარე გამოცდილებისა, 1925 წ. ბიუჯეტით ნავარაუდევი იყო: შემოსავალი სახელმწიფო წარმოებებიდან 151 მილიონი, გასავალი—112 მილიონი, ე. ი. სახელმწიფო წარმოებებს უნდა დაეტოვებიათ წმინდა მოგება 39 მილიონი ზლოტი. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული გაწეული ხარჯების ნამდვილი რაოდენობა. რაც შეეხება საშემოსავლო ნაწილს, 11 თვის განმავლობაში 138,5 მილიონის ნაცვლად შემოვიდა მხოლოდ 125,5 მილიონი, ე. ი.—13 მილიონით ნაკლები, ვიდრე მთავრობა მოელოდა.

რით აიხსნება ასეთი მოვლენა? გაზეთები ყველაფერს ეკონომიურ უნიათობას, გეგმის უქონლობას მიაწერენ. რასაკვირველია, ასეთი განმარტება არ არის საკმარისი. მთავარ როლს თამაშობს საერთო ეკონომიური კრიზისი, პირველ ყოვლისა [illegible]. მაგრამ გაზეთების ბრალდებასაც აქვს ნიადაგი—სამეურნეო უთავბოლობა, გეგმის უქონლობა ისეთ ხასიათს იღებს, რომ დიდათ უწყობს ხელს საერთო ეკონომიური კრიზისის გაღრმავებას.

პოლონეთის სახელმწიფო წარმოებები ჯერაც ვერ შეგუებიან ბაზრის ცვალებად პირობებს, ისინი ვერ თამაშობენ ბაზრის მომწესრიგებელის როლს.

რკინიგზებზე ჯერაც არ არის გამომუშავებული აღრიცხვისა და კონტროლის წესები. თითეული გზის ადმინისტრაცია მოქმედობს დამოუკიდებლათ, როგორც მას მოეპრიანება, გზების ცენტრალურ სამმართველოს კი ვერ გამოურკვევია თავისი შემოსავალ-გასავალი.

დაწესებულებების შტატი ძალზე გაბერილია. ასე მაგალითად, საბაჟო სამმართველოში (კანცელარიებში) მსახურებს 2000 მეტი კაცი. ტელეფონისა და ტელეგრაფის სამმართველოში არის დამოუკიდებელი განყოფილება, რომლის სათავეში დგას სამი დირექტორი, ამ განყოფილებაში არის 200 მეტი მოხელე. მთელი განყოფილება კი ემსახურება ტელეფონ-ტელეგრაფის ხაზს ათი კილომეტრის სიგრძეზე.

თუ რა თანხებს მოითხოვენ ზედმეტი ხარჯები, სჩანს შემდეგი ციფრებიდან: სამხედრო ქარხანაში ერთი თოფის დამზადება ჯდება 190 ზლოტი, ხარჯთ-აღრიცხვით კი უნდა დაჯდეს მხოლოდ 88 ზლოტი. ამ ქარხნის ადმინისტრაციის შესანახად იხარჯება მთელი შრომის ხელფასის 24%.

ვარშავის საავადმყოფო კასა 83 მილიონ ზლოტს ხარჯავს ავადმყოფთა დახმარებაზე, 50 მილიონს კი—ადმინისტრაციის შესანახად.

ხაზინამ ისიც კი არ იცის თუ რამდენი ქონება აქვს. ასემაგალითად 1923 წლის ცნობებით სახაზინო ტყეების სივრცე უდრიდა 472.000 ჰექტარს, 1924 წლის ცნობებით—347.000. 1925 წ. ცნობებით კი—375.000. ადვილი წარმოსადგენია თუ რა ბოროტმოქმედებას ექნება ადგილი ასეთი „ბუღალტერიის" დროს.

მართლაც და ამაზე ითქმის—ვაი ქონებისაგანო!

თბილისის დამზღვევი კასა

ამით აცხადებს, რომ 16 თებერვალს ა | წ., საღამოს 5 საათზე
მუშათა ცენტრალური კლუბში შესდგება

პროფკავშირების ცენტრ. გამგეობების,
ქარხკომების, ფაბკომების,
ადგილკომების და პროფრწმუნებულთა

კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. დამზღვევ კასის მოხსენება გასულ წლის საქმიანობის შესახებ.
2. დაზღვეულთა საექიმო დახმარების ქვე-განყოფილების თანამოხსენება.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

კავშირებს, ადგილკომებს და ფაბრქარკომების წარმომადგენლებს დამზღვევ კასის მოქმედების სრული ანგარიში შეუძლიათ წინასწარ მიიღონ დამზღვევ კასაში.

საქ. პროფკავშირთა საბჭო.
დამზღვევი კასის გამგეობა

3—1 6. 744

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მურმანის ნავთსადგურის გადაკეთება

მურმანსკი, 10 თებ. რადგან ექსპორტი უმეტეს ნაწილად სწარმოებს მურმანის ნავთსადგურით, ამიტომ განზრახულია მისი ნავთსაყუდარის გადაკეთება: ფართოვდება ნავთსაყუდარის ტერიტორია, სწარმოებს რკინის გზის ლიადაგის გადაკეთება და აღრმავებენ წყლის დონეს. გაზაფხულზე ნაცვლად ინგლისის ნახევრათ დანგრეულ საგრილობელისა აშენებულ იქნება ახალი. ჩრდილოეთის სახ. სათევზო ტრესტი შეუდგა სათევზაო ნავების სადგომის მოწყობას.

უკრაინა

გაზაფხული ყუბანში

კრასნოდარი, 10 თებ. ყუბანში თბილი გაზაფხულის ამინდია.

მაღაროს მუშის გამოგონება

ხარკოვი, 10 თებერ. „დონბასის" ვოლოდარსკის სახელობის მაღაროს მუშამ იაკოვენკომ გამოიგონა ნიღაბი, რომელიც მაღაროს მუშას ნახშირის მტვერის ჩასუნთქვისაგან იცავს. გამოგონებული ნიღაბი დაცდილ იქნა და აღმოჩნდა, რომ ის საუკეთესოდ ასრულებს თავის დანიშნულებას.

ბელორუსია

ქარბუქი

მინსკი, 10 თებ. ბელორუსიაში დაიწყო ძლიერი ქარბუქი. გზები დაფარულია თოვლის ზვავებით. რკინისგზებზე მოძრაობა შეფერხდა. მოსკოვის საფოსტო მატარებელი მოვიდა 12 საათის დაგვიანებით. რკინისგზაზე მუშაობს თოვლის მწმენდელი რაზმები, მაგრამ უშედეგოთ, რადგან გზა ხელ ახლა ზიანდება თოვლის ზვავისაგან. მინსკიდან გზის გასაწმენდათ გაიგზავნა სამხედრო ნაწილი.

ქალაქში ტელეფონის მავთულები დაწყვეტილია. ქალაქის ნაწილი უსინათლოდ არის. შეწყვეტილია ავტობუსთა მოძრაობა.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 10 თებერ. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პლენუმის დილის სხდომაზე 9 თებერვალს კამათში სახაროვის მოხსენების გარშემო მუშათა კოოპერაციის საქმიანობის შესახებ ტომსკიმ აღნიშნა, რომ კოოპერაციის ძირითადი ამოცანაა—კოოპერატიული საზოგადოებრიობის განვითარება ქალაქში და სოფლად. კოოპერაცია უნდა გახდეს გადამცემი აპარატი სახელმწიფო ვაჭრობასა და მომხმარებლებს შორის. პროფკავშირებს შეუძლიათ დაეხმარონ კოოპერატიული საზოგადოებრიობის განმტკიცებაში. ცენტროკავშირის წარმომადგენელთა მახლობელ ყრილობაზე უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ მივაღწიოთ უფრო ზრდილობიან მოპყრობას სავაჭრო მოსამსახურეების მხრით მუშა მყიდველის მიმართ.

მოსკოვი, 10 თებერვ. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პლენუმის საღამოს სხდომაზე 9 თებერვალს ძერჟინსკიმ მოხსენება წაიკითხა საბჭოთა კავშირის მრეწველობის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ და აღნიშნა, რომ 1925—26 სამეურნეო წელს ჩვენ სახალხო მეურნეობის აღდგენის დამთავრების პერიოდში გადავედით. საქონლის დიდი მოთხოვნილება გამოწვეულია სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდით და აგრეთვე იმით, რომ ჩვენს მრეწველობას ჯერ-ჯერობით არ ძალუძს დააკმაყოფილოს სოფლის მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე. ჩვენი შეცდომები მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ექსპორტის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ მივიღეთ საშინაო მოთხოვნილების ზომა, რომელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა წარსულ წელთან შედარებით.

მეორე შეცდომა მდგომარეობდა ჩვენი პურის დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ გადაჭარბებული თანხების გაწერაში, მაშინ როცა საქონელი არ აღმოჩნდა საკმაოდ. ამან გამოიწვია ნედლი მასალის გაძვირება. იმპორტის შემცირება თავის მხრივ გამოიწვევს საწარმოო პროგრამის შემცირებას, საერთოდ ის შემცირებულ იქნება დაახლოვებით 40 პროცენტით.

პირვანდელი გეგმით განზრახული იყო ახალი ქარხნების და ბინების აგება და კაპიტალური რემონტის წარმოება, რაზედაც უნდა დახარჯულიყო 931 მილ. მანეთი. ეს გეგმა შემცირებულია 746 მილიონამდე. განზრახულია 117 ახალი ქარხნის აგება.

შემდეგ ძერჟინსკიმ აღნიშნა შეუფარდებლობა შრომის ნაყოფიერებასა და სამუშაო ხელფასის ზრდას შორის. წარსული სამეურნეო წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 23 პროცენტით, სამუშაო ხელფასი კი 20-ით, ჩერვონეცის მანეთებში სამუშაო ხელფასის ზრდა გამოიხატება 30 პროცენტში და არ იფარება შრომის ნაყოფიერების ზრდით.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლათ. სამუშაო ხელფასის რეალური უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ საწვრიმალო ვაჭრობის და კოოპერაციის პირობის გაუმჯობესებით და აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გაძლიერებით.

საჭიროა საერთო ძალღონით გამონახულ იქნეს გზები მრეწველობის უზრუნველსაყოფად, ახალი მანქანებით საწარმოო იარაღების აღსადგენად და მრეწველობაში სოციალისტური დაგროვების გასადიდებლად.

საშინაო და საგარეო ვაჭრობის ამოცანები

ამხ. კამენევის ბრძანება

მოსკოვი, 9 თებ. შინა და გარეშე ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. კამენევი შეუდგა რა თავის მოვალეობის ასრულებას, შემდეგი ბრძანება გამოაქვეყნა.

„შინა და გარეშე ვაჭრობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ერთი უმთავრესი დარგია. ეკონომიურ დამოკიდებულების ძლიერება ქალაქსა და სოფელს შორის ერთის მხრივ და საბჭოთა კავშირსა და საერთაშორისო ბაზარს შორის მეორეს მხრივ, ამ კომისარიატის უახლოესი ამოცანაა. ამ ამოცანების სწორად გადაჭრაზე დამოკიდებული უმთავრესად ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის განვითარების ტემპი.

მუშებისა და გლეხების კავშირი ჩვენს ქვეყანაში არის საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი დასაყრდენი და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების თავდები სოციალისტური გზით. ამ კავშირის შემდეგი განვითარება და განმტკიცება უმთავრესად მიმდინარე ისტორიულ მომენტში დამოკიდებულია ამ საკითხების და ამოცანების სწორად გადაჭრაზე, რომელსაც უშუალოდ განაგებს ჩვენი კომისარიატი. ფასების საკითხი სასოფლო-სამეურნეო და წარმოების პროდუქტებზე, სოფლისთვის ჩვენი სოციალისტური წარმოების პროდუქტების მიწოდება და უკანასკნელის უზრუნველყოფა სასოფლო სამეურნეო ნედლეულით, ქალაქს და სოფელს შორის კერძო შუამავლის თანდათანობითი შეცვლა კოოპერატიულ ორგანოებით. ესენი არიან უმთავრესი საკითხები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გაძლიერების ამოცანასთან. სწორეთ ამ აზრით სწერდა ლენინი: „ვაჭრობა, აი ის რგოლი ისტორიულ ამბების ჯაჭვისა ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის გარდამავალ ფორმებში, რომელსაც ჩვენ პროლეტარული სახელმწიფო, ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია მთელი ძალღონით უნდა ჩავეჭიდოთ. თუ ამ რგოლს მაგრად ჩავეჭიდებით,, უახლოეს მომავალში უცილებლათ მთელს ჯაჭვს დავეპატრონებით.

„ჩვენი კომისარიატისათვის ეს სიტყვები გზის მაჩვენებლათ უნდა გახდეს მთელ მის მუშაობაში.

კომისარიატმა მუდმივ მიზნათ უნდა დაისახოს რაც შეიძლება უკეთესი პირობების შექმნა სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციისათვის როგორც შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

მეორეს მხრით საშინაო და საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მთელი ძალღონე უნდა მოახმაროს ჩვენი მეურნეობის და პირველ რიგში ჩვენი მრეწველობის სოციალისტური ელემენტების გაძლიერებას და გაფართოებას.

საქონლის ნაკლებობა აძნელებს მეურნეობის მშენებლობის მსვლელობას, არევ-დარევა შეაქვს ქალაქისა და სოფლის დამოკიდებულებაში, ხელს უწყობს კერძო კაპიტალის გაძლიერებას, ფასების აწევას და სპეკულიანტების გამდიდრებას. ამ მდგომარეობის აღმოფხვრა შეიძლება მრეწველობის ნაყოფიერების შემდეგი გადიდებით და ამასთანავე სავაჭრო აპარატის გაუმჯობესებით.

ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა სოციალისტური მრეწველობის როლის გაძლიერებისათვის ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიკაში და მისი შემდეგი განვითარება ჩვენი კომისარიატის უმთავრესი საგანი უნდა გახდეს.

საგარეო ვაჭრობის როლი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში [illegible] რომ და უფრო იზრდება საზღვარგარეთელ ბაზრის გამოყენებას ჩვენი სასოფლო - მეურნეობის ნაწარმოების გასასაღებლად, და აგრეთვე ჩვენი მრეწველობისათვის ნედლი მასალისა და მოწყობილობის მისაწოდებლად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

თუ გვინდა საერთაშორისო მეურნეობაში შესაფერი ადგილი დავიკავოთ, მთელი ძალღონე უნდა გამოვიყენოთ, რომ ჩვენი ქვეყანა აგრარულ-სამრეწველო ქვეყნიდან გადაიქცეს სამრეწველო-აგრარულ ქვეყანად, და რომ ჩვენი განვითარების ტემპი არ ჩამორჩეს კაპიტალისტურ ქვეყნების განვითარების ტემპს.

ამ ამოცანების საჩქაროდ გადაჭრა უმთავრესად საზღვარგარეთის ბაზრის გამოყენებაზეა დამოკიდებული.

მხოლოდ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია მოგვცემს იმის გარანტიას, რომ საბჭოთა მრეწველობა -მეურნეობის გაფართოებული ურთიერთობა მსოფლიო ბაზართან გააძლიერებს სოციალისტურ ელემენტებს. საბჭოთა მთავრობამ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია შექმნა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა ექსპლოატაციისაგან დაიცვას უცხოელი კაპიტალის მხრივ. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიამ ჩვენი გლეხის მეურნეობას დახმარება უნდა გაუწიოს, რათა მან უცხოეთში უფრო ხელსაყრელ პირობებში გაასაღოს თავისი ნაწარმოები. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიამ უნდა უზრუნველჰყოს ისეთი საგნები შემოტანა, რომელიც მართლაც აუცილებელია ჩვენი სამრეწველო აღმშენებლობის განვითარებისა და სასოფლო-მეურნეობის ტეხნიკური გაძლიერებისათვის. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიამ აქტიური ბალანსი უნდა მოგვცეს,—ეს დიდმნიშვნელოვანი პირობაა ჩერვონეცის და მთელი მრეწველობა-მეურნეობის სიმტკიცისათვის.

საგარეო და საშინაო ვაჭრობის კომისარიატს, რომლის უშუალო ამოცანას წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის განხორციელება ნორმალური აღებმიცემობის დამყარება ქალაქსა და სოფელს შორის, სოფლისთვის ქალაქის სამრეწველო პროდუქტების მიწოდება, ხოლო ქალაქისათვის სასოფლო-სამეურნეო ნედლი მასალისა და პურისა, ისეთი ადგილი უჭირავს საბჭოთა ხელისუფლების სისტემაში, რომ როგორც სასოფლო-მეურნეობის, ისე მრეწველობის განვითარება და აღორძინება პირდაპირ ამ კომისარიატის ნათლად გამოკვეთილ, გეგმაშეფარდებულ, ენერგიულ და წინდახედულ მუშაობაზეა დამოკიდებული. ამასთანავე კომისარიატის მუშაობა უშუალოდ შეკავშირებულია მრავალ მილიონი მშრომელის ინტერესებთან და უშუალოდ გავლენას ახდენს ამ ინტერესებზე და ამიტომ შეიძლება ნაყოფიერად განვითარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომისარიატის მუშაკები ცენტრში და ადგილობრივ ნათლად შეიგნებენ დაკისრებულ ამოცანების მნიშვნელობასა და სირთულეს.

არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ქალაქისა და სოფლის გადამმა გლეხკაცობის დაკავშირება მუშათა კლასთან საქმიან ეკონომიურ ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლების ძირითად პოზიციას წარმოადგენს სოციალისტური ურთიერთობის სრული გამარჯვებისთვის და ჩვენ დაკისრებული გვაქვს ამ პოზიციების დაცვა, განმტკიცება და გაფართოება.

კომისარიატის უპირველეს ამოცანას საშინაო და საგარეო ვაჭრობის კომისარიატების შედუღება უნდა წარმოადგენდეს. ეს შედუღება სრულიადაც არ იქნება უბრალო მექანიკური შეერთება ან აპარატების არევა. ეს შედუღება უცილებელი შედეგია ჩვენი მრეწველობა-მეურნეობის ურთიერთობის გართულებისა მსოფლიო ბაზართან და გეგმის მომენტს გაძლიერების შინაურ აღებმიცემობაში; ამიტომ უნდა შეიქმნას მთლიანი აპარატი ჩვენი ქვეყნის საქონლის ტრიალის ხელმძღვანელობისათვის და მისი მიმართვისთვის სოციალისტურ კალაპოტში.

საგარეო და შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატისთვის საგარეო ვაჭრობის დარგში უმახლობელეს არსებით ამოცანას შეადგენს შემდეგი:

1) განვახორციელოთ და დავიცვათ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია როგორც ხელშეუხებელი პრინციპი საბჭოთა კავშირისა და უცხო ქვეყნების დამოკიდებულებაში. ის უნდა გამოყენებულ იქნას ქვეყნის სამრეწველო-სამეურნეო აღორძინებისათვის, რომ საბჭოთა კავშირიდან გატანილ პროდუქტებისთვის უცხო ბაზარზე შეიქნეს ხელსაყრელი პირობები და ამასთანავე დაცულ იქნეს საბჭოთა კავშირის სიმდიდრე გაფლანგვისაგან.

2) რაც შეიძლება მოკლე დროში ვრცლად და სავსებით გატარებულ იქნეს ცხოვრებაში დირექტივები იმის შესახებ. რომ სამეურნეო ორგანოები უშუალოდ ჩაებან იმპორტისა და ექსპორტის მუშაობაში და ამ დირექტივებს შეუთანხმონ საგარეო ვაჭრობის ფორმები.

3) სავსებით განხორციელებულ იქნას ექსპორტის დამტკიცებული გეგმა. თანაც მიღებულ იქნას სისტემატიური და გადამწყვეტი ზომები ექსპორტის ცალკე დარგების გასაძლიერებლად და აქტიური ბალანსის შესადგენად.

4) ადგილობრივი ორგანიზაციები და ცალკე სამეურ. ორგანოები რეალურათ უნდა დაინტერესდნენ ექსპორტის გაძლიერებაში.

5) სასტიკათ უნდა ედევნოს თვალყური, რომ შემოტანილ საქონლის ხასიათი ნამდვილათ ეთანხმებოდეს სახალხო მეურნეობის საჭიროებას და პირველ ყოვლისა სოციალისტურ წარმოების განვითარებას და სასოფ. მეურნეობის აღორძინებას. თანაც სასტიკად უნდა ვებრძოდეთ ხალხის სიმდიდრის უნაყოფოთ გაფლანგვას საზღვარგარეთ.

შინა ვაჭრობის სფეროში დღევანდელ მომენტის არსებით ამოცანებს წარმოადგენს:

1) პურისა და ნედლეულობის დასამზადებელ გეგმის შესრულება ბაზრის მოწესრიგებისა და შემჩნეულ ნაკლულევანებათა სრული მოსპობის შემწეობით.

ფასების საკითხში აუცილებლათ უნდა ვეყრდნობოდეთ მოსავლის ხელსაყრელ რეალიზაციას. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ვხელმძღვანელობდეთ როგორც გლეხკაცობის მეურნეობის განვითარების ინტერესებით, ისე მუშათა მასსების ბიუჯეტით და ზედმეტ მოსავალს საზღვარგარეთ რაც შეიძლება ხელსაყრელ ფასებში ვასაღებდეთ. თუ სახ. კომისარიატი შესაფერ მუშაობას გასწევს, გლეხობა ადვილათ მიხვდება, რომ თუ ახლა გლეხკაცობამ ფასების მომატების მოლოდინში, ზედმეტი მოსავალი ბაზარზე არ გამოიტანა, გაზაფხულზე ნამდვილათ ფასების დაკლების ფაქტის წინაშე დადგება.

2) თვალყურის დევნება სამრეწველო საქონელზე შემოღებულ ფასების პოლიტიკის ნამდვილათ და სისწორით განხორციელებისათვის და განსაკუთრებით კი ენერგიული ბრძოლა სამრეწველო საქონლის საწვრილმანო ფასების [illegible] ფასებთან შეთანხმებისათვის. ეს განსაკუთრებით ძნელი ამოცანა, რომელიც ეხება ქალაქის და სოფლის მომხმარებლის ფართო მასების ინტერესებს, უდიდესი ყურადღების ღირსია სახ. კომისარიატის მხრივ.

3) მრეწველობის საქონლის სწორი განაწილების უზრუნველყოფა ცალკე რაიონების ინტერესთა თავისებურობისა, დამზადების მსვლელობისა და სხვ. ზედმიწევნითი აღრიცხვის საშუალებით. ეს მუშაობა ნაყოფიერად იწარმოებს მხოლოდ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან სრული თანხმობით და კონტაქტით.

4) სახელმწიფოს მთელი სავაჭრო აპარატის გაუმჯობესება და რაციონალიზაცია.

5) კოოპერაციისათვის ხელის შეწყობა მისი ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და კაპიტალისტურ ნაშთებთან ბრძოლის საქმეში. მისი გარდაქმნა საქონლის ბრუნვის საუკეთესო აპარატათ. არც ერთი წუთით არ უნდა იქნეს დავიწყებული ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილ პირობებში კოოპერაცია წარმოადგენს არა მარტო იაფ და ხელსაყრელ გამანაწილებელ აპარატს, არამედ „მოსახლეობის ფართო მასების კოოპერატიულად დარაზმვა" გლეხთა ფართო მასებისათვის წარმოადგენს გზას სოციალიზმისაკენ.

უძნელესი ამოცანები, რომელნიც სდგანან საშინაო და საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე შეიძლება გადაჭრილ იქნენ მხოლოდ გაერთიანებული სახ. კომისარიატების მთელი აპარატის ენერგიული მუშაობით და იმ კომისარიატებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობით, რომელნიც განაგებენ სახ. მეურნეობის სხვადასხვა დარგებს (სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი, კოოპერაცია და სხვ.) ამისთვის მთელი ჩვენი ენერგია სახ. კომისარიატის მუშაობაში უწინარეს ყოვლისა, მიმართულ უნდა იქნეს არსებულ დეფექტების თავიდან აცილებისაკენ. საქმის გაჭიანურებას, ბიუროკრატიზმს, საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას და უწყებრივ სიბეცეს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ კომისარიატის თანამშრომლებში, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ ვიპოვი ენერგიულ და თავდადებულ თანაშემწეებს დასმულ ამოცანების გადასაჭრელად.

ლარისა რეისნერის გარდაცვალება

მოსკოვი, 10 თებერვ. 9 თებერვალს გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი ქალი ლარისა რეისნერი. ის 5 თვის განმავლობაში ავათ იყო სახადით. ავათმყოფობას მოჰყვა მძიმე გართულება, რომელიც სიკვდილით დამთავრდა.

ლარისა რეისნერი დაიბადა 1895 წელს კომუნისტ-პროფესორის ოჯახში. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომის დროს, როცა მან მონაწილეობა მიიღო პლეხანოვის საწინააღმდეგო კრებულში. 1918 წელს განსვენებული შევიდა კომპარტიაში. რასკოლნიკოვთან ერთად ის იღებდა მონაწილეობას ბრძოლაში ჩეხთა-სლოვაკების ფრონტზე და მუშაობდა ვოლგა-კამის ფლოტილიაში. უკანასკნელ დროს ის „იზვესტია"-ს მუდმივი თანამშრომელი იყო.

ლარისა რეისნერის კალამს ეკუთვნის ბევრი ბროშურა პუბლიცისტურ თემებზე.

დახმარება გერმანელ ამხანაგებს

ჟიტომირი, 10 თებერვ. ბარანოვის ფაიფურის ქარხნის მუშებმა მიიღეს წერილი ბერლინის ერთი შუშეულობის ქარხნის მუშებისაგან. მუშები იუწყებიან, რომ მათ გამოაცხადეს გაფიცვა და ითხოვენ დახმარებას. წერილი წაკითხულ იქნა ბარანოვის ქარხნის ყველა განყოფილებებში. გერმანელ ამხანაგებს დახმარების სახით გაეგზავნა 80 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმა

მოსკოვი, 10 თებერვ. საბჭოთა რუსეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი არ დაეთანხმა საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ 1926—27 წლისთვის შემუშავებულ პროექტს სასოფლო-სამეურნეო რეფორმისა იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს სასოფლო მეურნეობის მეორეხარისხოვან დარგების შემოსავლის დაბეგვრას. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი თავის პროექტში სთვლის, რომ მეურნეობა, როგორც დაბეგვრის ობიექტი ცალცალკე უნდა აღრიცხულ იქნეს მიწა და საქონელი. მიწა უნდა აღირიცხოს არა როგორც სათესი, არამედ როგორც სახნავი და სათიბი. საგადასახადო ფურცელში უნდა შეტანილ იქნეს განაკვეთი თითო სულ საქონელზე. ასეთივე განაკვეთი უნდა იქნეს მიწის შესახებ.

ამ გვარად ცალკე მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი წარმოადგენს ამ ორი განაკვეთის შეერთებას.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის პროექტი ჰგულისხმობს შეღავათს იმ მეურნეობისთვის, რომელსაც არა ჰყავს მუშა საქონელი.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის პროექტი განსახილველად შეტანილია საკავშირო სახ. კომისართა საბჭოში.

ეკონომიური ცხოვრება

ქაღალდის კრიზისი

ამ ჟამად საბჭოთა კავშირის ცენტრებში შემჩნეულია ქაღალდის, განსაკუთრებით საწერი და სახვევი ქაღალდის ნაკლებობა.

თბილისის ბაზარს ქაღალდს აწვდის უმთავრესად ქაღალდის წარმოების ცენტრალური ტრესტის (ცენტრო ბუმტრესტ.) თბილისის განყოფილება, რომლის ცნობებით, ამჟამად თბილისის ბაზარზე საკმაოდ მოიპოვება საწერი, საგაზეთო და საბეჭდი ქაღალდი. მაგრამ მოსალოდნელია თბილისის ბაზარზე გართულება იმ შემთხვევაში, თუ ცენტრმა არ შეასრულა აქედან მიცემული შეკვეთები. ტრესტის თბილისის განყოფილება გარდა თბილისისა, ქაღალდს უგზავნის საქართველოს, აჭარისტან-აფხაზეთის ქალაქებს და სომხეთს, სადაც განყოფილების ცნობებით ამჟამად პაპიროსის ქაღალდის, სქელი კარტონის და სახატავი ქაღალდის დიდი ნაკლებობა ყოფილა. ამ ტიპის ქაღალდებს სხვაგან მაინცდამაინც დიდი გასავალი არ ჰქონია და ამიტომ ამ საქონლით მოთხოვნილების დაკმაყოფილება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. განყოფილებას უკვე გამოწერილი აქვს ზემოხსენებული საქონელი, რომელიც მიღებული იქნება ერთი კვირის განმავლობაში.

თბილისში მოსული ცნობებით, საბჭოთა კავშირის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს უკვე მიუღია სათანადო ღონისძიებები ქაღალდის კრიზისის შესანელებლათ.

შინა-ვაჭრობის სახ. კომის. მიზანშეწონილათ მიაჩნია ქაღალდის საწარმოო სინდიკატის შექმნა და კონტროლის შემოღება დაწესებულ ფასებზე, ქაღალდის ღირსების შესამოწმებლათ და სხვა. შინავაჭრობის სახ. კომისარ. აზრით ქაღალდის მრეწველობის ნაწარმოებზე არსებულ ფასების პრეისკურანტი, რომელიც შემუშავებული იქნა 1924 წლის სექტემბერში, გადასინჯული უნდა იქნეს ფასების შემცირების მიზნით.

ნედლეულის გატანა უცხოეთში

ამ ჟამად სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიული ორგანოები აწარმოებენ მუშაობას ნედლეულობის დამზადებას უცხოეთში გატანის მიზნით. ნედლეულობის ექსპორტს ხელმძღვანელობს ა | კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა, რომელიც ერთი მხრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებს აძლევს თანხებს დასამზადებელი კამპანიის ჩასატარებლად და მეორე მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებს უცხოეთის სხვადასხვა ფირმებთან, იმის შესახებ, თუ რა ნედლეულზე საჭიროებენ, მთავარ საექსპორტო საქონელს წარმოადგენს: ნედლი თამბაქო, ტყავეული, ბეწვეული, ჯაგარი, თხილი, საჭმელი პროდუქტები და ხილი.

უცხოეთის ბაზარზე, განსაკუთრებით სტამბოლის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება არის ბეწვეულზე, მაგრამ ამ საექსპორტო საქონლის დამზადებას აფერხებს თბილი ზამთარი (ნაკლები ბეწვიანი ნადირი იკვლება) და მეორე მხრივ ამ საქონლის დამამზადებელ ორგანიზაციათა დიდი რიცხვი ამიერ-კავკასიაში.

ა | კ. სავაჭრო საპაიო ამხანაგობას განზრახვა აქვს ბეწვეული გაიტანოს ევროპის მთავარი ცენტრების ბაზარზე.

ჩვენებური ჯაგარის მთავარი შემსყიდველი არის ინგლისის ბაზარი. ჯაგარის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს და წელს ჯაგარი გატანილ იქნება შარშანდელზე მეტი.

საჭმელ პროდუქტებიდან მეტი ყურადღება ექცევა კვერცხების, ხიზილალის, თევზების და ხილის გატანას.

ომიანობის შემდეგ ა | კ. ვაჭრობ. საპაიო ამხანაგობას წელს პირველად უხდება კვერცხების გატანა, რომელიც ომამდე ყოველწლიურად 40 ვაგონს უდრიდა. მარტამდე კვერცხის დამზადება იწარმოებს სამტრედიის რაიონში და შემდეგ ა | კ. სხვა რაიონებშიც.

უკანასკნელ დრომდე არ წარმოებულა აგრეთვე ჩვენებური ხილის გატანა. წელს ა | კ. სახელმწიფო ვაჭრობის ამხანაგობა ფიქრობს გაიტანოს ხილი უმთავრესად პალესტინის ან ეგვიპტის ბაზრებისათვის.

გარდა ამისა „ზაკგოსტორგ"-ს განზრახვა აქვს გაიტანოს სიმინდი უმთავრესად ოსმალეთის შავი ზღვის პირად მდებარე რაიონებისათვის.

ამჟამად მიმდინარეობს ამ პროდუქტის დამზადებაც.

საბჭოთა არჩევნები

თბილისის მაზრაში.

არჩევნების დამთავრების ვადა.

თბ. მაზრის ყველა თემებში საბჭოების ხელახალი არჩევნები უნდა დამთავრდეს 10 მარტს.

წალკაში.

სოფ. წალკაში საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს დიდი სიცხოველით.

თემის ფარგლებში არჩევნები უკვე მოხდა სამ სოფელში, სადაც გლეხები დიდ სიფრთხილეს იჩენდენ სასოფლო საბჭოებში წევრების შერჩევაში.

სართიჭალის თემი.

სართიჭალის თემში არჩევნებისათვის წინასწარი სამზადისი უკვე დამთავრდა. თემში არჩევნები დაახლოვებით დაიწყო 6 თებერვალს.

არჩევნები ჯერ ჯერობით მოხდა თემის 13 უბანში.

თემის საბჭოს და სათემო აღმასკომის არჩევნები მოხდება 28 თებერვალს.

საარჩევნო ყრილობებში მონაწილეობას ღებულობს მცხოვრებთა დიდი უმეტესობა. მაგალითად, მუღანლოში, სადაც მოსახლეობენ თურქები, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მცხოვრებთა 63 პროც. უჯარმაში—79 პროც—მუხროვანში—97 პროც. არჩევნები შედარებით აღნიშნულ სოფლებთან, მკრთალად იქნა ჩატარებული სართიჭალასა და გერმანელთა ახალშენში—როზენფელდში. სართიჭალაში—არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მცხოვრებთა 57 პროც. ხოლო როზენფელდში—47 პროც.

სიღნაღის მაზრა

სიღნაღის მაზრაში საარჩევნო მუშაობა დაიწყო 1 თებერვალს. შემდგარია სამაზრო საარჩევნო კომისია. ყველა თემებში დაგზავნილია პასუხისმგებელი ამხანაგები არჩევნების სახელმძღვანელოდ. დარიგებულია საარჩევნო ფურცლები ქართულს გარდა სომხურ და თათრულ ენებზე. შედგენილია ამრჩეველთა სიები, რომლებიც უკვე გაიკრა საარჩევნო უბნებში.

კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ

(წერილი მცხეთიდან)

მთელ რიგ მაზრებში საბჭოთა არჩევნები უკვე დაიწყო. როგორც სჩანს წინასწარმა სამზადისმა უშედეგოდ არ ჩაიარა. მართალია დიდი აქტივობა ეტყობა ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას, მაგრამ მათ უკან არ რჩება კულაკები და სოფლის სხვა ბნელი ელემენტებიც.

ფართე საბჭოთა დემოკრატიამ ბევრ ბნელ ელემენტებს საღერღელი აუშალა. ისინი ცდილობენ საძვრომელა იშოვნონ და საქმე გაიკეთონ. მაგრამ ღარიბი და საშუალო გლეხობის წინასწარი სამზადისი თავის შედეგს იძლევა. ისინი მთლიანი ფრონტით გამოდიან კულაკების და სპეკულიანტების წინააღმდეგ.

ამის მაჩვენებელია მცხეთის არჩევნები. აქ სპეკულიანტებმა სცადეს ბედი. მათ გავლენის ქვეშ მოხვედრილ გლეხობის ერთი ნაწილის მეოხებით ფიქრობდენ ისინი არჩევნების თავის გემოზე ჩატარებას და აღმასკომში ისეთი ელემენტების გაყვანას, რომელნიც შემდეგ სპეკულიანტების დუდუკზე ითამაშებდენ.

მაგრამ არ სძინავდა ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხებსაც. ორგანიზაციულმა გამოსვლამ არჩევნებში გაიმარჯვა. სპეკულიანტები პირში ჩალა-გამოვლებულნი დარჩნენ, საბჭოში გავიდა სწორეთ ისეთი პირები, რომელთაც თემის მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობა უჭერდა მხარს.

მცხეთის მაგალითი მეტად საყურადღებოა. გაზეთებში მოთავსებულ ცნობების თანახმად ასეთ ცდებს მშრომელი გლეხობის ფრონტის ჩაშლისას არაერთგან ჰქონია ადგილი.

ამიტომ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს მართებთ მეტი სიფრთხილით და წინდახედულობით მოეკიდონ არჩევნების საქმეს. მცხეთის არჩევნები იმის მაჩვენებელია, რომ კულაკური ოპოზიცია მოსალოდნელია ყველგან.

მტკიცეთ მშრომელი გლეხების სადარაჯოზე. ორგანიზაციული ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ.

მცხეთელი გლეხი.

წინასწარი სამზადისი ჩატარებულია

(საგარეჯოს თ., თბილისის მ.)

ჩვენს თემში არჩევნები დაიწყება 11 თებერვალს, და დასრულდება დაახლოებით 28 თებერვალს. უნდა აღინიშნოს ადგილობრივ მშრომელი ინტელიგენციის განსაკუთრებული ინტერესი არჩევნებისადმი. სოფლის მასწავლებლობამ და სხვებმა დიდი ტეხნიკური დახმარება აღმოუჩინეს საარჩევნო კომისიას.

აგრეთვე წინასწარ ჩატარებულ იქნა ღარიბ გლეხების და სოფლის მოჯამაგირეთა ცალკე კრებები, რომელსაც მრავლად დაესწრო საშუალო შეძლების გლეხკაცობაც.

სასოფ. ყრილობებზე და გლეხთა უპარტიო კონფერენციაზე მშრომელი გლეხობა მიუთითებდა ადგილობრივ საბჭოს და მის წევრებს ნაკლულევანებაზე. აქ აღსანიშნავია სხვათაშორის ერთი გარემოებაც, სახელდობრ ის, რომ ღარიბესი გლეხობა საშუალო გლეხობასთან ერთად გამოსთქვამდა უკმაყოფილებას ახლად შემოღებულ სასკოლო გადასახადების შესახებ და ამბობდენ, რომ „თუ ეს გადასახადი არ შეგვიმსუბუქდა, იძულებული ვიქნებით ბავშვები გამოვიყვანოთ სკოლიდანო". ამიტომ ამ საკითხის მოგვარებას უნდა მიექცეს სათანადო ორგანოების შესაფერისი ყურადღება.

კლ. გვალია.

ნახტომი არ გაუმართლდათ

ნახტომი არ გაუმართლად

(მცხეთა)

7 თებერვალს მცხეთაში მოხდა საბჭოთა არჩევნები. საარჩევნო ყრილობას დაესწრო დიდძალი ხალხი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მცხოვრებთა თითქმის ორ მესამედმა. დიდ აქტიურობას იჩენდენ ქალებიც. არჩევნებზე, მონაწილეთა დიდ უმრავლესობას შეადგენდენ ქალები.

ყრილობაზე გამოვიდა მთელი რიგი გლეხი-ორატორები, რომლებიც სალ კრიტიკას უკეთებდენ თემის ძველ აღმასკომს და გამოსთქვამდენ სურვილს, რომ ახალ აღმასკომს გამოეყვანოს წყალსადენი, რაც ვერ შესძლო ძველმა აღმასკომმა.

კრებაზე თავი წამოყო ოპოზიციონურმა ჯგუფმა, რომელიც იმყოფებოდა სპეკულიანტების გავლენის ქვეშ. ეს ჯგუფი შეეცადა წაეყენებია თავის სია საბჭოს წევრების, რაც ამომრჩეველთა უმრავლესობის მკაცრი წინააღმდეგობის გამო ვერ შესძლეს.

ხმის მიცემა მოხდა პერსონალურად. კენჭის ყრაზე აღნიშნავდენ დასახელებულ კანდიდატის ღირსება-ნაკლულოვანებას.

საბჭო არჩეულ იქნა 17 წევრისა და 8 კანდიდატისაგან. აღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ივანე მოსიაშვილი (პარტიული), თავმჯდომარის მოადგილეთ უპარტიო გლეხი დათიკო კატარაშვილი.

რ. გ.

კოოპერაცია

სასოფ.-სამეურნეო კოოპერაცია საქართველოში

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია დღეს დიდ კრიზისს განიცდის. ეს კრიზისი დიდი ხანია მზადდებოდა და უკანასკნელ თვეებში მან უმაღლეს წერტილს მიაღწია.

მრავალგვარი დაბრკოლებები ეღობება მის განვითარებას წინ.

რანაირი მიზეზები აყენებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გაჯანსაღებას ვნებას?

საკრედიტო კოოპერაცია ძველებურათ განაგრძობს დამოუკიდებელ არსებობას და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან პარალელურ მუშაობას აწარმოებს. ზოგიერთი მათგანი ვერ ბედავს სავსებით გააბათილოს უმაღლესი პარტიული ორგანოების დადგენილება ამ ორი, ერთიდაიმავე მიზნის მიმდევარი, პარალელური აპარატის გაერთიანების შესახებ, მაგრამ სურვილი კი აქვთ ამ დროის მოახლოება გააჭიანურონ.

მეორე, სამომხმარებლო კოოპერაცია ამ ბოლო დროს განმავლობაში დაჟინებით მოითხოვს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ თავის წევრებზე-მწარმოებლებზე სამომხმარებლო საგნების მიწოდება სავსებით შეწყვიტოს. სამომხმარებლო კოოპერაციის ამ მოთხოვას ენერგიულათ ეხმაურებიან და მხარს უჭერენ ტრესტები და სხვა სახელმწიფო სავაჭროები და სამეურნეო ამხანაგობებს წევრთათვის სამომხმარებლო საგნების შეძენაზე უარს ეუბნებიან. თვით სამომხმარებლო კოოპერაცია კი, მისთვის შესაძლებელ ფარგლებში, სოფლის პროდუქციის დამზადების საქმეს აწარმოებს.

ამას გარდა ერთ სერიოზულ მიზეზათ, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ნორმალურ განვითარებისათვის, აღიარებული იყო წარმოკავშირის სისტემიდან მეურნეობის სპეციალურ დარგების უდროოთ გამოყოფა და მათთვის სპეციალური ცენტრის შექმნა. მიუხედავათ იმისა, რომ დადგენილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციიდან მეურნეობის ახალი დარგის სპეციალურ ცენტრად გამოყოფას ადგილი არ ექნეს, ვინაიდან ამისათვის არც პირობებია მომწიფებული ერთის მხრით, და მეორეს მხრით არც სასოფლო-სამეურნეო ცენტრისათვის არის საჭირო, ვიმეორებთ, მიუხედავათ ამ დადგენილებისა, ზოგიერთი პასუხისმგებელი პირები, კვლავ განაგრძობენ ძველი მიმართულებით მუშაობას, მოითხოვენ ახალი ცენტრის შექნას და, ამრიგათ, ქმნიან ატმოსფერას, რომელიც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას.

შემდეგი დიდი გართულება, რომელსაც ამ ჟამად ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში და რომელიც უმთავრესად დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ირგვლივ უკანასკნელ დისკუსიასთან, მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოები, რომლებიც მოწოდებულნი არიან გლეხთა ნაწარმოების ექსპორტი აწარმოონ, გვერდს უხვევენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემას და დამზადების საქმეს, ერთსა და იმავე პირობებში, ადგილობრივ სამომხმარებლო კოოპერატივების საშუალებით აწარმოებენ. მაგალითად ასე მოიქცა დასავლეთ საქართველოში „ზაკგოსტორგი".

ჩვენ აზრათაც არ მოგვსვლია მოვითხოვოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების საქმე ყოველ პირობებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას გადაეცეს; მაგრამ ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების საქმეში, ერთსა და იმავე პირობებში, სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების წარმომადგენლებმა უპირატესობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას მისცენ, ვინაიდან საგლეხო პროდუქციის დამზადება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის არსებაა და ამ საქმეში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას 2—3 წლის საკმაო გამოცდილება აქვს.

სად არის გამოსავალი? გამოსავალს ჩვენ ვხედავთ იმაში, რომ ის გამოჯანსაღების პოლიტიკა უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მხრით, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიმართ დაიწყო, არ შეჩერდეს, არამედ მიზნათ დაისახოს მუშაობის ობიექტიური პირობების გამოჯანსაღება. ძნელია სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის საქმის მოგვარება, მაგრამ ამას აუცილებლათ უნდა მივაღწიოთ, რადგან აუცილებელია მისი არსებობა ისეთ საგლეხო ქვეყანაში, როგორც საქართველოა. მხოლოდ ყოველდღიური ფხიზელი თვალყურის დევნება, ხელისშეწყობა და განვითარებისათვის დამაბრკოლებელ მიზეზების ჩამოშორებით შევძლებთ კოოპერაციის იმ დარგის გამოჯანსაღებას და ფეხზე დაყენებას, რომელიც ყველა ქვეყნებში ასე ნელის ნაბიჯით და ძნელათ ვითარდებოდა.

ალ. ცაგარეიშვილი.

მატყლის დამზადება

წარმოკავშირმა გასული წლის განმავლობაში დაამზადა 50.000 ფუთი გაზაფხულის და შემოდგომის მატყლი; აქედან 31.000 ფუთი უკვე გაიგზავნა სრულიად საკავშირო სააქციონერო საზ-ბა „მატყლი"-ს სახელზე მოსკოვში.

წარმოკავშირის მატყლის საწყობში ამჟამად სწარმოებს 19.000 ფუთ მატყლის დაწნეხვა.

სენაკის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების რწმუნებულთა კრება

24 იანვარს, ქ. ახალსენაკის მუშათა კლუბში შესდგა სენაკის სარაიონო მთლიანი მომხმარებელი საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდენ ყველა თემების რწმუნებულები.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3)რწმ. არჩევნები ცეკავშირის ყრილობაზე, 4) ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება, 5) წესდების დამტკიცება, 6) მიმდინარე საკითხები.

გამგეობის მუშაობის ერთი წლის შედეგებზე და სენაკის კოოპერაციის საერთო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. მიმინოშვილმა.

ამხ. მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ როცა გამგეობამ ჩაიბარა სენაკის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება, მას ჰქონდა 147 ათასი მანეთის ქონება, საიდანაც 43 ათასი საკუთარი და 104 ათასი ნასესხები.

საკუთარი თანხების სიმცირე ძალიან უშლიდა ხელს კოოპერატივის საქმიანობას. იყო ისეთი მომენტებიც, როცა ემოსი ძალიან დიდ განსაცდელში იყო ჩავარდნილი. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა მოხერხდა მხოლოდ მთავრობის დახმარებით, რომელმაც გააგრძელა თამასუქების გამოსყიდვის ვადა.

ოქტომბრიდან ემოსის მდგომარეობა საბოლოოთ განმტკიცდა, მისი საქმიანობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

საანგარიშო წლის ბოლოსთვის „ემოსს" წმინდა მოგება დარჩა 1.800 მანეთი.

ემოსს ჰქონდა სხვადასხვა პირებზე გაცემული ნისიები, რომელთა დაბრუნება არ იყო საიმედო. ნისიების საერთო ჯამი 32 ათას მანეთს უდრიდა. ემოსი იძულებული იყო სრულიად უიმედო მოვალეობისაგან ჩამოეწერა 8 ათასი მანეთი. დანარჩენი ვალის განაღდებას გამგეობა სასამართლის წესით აპირებს.

ემოსი საქონელს უმთავრესად თავის წევრებს აწვდის. ის თვალყურს ადევნებს, რომ არ მოხდეს ემოსის საქონლით სპეკულიაცია და ცდილობს, რომ ემოსის საქონელი ემოსის წევრს მოხმარდეს.

უკანასკნელი ხნის განმავლობაში იმატა ემოსის წევრთა რიცხვმა.

ემოსს ჰყავს უკვე 7.153 წევრი და მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდება.

გამგეობა ეწეოდა საჭირო აგიტაციას, რათა გლეხთა ფართე მასსები ჩაბმულიყო კოოპერაციაში და თავისი რწმუნებულების საშუალებით ხელმძღვანელობა და კონტროლი გაეწია მისი მუშაობისთვის. ამ მიზნით ყველა სოფლის კოოპერატივებთან არსებობს სადუქნო კომისია, რომელშიაც სამი წევრი შედის.

ემოსის წევრები კოოპერატივებში შეღავათით სარგებლობენ. მათ დაკლებულ ფასებში ეძლევათ საქონელი.

ამ ზომამ კიდევ მეტად დააჩქარა წევრთა რიცხვის ზრდა, გაიზარდა მასის თვალში კოოპერაციის ავტორიტეტი.

ემოსს წლის განმავლობაში გაუყიდია 341 ათასი მანეთის საქონელი.

ამხ. მიმინოშვილის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

შემდეგ მომხსენებლებს მისცეს შეკითხვები და გაიხსნა კამათი. კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავდენ უმთავრესად იმ გარემოებას, რომ გამგეობას არაფერი გაუკეთებია კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის დარგში. მოგების ნაწილი უნდა მიეცეს წევრებს, რომ ამით ისინი უფრო დაუახლოვოთ კოოპერაციას.

სარევიზიო კომისია უფრო ახლო უნდა იდგეს საქმესთან, უფრო ხშირად უნდა აკეთებდეს რევიზიას და უდგენდეს ანგარიშს საზოგადო კრებას.

ნოქრები ბევრ ალაგას უხეშად ეპყრობიან გლეხებს და უშვერი სიტყვებით მიმართავენ მათ.

კამათში საკმაოთ ბევრმა ამხანაგებმა მიიღეს მონაწილეობა.

კამათის დასრულების შემდეგ ყრილობამ გამგეობის მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო.

ხარჯთ-აღრიცხვა წარმოდგენილი მუშკოოპის გამგეობის მიერ და წესდება დამტკიცებულ იქნა.

დასასრულ ყრილობამ აირჩია ახალი გამგეობა.

ბ. ურანეიშვილი.

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

კახეთის ვენახების აღსადგენად

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წინაშე, რათა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან დაარსდეს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს კახეთში ვენახების აღსადგენად წარმოებულ მუშაობის შედეგები.

ბანკი ასეთი საკითხის წამოყენების დროს ხელმძღვანელობდა იმით, რომ მან ვენახების აღსადგენად გადასდო 330.000 მანეთი და განზრახული აქვს გადასდოს კიდევ 115.000 მანეთი და მისთვის საინტერესოა გამოირკვეს, თუ რამდენად სწორათაა დაყენებული ვენახების აღდგენის საქმე კახეთში და არის თუ არა გარანტია იმისა, რომ გაცემული თანხები დაბრუნებული იქნება თავის დროზე.

ამ საკითხის გამოსარკვევად მუშაობას აწარმოებდა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექცია, რომელმაც დააგროვა აუარებელი მასალები, საიდანაც სჩანს, რომ კახეთის რაიონში ფილოქსერასთან ბრძოლის საქმე დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ამავე საკითხის შესახებ შარშან გამოკვლევას აწარმოებდა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რომელმაც თავის დასკვნებში აღნიშნა, რომ საფრანგეთიდან მიღებულ და ადგილობრივ ვაზის სანერგეების გამოყენება ნორმალურად მიმდინარეობს. ამ რთული და პასუხსაგები ოპერაციის გატარების დროს ადგილი არ ჰქონდა სერიოზულ გადახრას ჩვეულებრივ ნორმებისა და ტეხნიკის წესებისაგან.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სასოფ.-სამეურნეო სექციამ ყველა არსებული მასალების გაცნობის შემდეგ დაადგინა, რომ საჭირო არ არის განსაკუთრებული საუწყებათაშორისო კომისიის შექმნა ვენახების აღსადგენათ წარმოებულ მუშაობის შედეგების გამოსაკვლევად.

ამასთანავე სექციამ აღნიშნა, რომ კახეთის ვენახების აღდგენის საქმის რაციონალურად დაყენების მიზნით აუცილებელია, რომ თავის დროზე და საკმაო კრედიტი მიეცეს იმ დაწესებულებებს და პირებს, რომლებიც აწარმოებენ ვენახების აღსადგენ მუშაობას; კრედიტი უნდა იყოს გრძელვადიანი და მისი განაღდება უნდა მოხდეს სამი-ოთხი წლის განმავლობაში.

ამას გარდა, საჭიროა აგრონომიული დახმარების გაძლიერება მევენახეობის რაიონებში როგორც ადგილობრივ, ისე კოოპერატიულ და სახელმწიფო-საბიუჯეტო თანხებით.

საქ. საგეგმო კომისიაში

პროფტეხნიკური განათლების საქმე

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მიიღო პროექტი ინსტრუქციისა 25/26 წ. პროფტეხნიკური განათლების საჭიროებისათვის სამრეწველო - საწარმოთაგან გადასახადების აკრეფის შესახებ.

შრომის ხელფასის მოწესრიგება

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბიუჯეტო-საფინანსო სექციის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ა/კ. სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი დადგენილების სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურების ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

ტყეების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ტყეების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ.

აღნიშნული საკითხი პრინციპიალურად გადაწყვეტილი იყო საბჭოთა მესამე ყრილობაზე, ხოლო რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო სექციის მიერ წარმოდგენილ დასკვნას, ტყეების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან, პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო წარუდგინოს სახკომსაბჭოს სახელმძღვანელო დებულება ზოგიერთი შესწორებით. მაგ., აღნიშნულ შესწორებებით ადგილობრივ ბიუჯეტის სასარგებლოდ რჩება ძალაში ტყის შემოსავლიდან ყველა არსებული ანარიცხები, მაგალითად: 30 პროც. სამაზრო აღმასკომის სასარგებლოთ და ზედნადები საძირე ფასზე 2,5 პროც. გარდა ამისა წმინდა შემოსავალი, რომელიც აღმოჩნდება წლის დამთავრებისას და ყველა ანგარიშების გასწორების შემდეგ ნაწილდება თანახმად არსებულ კანონისა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებათა შესახებ.

„ბაღ-ბოსტან" კავშირის შუამდგომლობა

„ბაღ-ბოსტან" კავშირმა აღძრა შუამდგომლობა ხილის დამზადებისა და რეალიზაციისათვის სასოფ.-სამეურნეო ბანკიდან კრედიტის მიღების შესახებ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მიიღო სასოფლო-სამეურნეო სექციის მიერ შესწორებული „ბაღ-ბოსტან" კავშირის ხარჯთაღრიცხვა:

უმუშევრობის საკითხი

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მოისმინა კულტურულ სექციის თავმჯდომარის ს. დევდარიანის მოხსენება უმუშევრობის შესახებ. პრეზიდიუმმა დაადგინა:

ა) დაევალოს შრომის სახ. კომისარიატს, რათა მან პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს და წარმოადგინოს საქართველოს საგეგმო კომისიაში უმუშევრობასთან საბრძოლველად გადადებული თანხების განაწილების პროექტი.

ბ) პროექტის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს თანხები იხარჯებოდეს უმთავრესად შრომის ხელფასზე.

გ) მიეცეს გაფრთხილება შრომის სახ. კომისარიატს, რომ აღნიშნული თანხები, სანამ არ იქნება დამტკიცებული მისი განაწილების პროექტი, დარჩეს ხელუხლებლად.

დ) ვინაიდან უმუშევრობის სტატისტიკა ერთობ არეულ-დარეულია და მასზე დამყარება შეუძლებელია, მიეცეს წინადადება საგეგმო კომისიის ეკონომ - სტატისტიკის სექციას შეისწავლოს უმუშევრობის სტატისტიკის საკითხი და წარმოადგინოს პრეზიდიუმში თავისი მოსაზრებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო მეურნეობის საცდელი სადგურები ჩვენში

ჩვენს სასოფლო - მეურნეობას მკვიდრ ნიადაგზე დააყენებენ საცდელი სადგურები; საცდელი სადგური იკვლევს და ადასტურებს მეურნეობის რომელი დარგი უფრო სასარგებლოა ამა თუ იმ რაიონში, ახდენს შერჩევას სხვადასხვა მცენარეთა თესლეულობაში, გამოჰყავს მცენარეთა ახალი ჯიშები ხელოვნურად, იკვლევს და აყენებს ცდებს მცენარეთა მოვლის წეს-რიგში და სხვა.

საცდელი სადგურის ამოცანები მეტის მეტად რთულია და მუშაობა ძლიერ პასუხისაგები.

ჩვენში ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სასოფლო-მეურნეობის სადგურების დაარსებას და მოწყობას; გვაქვს უკვე მოწყობილი სასოფლო-მეურნეობის საცდელი სადგურები დასავლეთ საქართველოში „აჯამეთი" და აღმოსავლეთ საქართველოში „ყარაია". ამას გარდა დაარსდება სადგურები მესაქონლეობაში, მებაღეობაში და სხვა*).

„აჯამეთი"-ს საცდელმა სადგურმა მრავალი სასარგებლო მუშაობა შეასრულა: გამოიკვლია მიწის დამუშავების წეს-რიგი დასავლეთ საქართველოში, აღნიშნა სიმინდის რომელი ჯიშები უფრო სასარგებლოა იმ რაიონში, იკვლევს სხვადასხვა მცენარეულობის ავკარგიანობას დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის და ჰაერის პირობებში და სხვა.

„ყარაია"-ს საცდელი სადგური სხვათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბამბის მცენარის მოყვანის წეს-რიგს. უკვე გამოარკვია ბამბის რომელი ჯიშები უფრო ხელსაყრელია მოსაყვანათ ჩვენი გლეხობისათვის. ახდენს გამოკვლევებს და ცდებს სხვადასხვა მცენარეულობის მოვლის შესახებ.

რომელ მცენარესაც გამოცდის საცდელი სადგური და დაადასტურებს მის სარგებლობას, გლეხებმა მხოლოდ ასეთი მცენარე უნდა გააშენონ. რადგან საცდელი სადგური ურჩევს გლეხობას, იმ მუშაობას გლეხობა გაბედულად უნდა შეუდგეს, რადგან შეცდომები თავიდან ექნებათ აშორებული.

საცდელი სადგურის მოწყობა არ არის ადვილი საქმე: მას ბევრი ხარჯი და ძლიერ მცოდნე და გამოცდილი ხელმძღვანელები ესაჭიროება. რადგან სასოფლო-სამეურნეო სადგურებს დიდი სარგებლობა მოაქვთ გლეხ მეურნეთათვის, მთავრობა ხარჯებს არ ზოგავს და ჩვენი ქვეყანა თანდათანობით იქსელება სადგურებით. ოთხი საცდელი სადგურის მოწყობა, რომლებიც დღესდღეობით ჩვენში მუშაობენ, არც ისე ადვილი საქმეა ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც ჩვენი სახელმწიფოა; საქონლის სამოშენებლო და მებაღეობის სადგურების მოწყობაც პირველ რიგშია დაყენებული. ყველა ეს დიდათ ხელს შეუწყობს ჩვენი სასოფლო-მეურნეობის განვითარებას.

ც. ბერეკაშვილი.

---

*) მევენახეობასა და მეღვინეობაში—ერთი დასავლეთ საქართველოში და მეორე კახეთში უკვე მუშაობენ.

ბრძოლა სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან

აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში ჩვეულებრივზე უფრო თბილი ზამთარია. იშვიათად აქვს ადგილი ყინვებს და თითქმის არსად თოვლი არა ძევს. უთოვლობა მეტად ცუდათ მოქმედობს საშემოდგომო ნათესებზე, რომელიც მოკლებულია საჭირო სინესტეს, მაგრამ თბილს, უთოვლო ზამთარს უფრო მეტი ვნება მოაქვს იმ მხრივ, რომ ხელს უწყობს მინდვრის თაგვების გავრცელებას. ამ ზამთარს მინდვრის თაგვები გაჩნდენ საქართველოს მინდვრებზე ჩვეულებრივზე უფრო ადრე. საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში მოსულია ცნობები გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებიდან მინდვრის თაგვების ყანებში შესევის შესახებ.

თაგვები დაუნდობლათ ანადგურებენ დათესილ ყანებს. რომელთა სივრცე სამივე მაზრებში 40 ათას დესეტინას აღემატება. სასოფლო-მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის განყოფილებამ მაზრებში დაგზავნა თავის თანამშრომლები თაგვების გასანადგურებელი ბრძოლის მოსაწყობად.

სეტყვის წინააღმდეგ

ფილოქსერის გარდა ჩვენი ვენახების მოსავალს საგრძნობლად ამცირებს სეტყვა, რომელიც ხშირია განსაკუთრებით კახეთში. სეტყვა გარდა იმისა, რომ სპობს მოსავალს, ფოთლებისაგან სძარცვავს ვაზის მცენარეს, რომელიც უფოთლობის გამო ხშირად ხმება და შემდეგ წლებისათვის რაოდენობის მხრივ ნაკლებ ნაყოფს იძლევა. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა და აგრეთვე კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა მომავალ სეზონისათვის ამერიკიდან გამოიწერეს სეტყვის გასაფანტი რაკეტები. ამ დღეებში მიღებული იქნება 25 ათასი ცალი რაკეტა.

სასოფლო მეურნეობა სამხრეთ ოსეთში

სამი უკანასკნელი თვის განმავლობაში სამხრეთ-ოსეთში სწარმოებს ტყეების გადაცემა გლეხობაზე. ტყეების დაცვის და მათი სარგებლობის გაადვილების თვალსაზრისით ტყეების გლეხობაზე გადაცემას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ღონისძიებით ბოლო იქნება ხშირ [illegible]ბრობას და უთანხმოებათ გლეხებსა და ადმინისტრაციას შორის.

ტყეების განაწილების დროს სამხრეთ ოსეთის სატყეო აგარაკებში აღმოჩენილი იქნა ძვირფასი ჯიშის—ურთხმელის და ბზის ტყეები.

სამხრეთ ოსეთის მიწათმოქმედების სახ. კ-მის მიერ მიღებულია ზომები ამ ძვირფასი ჯიშების დასაცავად.

მოუსავლობის გამო დაზარალებულ რაიონებისათვის საქ. სახ. კომ. საბჭოს მიერ გაღებულ თანხებით შეძენილ იქნა პურეულის გასუფთავებული თესლი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანოების საშუალებით მიწათმოქმედების სახ. კ-მის ზედამხედველობის ქვეშ დაურიგდათ გაჭირვებულ გლეხებს.

ამ ღონისძიების წყალობით ადგილობრივ ბაზარზე არ აუწევია ხორბლის [illegible] წარმოადგენს მთელი სამხრეთ ოსეთის გლეხობისათვის.

მიმდინარე წლისათვის განზრახულია მიწათმოსაწყობი მუშაობის გაჩაღება, რომელიც ჯერ-ჯერობით არ დაწყებულა თანხების უქონლობის და ტეხნიკური პერსონალის უყოლობის გამო.

გასული წლის შემოდგომაზე სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ რაიონებში თავი იჩინა საქონლის ჭირმა, ციმბირის წყლულმა და თურქულმა, მაგრამ დროზე მიღებულ ზომებით ავადმყოფობანი აღკვეთილ იქნა.

სოფელ წონაში დამთავრდა ყველის საკეთებელი ქარხნის აგება.

სატყეო მეურნეობა

აჭარისტანში

აჭარისტანის ტყეები მდიდარია ისეთი ჯიშის ხეებით, რომელიც საქართველოს დანარჩენ სხვა ადგილებში არ მოიპოვება. ტყის ექსპლოატაციის პირობებიც გაცილებით უკეთესია აჭარისტანში, ვიდრე სხვა რომელიმე კუთხეში. სატყეო აგარაკების მნიშვნელოვანი ნაწილი მდებარეობს გზატკეცილების პირად, რის გამოც ადვილი ხდება ხე-ტყის ნედლი მასალის გადაზიდვა-გადმოზიდვა. პატარა მდინარეები, რომელნიც ჩაუდიან სატყეო აგარაკებს, მოხერხებულ საშუალებას წარმოადგენენ ხე-ტყის ტივებით ჩამოსატანად.

გასულ წლამდე სატყეო მეურნეობა აჭარისტანში მოიკოჭლებდა. მხოლოდ 1925 წელი გამოდგა მეტად ნაყოფიერი, და წარმოადგენს სანიმუშო წელიწადს სატყეო მეურნეობის აღდგენის საქმეში.

1925 წელს აჭარისტანის ტყეებმა სახელმწიფოს მისცეს 11.200 მანეთი წმინდა მოგება, რაც პირველ შემთხვევას წარმოადგენს ომიანობის დასრულების შემდეგ. ამავე ხნის განმავლობაში გლეხობას უფასოდ დაეთმო 2.137 კუბიკური საჟენი ხე-ტყის მასალა.

ტყის რაციონალური მოჭრის მოწესრიგებასთან ერთად ვითარდება სატყეო მრეწველობა.

1925 წელს მახუნცეთში გაიხსნა მეორე ხე-ტყის სახერხი ქარხანა და საგრძნობლად გადიდდა ფანერის წარმოება. ამავე დროს სწარმოებს ბიდონებისათვის კასრებისა და ყუთების კეთება—უმთავრესად ფიჭვის ხიდან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გასულ წელს ტყის ექსპლოატაციის პროგრამა შესრულებულ იქნა მხოლოდ 10 პროცენტით.

სამელიორაციო მშენებლობა

აჭარისტანის ჭაობების ამოშრობა

აჭარისტანის წყალთა მეურნეობის მთავარ საქმეს წარმოადგენს ამ ჟამად 935 დესეტინა ჭაობების ამოშრობა ჩურუქსუს და ეგეკილოვკას მიდამოებში. ამ ჭაობების ამოსაშრობად მუშაობა დაწყებული იყო გასულ წელს და ნაყოფიერადაც მიმდინარეობდა.

ამჟამად გაჰყავთ მთავარი ამოსაშრობი არხი—ქვედა სმეკალოვკის არხი და მაგისტრალურ, დამხმარე არხების და კოლექტორების ქსელი, რომლის საერთო სიგრძე უდრის 18 ვერსს, აქედან მთავარი არხის სიგრძე უდრის 6 ვერსს. მთავარი არხის მე-5 ვერსზე გაკეთებულია ხიდი.

ზაფხულის თვეებიდან დაწყებული თებერვლამდე ჭაობების ამოსაშრობი არხების გასაყვანად ყოველ დღე მუშაობს 400 კაცი. მანქანების ამუშავება მოუხერხებელი გახდა, რადგან მანქანები ჭაობებში ჩაიფლო. მუშებმა ბარგებით ამოიღეს რამოდენიმე ათეული ათასი ფ. მიწა და თითქმის დამთავრეს მაგისტრალური არხების გაყვანა.

ამჟამად სწარმოებს დაჭაობიანებულ ადგილების მდინარეების აჩხამურის და აჩქუას კალაპოტების გაწმენდა მანქანების საშუალებით.

თებერვლის განმავლობაში—მარტის პირველ რიცხვებამდე ჭაობების ამოსაშრობი მუშაობა. გაზაფხულის სამუშაო სეზონისათვის აჭარის ამ რაიონის გლეხობა მიიღებს გაუცეთელს, ნაყოფიერ მიწის მოედანს. აჭარისტ. მიწად-მოქმედების სახ.-კომს განზრახვა აქვს ეს მიწები გადასცეს გლეხთა კოოპერატიულ ორგანიზაციებს ახალ ზელანდიური კანაფის კულტურის გასაშენებლად.

სამუშაოებზე მუშათა შრომის პირობები დამაკმაყოფილებელია. მუშები დაბინავებული არიან საგანგებოდ აგებულ 3 საავარაკო შენობაში. სამუშაოდ შერჩეულია ციების ამტანი ჯანიანი ხალხი. ხელფასს დღიურად 3 მანეთამდე იღებენ.

განათლების ფრონტზე

განათლების საქმე ნაციონალურ რესპუბლიკებში

(საუბარი ს. ს. რ. კ. განათლების მუშაკთა კავშირის ც. კ. პრეზიდიუმის წევრ ამხ. ანისიმოვთან).

თბილისში ჩამოვიდა საქართველოს განათლების მუშაკთა მეხუთე ყრილობაზე დასასწრებლად საბჭოთა კავშირის განათლების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ანისიმოვი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს სთქვა:

— განათლების მუშაკთა კავშირი ამ ჟამად აერთიანებს 610.000 წევრს, რომელთაგან ნახევარზე მეტი პედაგოგიური პერსონალია. წინეთ ჩვენს კავშირში ითვლებოდა 695 ორგანიზაცია, მაგრამ წვრილი ორგანიზაციების გაერთიანების შემდეგ დარჩა 63 საგუბერნიო და საოლქო ორგანიზაცია (ამაში შედის საქართველოს, ჩრდილოეთ-კავკასიის, ურალის, ციმბირის და სხვა ორგანიზაციები).

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი ამ ჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშაობის გაცხოველებას ნაციონალურ რესპუბლიკებში. კავშირის გამგეობას მიმდინარე წელში განზრახული აქვს ჩაატაროს მუშაობის გამოკვლევა თურქმენისტანში, უზბეკისტანში, ბელორუსიაში, აზერბეიჯანში, სომხეთში, საქართველოში, ბაშკირეთში და თათართა რესპუბლიკაში. ეხლა სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა უკრაინის გამოსაკვლევად.

განზრახული იყო ამ გამოკვლევის შედეგების შესახებ სპეციალური მოხსენება ყოფილიყო წაკითხული ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც უნდა შესდგეს მიმდინარე წლის მარტში, მაგრამ კინაიდან გამოკვლევა ჯერ არ არის დამთავრებული, მოხსენების წაკითხვა გადაიდო.

სხვათა შორის ამ პლენუმზე საქართველოს და აზერბეიჯანის განათლების სახალხო კომისრების მიერ წაკითხული იქნება მოხსენებები განათლების საქმის მდგომარეობის შესახებ ამ რესპუბლიკებში.

ზემოაღნიშნულ რესპუბლიკებიდან ზოგიერთი უკვე გამოკვლეულია: გამოკვლევის მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ განათლების საქმე აღმოსავლეთ რესპუბლიკებში ვერ არის კარგათ დაყენებული, რაც იმას უნდა მიეწეროს, რომ ამ რესპუბლიკებში ძალიან მცირეა წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი; ასე, მაგალითად, თურქმენისტანში და უზბეკისტანში წერა კითხვა იცის მხოლოდ მოსახლეობის 3—4 პროცენტმა. მიუხედავათ ამისა, განათლების საქმის მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში გამოკეთდა და ზოგიერთი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ საგრძნობლად გაცხოველდება.

მთავარ დაბრკოლებებათ, რომლებიც ხელს უშლიან პროფესიონალური მუშაობის განვითარებას აღმოსავლეთის რესპუბლიკებში, უნდა ჩაითვალოს: მოსახლეობის დაბალი კულტურული დონე, ლიტერატურის უქონლობა მშობლიურ ენაზე და მოსახლეობის დაქსაქსულობა, რაც ამ ქვეყნების ტერიტორიალური თავისებურობით აიხსნება.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გამოკვლევის დამთავრების შემდეგ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული იქნება მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება საგრძნობლად გამოაცოცხლებს მუშაობას საბჭოთა კავშირის განაპირა რესპუბლიკებში.

გ—ი.

მზადება ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელად

ამ რამდენიმე ხნის წინად თბილისის ბირჟის სამრეწველო სექციაში ირჩეოდა საკითხი თბილისის ელექტრო-ქსელის „ზაჰეს"-ს ცვალებად ენერგიაზე გადასვლისათვის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ. თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილების ელექტრო-მოწყობილობათა და [illegible] ქვე-განყოფილების წარმომადგენელი პროფ. დიდებულიძე აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ელექტრონის ტრესტის ნაწარმოებნი თბილისის აღმასკომის მიერ გამომუშავებულ ნორმების თვალსაზრისით ქალაქის ელექტრო-ქსელისთვის გამოუსადეგარი არიან.

[illegible] მხრივ, ტრესტის წარმომადგენელი უარჰყოფდა ამ აზრს და ამტკიცებდა, რომ ტრესტის ნაწარმოები სავსებით აკმაყოფილებს მის მიმართ წამოყენებულ მოთხოვნილებებს.

სექციამ აირჩია კომისია სპეციალურ პირებისაგან შემდგარი, რომელსაც მიანდო ელექტრონულ მოწყობილობების ნორმების საკითხის და ელექტრო-ტრესტის წარმოებების ხარისხის გამოსარკვევად.

ამ კომისიის სხდომაზე 8 თებერვალს პროფეს. დიდებულიძემ კვლავ მიუთითა ტრესტის ზოგიერთ ნაწარმოებებზე და აღნიშნა, რომ ისინი გამოუსადეგარნი არიან გამომუშავებული ნორმის თვალსაზრისით. პროფ. დიდებულიძემ მოიყვანა მაგალითები თავისი შეხედულების დასასაბუთებლათ.

შეეხო რა შემდეგ ზონრებს, პროფესორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ მათგანზე შემოხვეული. ტრესტის მიერ დამზადებული რეზინა ვერ უძლებს თბილისის ცხელ ზაფხულს და ფუჭდება, რაც აჩენს ხშირად ხანძარს. მას ასეთი ზონრების გაყვანა შენობებში დაუშვებლათ მიაჩნია.

პროფ. დიდებულიძე ამასთანავე ხაზს უსვამს იმასაც, რომ ტრესტს აქვს ისეთი მასალებიც, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ თბილისის მოთხოვნილებას და საჭიროდ სცნობს მათ ფართოდ გამოშვებას თბილისის ბაზარზე.

სახელმწიფო ელექტრო-ტრესტის წარმომადგენელმა ამხ. როსტომაშვილმა სხდომას განუცხადა, რომ მათ მართლაც მოეპოვებათ თბილისისათვის გამოუსადეგარი საქონელი, მაგრამ დასძინა, რომ მოეპოვებათ ისეთიც, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. მათ შორის განსხვავებაა ფასებში და ფიქრობენ, რომ იაფფასიანი საქონელი გამოსადეგია თბილისის გარეთ.

კომისიის წევრთა შორის [illegible] გაცვლა-გამოცვლიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ მე-8 ელექტროტეხნიკურ ყრილობაზე ელექტრონაწარმოებების ნორმები დაწეული ყოფილა, მაგრამ ამავე ყრილობას აუცილებლად უცვნია, ფინანსიურ და ტეხნიკურ მოსაზრებებით, თბილისისათვის მასალები დამზადდეს აღმასკომის მიერ გამომუშავებულ ნორმების მიხედვით. ამასთანავე ერთად გამოთქმული იყო დადგენილება, რათა სახელმწიფო ელექტრო-ტრესტს და ფერად ლითონების მწარმოებელ ორგანიზაციის საქონელი მიეცა აღმასკომისათვის ამ ნორმების მიხედვით, რადგან მათ საშუალება აქვთ ეს საქონელი მიიღონ ცენტრიდან.

თათბირმა ხაზი გაუსვა მხოლოდ ამ საქონლის სიძვირეს და საჭიროდ სცნო მისი გაიაფება:

დაბოლოს თათბირმა განიხილა საკითხი თბილისის ელექტრო-ქსელის გადაკეთების შესახებ, „ზაჰეს"-ს ცვალებად ენერგიაზე გადასასვლელად.

ამ საქმისათვის საჭიროა ორ-ნახევარი მილიონი მანეთი, რომლიდან ც პირველ წელს საკმარისი იქნება 800.000 მანეთი. კომისიამ საჭიროდ სცნო ამ თანხის გამოძებნაში ქალაქს დაეხმარონ კომუნალური და ელექტრო-ბანკები, იაფი სესხების მიცემით.

რკინის გზებზე

სახარჯთ-აღრიცხვო კომისია ა|კ. რკ. გზ. ხაზებზე

ა|კ. რკ. გზ-ისათვის, ცენტრის მიერ გადადებული თანხების განაწილების მიზნით, ა|კ. რკ. გზების სამმართველომ შეადგინა სპეციალური სახარჯ-აღრიცხვო კომისია, რომელიც იკვლევს ა|კ. რკ. გზ. ცალკე ხაზების მდგომარეობას, ამტკიცებს საჭირო სამუშაოებს და ირკვევს, თუ როგორი რაოდენობის თანხა ესაჭიროება თითოეულ მათგანს.

აღნიშნულმა კომისიამ გზათა უფროსის ამხ. ივანოვის თანხლებით უკვე იმოგზაურა ა|კ. გზ. სამხრეთის ხაზზე და გადასდო იქ სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად 700.00 მანეთი.

მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ამხ. ივანოვმა ჩვენს თანამშრომელს, კომისიის დასკვნების შესახებ განუცხადა, რომ გადადებულ თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია. აღდგენა სადგ. ჯულფის და შახტახტის, აგება სადგ. არატის და სარდარაბადის ახალი რკინისგზების და ლენინაკანის ახალი საყუდის.

გარდა ამისა მთელ რიგ სადგურებზე განზრახულია ახალი შენობების აგება საწყობებისათვის.

რაც შეეხება საბინაო აღმშენებლობას, ამ მიზნით ერევნისთვის გადადებულია 100.000 მანეთი, სანაინისთვის—50.000 მანეთი და გარდა ამისა აღდგენილი იქნება ამჟამად უვარგის მდგომარეობაში მყოფი ბინები. კერძოთ ლენინაკანში ბინების აშენების საკითხი ჯერ-ჯერობით ღიადაა დატოვებული, რადგან იგი მოითხოვს შეთანხმებას ა|კ. რკ. გზ. პროფკავშირთან.

კომისიას ამ კვირის დამლევს განზრახული აქვს გამგზავრება კახეთის ხაზზე, სადაც სხვათა შორის დათვალიერებული იქნება ხე-ტყის სამუშაოები. იქიდან დაბრუნების შემდეგ. კომისია გაემგზავრება აღმოსავლეთის ხაზზე.

კომისია ა|კ. რკ. გზ. აღმოსავლეთის უბნის გამოსაკვლევად

ვინაიდან ამ ბოლო თვეებში გახშირდა მატარებლების დამტვრევა და სხვა უბედური შემთხვევები ა|კ. რკ. გზ. აღმოსავლეთის (აზერბეიჯანის) ხაზზე, ა|კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შექმნას სპეციალური კომისია ამ უბნის მთლიანად გამოსაკვლევად.

კომისიის შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე ა|კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარი ამხ. ნაზარეთიანი, წევრები: ქავთარაძე, კარაევი, კვანტალიანი, ელიავა, ბაგიროვი და მ. დ. ჰუსეინოვი.

კომისიის მუშაობის ვადათ დაწესებულია სამი კვირა.

პარტიული ცხოვრება

რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება.

მოახლოვდა საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავის დღესასწაული. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ადგილებზე უსათუოდ აქედან უნდა შეუდგენ ამ დღესასწაულისთვის მზადებას.

სოფლის უჯრედებმა, თემკომებმა და სამაზრო პარტკომებმა ფართოდ უნდა გააშუქონ მშრომელთა ფართო მასებში საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, მისი მიღწევები ეკონ. პოლიტიკურ და სამეურნეო დარგებში. ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აგიტაცია და პროპაგანდა ამ საკითხის შესახებ არ უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებით; ციფრებით ხელში უნდა დავანახოთ მუშებს და გლეხებს რომ ჩვენ მართლაც დიდი მიღწევები გვაქვს.

რა მდგომარეობაში იყო ჩვენი სოფლის მეურნეობა მენშევიკების ბატონობის უკანასკნელ დროს და როგორი არის ახლა; აქ უნდა მოვიყვანოთ ცნობები რამდენათ გაიზარდა დათესილ მიწების რაოდენობა ჩვენს დროს, როგორ განვითარდა სოფლის მეურნეობის ის სხვადასხვა დარგები, როგორიცაა მებამბეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ. ერთი სიტყვით, გლეხს ფაქტებით ხელში უნდა დავანახოთ — რა მდგომარეობაში იყო მისი მეურნეობა მენშევიკების დროს და რა მდგომარეობაშია დღეს.

მეორე—ჩვენ უნდა ვუამბოთ მუშას და გლეხს მრეწველობის მდგომარეობა; რა იყო მენშევიკების დროს და რა არის ახლა, როგორი სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ ეს დარგი ჩვენი მეურნეობის. ჩვენ უნდა დავანახოთ მშრომელთა ფართო მასებს—რამდენი არხი გავიყვანეთ და დღესაც გაგვყავს, რამდენი ახალი ელექტრო-სადგური ავაშენეთ და დღესაც შენდება, რამდენი ახალი ფაბრიკა, ქარხანა მოვაწყვეთ და დღესაც ვაწყობთ.

ჩვენ უნდა მოვუყვეთ მუშებსა და გლეხებს, თუ რა დიდი გამარჯვებები გვაქვს კულტურულ-განმანათლებელ დარგში. ციფრებით უნდა დავუმტკიცოთ მშრომელებს, თუ რამდენი მოსწავლე და მასწავლებელია ჩვენს დროს, რას ხარჯავს ჩვენი პარტია და ხელისუფლება კულტურულ - განმანათლებელ მუშაობისათვის.

ჩვენ უნდა განუმარტოთ მშრომელთა მასებს—როგორი მშვიდობიანობით ვსარგებლობთ დღეს, მეზობლებთან კეთილგანწყობილება გვაქვს. და როგორ გამძვინვარებულ ომიანობას განვიცდით მენშევიკების დროს.

და კიდევ განა ცოტა რამ გვაქვს სათქმელი? ცოტა მიღწევები, გამარჯვებები გვაქვს სხვადასხვა დარგში? ყველაფერი ეს ჩვენმა აგიტატორმა, პროპაგანდისტმა დაწვრილებით უნდა გააშუქოს მშრომელთა მასებში. მან უნდა შეისწავლოს საფუძვლიანად ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა და ეს შეადაროს მენშევიკების დროს.

ზოგიერთი აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა იციან ზეპირათ ლაპარაკი — ფართო-ფართო სიტყვებით, მოყვებიან რახა-რუხს, ბევრ დიდ მატერიებს შეეხებიან—და ბოლოს და ბოლოს იმას არ იტყვიან, რაც საჭიროა, აუცილებელია. ამ დღესასწაულის ჩატარების დროს ამას ადგილი არ უნდა ექნეს.

საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ დავანახოთ მშრომელთა ფართო წრეებს, მტრებსა და მოკეთეებს, მთელს ქვეყანას—რა გააკეთა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მისი არსებობის 5 წლის განმავლობაში. ამისათვის კი საჭიროა ფაქტები, ციფრები, რომლებიც თვალს მოხვდება და ტვინს ჩაუბეჭდება. პარტიის უჯრედებმა, თემკომებმა, სამაზრკომებმა სწორეთ ამ მხარეს უნდა მიაქციონ უმთავრესი ყურადღება დღესასწაულის ჩატარების დროს.

ლ.

პარტუჯრედი და პოლიტსკოლა

(ს. ტეზერი, გორის მაზ.)

3 იანვარს შესდგა სოფ. ტეზრის კომუჯრედის. ახ. ლ. კ. კ. უჯრედის და თემის გლეხკომის კრება. მოხსენება გააკეთა თავის მუშაობაზე თემის გლეხკომის თავმჯდომარემ ამხ. ციხელაშვილმა. მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო კრებას, თუ როგორ მიმდინარეობდა წარსულში მუშაობა და რა უშლიდა ხელს ამ მუშაობას. პირველ-ყოვლისა ნაკლები ხელმძღვანელობა იყო, შემდეგ თანხების სიმცირე. დღეს შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. თემის გლეხკომები მეტ ხელმძღვანელობას უწევენ სოფლის გლეხკომებს, შემდეგ კიდევ მდგომარეობაც გაუმჯობესდა. კრებამ გლეხკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იცნო.

ჩიტოშვილი.

მუშაობა კარგად მიდის

(ს. ლახურიში, ლეჩხუმი)

ს. ლახურიშის კომუჯრედი 1921 წ. დაარსდა. თავიდანვე უჯრედში 42 წევრი და 5 კანდიდატი ითვლებოდა. მუშაობა მაშინდელ პირობებთან შედარებით ნორმალურად მიმდინარეობდა. მართალია, ზოგიერთი წევრები არაკომუნისტურ საქციელს იჩენდენ, მაგრამ გამწმენდი კომისიის მიერ ეს გამოსწორებულ იქნა. დღეს უჯრედი თანდათან იზრდება რიცხობრივად, და მუშაობაც სწორ გზაზე დგება. უჯრედის მუშაობას ხელმძღვანელობს ცალკე გამოყოფილი ამხანაგი. უჯრედის მეთაურობით დაარსდა ორთვიანი პოლიტსკოლა, სადაც სწავლობენ პარტიულებთან ერთად უპარტიონიც.

ლ. ჭაბუკიანი.

არ გვყავს ხელმძღვანელი

(ლანჩხუთი, გურია)

ლაშის ღელის კუთხეში 1925 წლამდი არ არსებობდა კომუნისტური პარტიის უჯრედი. ამ მდგომარეობას მიაქცია ყურადღება ლანჩხუთის პარტკომმა და დაარსა კომუჯრედი. კომუჯრედს პირველად ხელმძღვანელობდა პარტკომის მდივანი ამხ. კილაძე, რომლის მეთაურობით უჯრედის მუშაობა კარგათ მიდიოდა. პარტიაში მიღებულ იქნენ ახალი კანდიდატები გლეხებიდან. შემდეგ უჯრედის ხელმძღვანელათ დაინიშნა სხვა ამხანაგი, რომელმაც ვერ შესძლო მუშაობის გაძღოლა. ექვსი თვე გადის უჯრედის სხდომა არ შემდგარა. პარტკომმა ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ვანო ხუხუნაიშვილი.

შეფი უკავშირდება გლეხებს

(ბორჯომი)

ბორჯომის საბჭოთა მოსამსახურეების მიერ გამოყოფილი საშეფო კომისია კარგათ მუშაობს. უჯრედს დვირის თემში ჩამორჩენილი სოფლები ყავს აყვანილი. ამ სოფლებში მან დაარსა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, სადაც 120 გლეხამდე სწავლობს. სკოლებს აწვდის სასწავლო ნივთებს. ქოხ-სამკითხველოებს სხვადასხვა გაზეთებს უწერს. საშეფო კომისია ყოველ კვირაში დაიარება შეფად აყვანილ სოფლებში, ეცნობა ადგილობრივად მდგომარეობას, აწარმოებს გლეხებთან სხვადასხვა საკითხებზე საუბარს. აღსანიშნავია, რომ ამ საუბრებს მიუხედავათ სოფლების ჩამორჩენილობისა ბლომად ესწრებიან გლეხი-ქალები. ერთი სიტყვით მჭიდრო კავშირია დამყარებული შეფსა და შეფად აყვანილ სოფლებს შორის.

ი. ცერაძე.

ახალგაზრდა კომუნისტური გვარდია

კომკავშირის მე-8 სამაზრო კონფერენცია

(ლეჩხ. მაზრა)

20 იანვარს შეიკრიბა ლეჩხუმის ახ. კ. კ. მე-8 სამაზრო კონფერენცია. კონფერენციაზე გამოცხადდა 54 დელეგატი. ამათში ქალები იყვნენ 10. კონფერენციის დღის წესრიგში დასმული საკითხები ამოწურული იქნა სამ დღეში.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ კონფერენცია ცოცხლად ჩატარდა. სამაზრო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართულ კამათში დელეგატები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ. კონფერენციამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოისუსტებდა მუშაობა კავშირის პოლიტ - აღმზრდელობითი დარგში. გარდა ამისა კონფერენციაზე აღნიშნულ იყო პიონერთა შორის მუშაობის პროცესში აღმოჩენილი დეფექტები. ყველა ამ უარყოფით მოვლენების აღმოსაფხვრელად ახალ კომიტეტს მიეცა შესაფერისი დირექტივები.

მოკლედ, ჩვენმა კონფერენციამ ჩაიარა კავშირის მთლიანობის ნიშნის ქვეშ. ახალ სამაზრო კომიტეტში არჩეულ იქნა 18 წევრი და 5 კანდიდატი. საქართველოს მე-8 ყრილობაზე დელეგატებად გადამწყვეტი ხმის უფლებით არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ჟ. ფრანგიშვილი, ა. რამიშვილი, პ. ფრუიძე, შ. ზანძალაძე და ოლღა პეტროვა. სათათბირო ხმით—გ. ზურაბიანი. სამაზრო კონფერენცია ჩატარდა ცეკას წარმომადგენელ ამხ. [illegible] ხელმძღვანელობით.

პ. ფრუიძე.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

ბიუროს სძინავს

(ს. ქვენობანი, ხიდისთავის თ., გურია)

ჩვენი უჯრედების წინაშე მეტად რთული ამოცანები სდგას. ამ ამოცანების სასურველად გადაჭრა და ცხოვრებაში გატარება კი მოითხოვს, რომ პარტუჯრედების მუშაობაში მტკიცე გეგმიანობა იქნეს დაცული.

ბიურო, როგორც ვიცით, ხელმძღვანელობას უწევს უჯრედს. თუ მოისუსტებს ბიურო, მაშინ თავისთავად ცხადია, მოისუსტებს თვით უჯრედის მუშაობაც, და პირიქით. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ უჯრედის ბიუროს შემადგენლობას.

ბიუროში უნდა შედიოდეს ცოტა თუ ბევრათ აქტიური და მომზადებული წევრი, რომ შესძლოს უჯრედის ხელმძღვანელობა.

ს. ქვენობნის პარტუჯრედის ბიუროს არ ვიცი დროებით სძინავს, თუ სამუდამოთ დაეძინა. აგერ ერთი თვეა კრება არ მომხდარა რაც არა ნორმალურ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

ეს მით აიხსნება, რომ ს. ქვენობანის პარტუჯრედის ბიურო მოისუსტებს, ვერ უწევს საჭირო ხელმძღვანელობას უჯრედს. ხიდისთავის რაიკომმა ს. ქვენობნის უჯრედს ყურადღება უნდა მიაქციოს.

პარტსკოლის მოწაფე.

სახალხო საქართველო

დავიცვათ გლეხის მეურნეობა მოულოდნელ უბედურებისაგან

(წერილი სამტრედიიდან)

ხანძარი გლეხის ერთი უსაშინელესი მტერია. მთელი სიცოცხლის და ზოგჯერ მამა-პაპათა მემკვიდრეობით დატოვებული ნაოფლარი რამდენიმე საათის განმავლობაში ცეცხლის მსხვერპლი ხდება. იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა გლეხის ოჯახში გაჩენილი ცეცხლი მთლიანად არ სპობს მის შენობებს. ეს ადვილი გასაგებიც არის, თუ წარმოვიდგენთ, რომ სოფლად არავითარი ცეცხლის საქრობი იარაღები არ მოიპოვება.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ხანძარი განუწყვეტელი სტუმარია სოფლის. ის მოულოდნელად, თვალის დახამხამებაში ესხმის გლეხის მეურნეობას თავს, როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში და კიდევ უფრო შემოდგომაზე, როცა სოფლად გროვდება ჭირნახულის ნარჩევის და ჩალის სახით ცეცხლისაგან მოსარიდებელი მასალა.

განსაკუთრებით საშიშია ხანძარი ქართული სოფლებისათვის, რომელნიც თითქმის მთლიანად ხის შენობებისაგან შესდგება. ხშირია მაგალითები, როცა სახლ-კარ დამწვარს, კერა გაციებულ გლეხს სხვა არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ ჩანთა გადიკიდოს და მოწყალების სთხოვრად დაიწყოს სოფელ-სოფელ სიარული.

გარდა ამისა გლეხს მეორე უსაშინელესი მტერიც ჰყავს. ესაა საქონლის ჭირი. ეს სენი საკმაოთ ვრცლადაა მოდებული დღეს ჩვენს სოფლებში და მან, როგორც ვიცით არა ერთი ასეული მსხვილფეხა საქონელი ინაცვალა.

მუშა-საქონელი კი გლეხის მარჩენალია. არა ნაკლები სარგებლობა მოაქვს აგრეთვე ძროხასაც, რომელსაც სამართლიანად ეძახიან ზოგჯერ ოჯახის დედას.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, გლეხის მთავარ სარჩო-საბადებელს ხომ მიწა წარმოადგენს? „პური არსებისა", ხომ უმთავრესად მიწაზე მოდის? როგორ აუტანელ მდგომარეობაში ვარდება გლეხი, როცა მას ყანა უმტყუნებს, ან სეტყვა-ნიაღვარის, ან გვალვის, ან სხვა რაიმე მოულოდნელ ხიფათის მოწევით.

ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ უბედურ შემთხვევებში გლეხებისათვის საგრძნობი დახმარების აღმოჩენას. ისეთი დახმარების, რომელიც საშუალებას მისცემს მათ ასეთი უბედურების თავზე დატეხის მეორე დღესვე ფეხზე დადგეს და განაგრძოს საკუთარ მეურნეობის ხელმძღვანელობა.

ამ მიზანს ემსახურება სახელმწიფო დაზღვევა. მისი სააგენტოები უკვე არსებობენ რესპუბლიკის სხვადასხვა პუნქტებში და მუშაობა ამ მხრივ უკვე დაწყებულია. ამას წინათ, მაგალითად, სამტრედიაში შესდგა უბნის მცხოვრებთა კრება, სადაც სახელმწიფო დაზღვევის სამტრედია-ხონის სააგენტოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სააგენტოს გამგემ. კრების დასრულებისთანავე საქონლის სიკვდილით დაზარალებულ გლეხებს იქვე დაურიგდათ ასანაზღაურებელი ჯილდო, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

საჭიროა ამ მუშაობის რაც შეიძლება გაღრმავება-გაფართოება, საჭიროა სახელმწიფო დაზღვევის მფარველობას ფართე ასპარეზი მიეცეს სოფლად. ეს ერთნაირად დამოკიდებულია, როგორც თვით დამზღვევ სააგენტოების მუშაობაზე, ისე ჩვენ ადგილობრივ პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონდომებაზე.

გლეხის მოკეთე.

ქურდები გათამამდენ

(ახალ-აბაშა, სენ. მ.)

აბაშაში და მის მიდამოებში თავი იჩინა ქურდობამ. ამ ერთი თვის განმავლობაში რამოდენიმე ქურდობა მოხდა. ამას წინეთ გაქურდეს ახალ-აბაშის კოოპერატივი და წაიღეს ათას სამასი მანეთის ფართლეულობა. გარდა ამისა კერძო ვაჭრის დუქნიდან გამოიტანეს რამოდენიმე მანეთი.

სოფ. კვათანაში გასტეხეს პატარა სახელოსნო თოფურიასი და აგრეთვე ერთი გლეხის ოჯახიდანაც გამოიტანეს საქონლები. ს. მარანში გასტეხეს კერძო დუქანი. აღმასკომმა ქურდები შეიპყრო. დანარჩენი ქურდობის ჩამდენი პირები არ არიან აღმოჩენილი.

მილიციას არა აქვს კარგათ მოწყობილი აპარატი, რომ ქურდებს ებრძოლოს. ტელეფონით გამოძახებისთვის ფულს ახდევინებენ, რაც მილიციის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული. ამრიგად, ქურდები განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმეს. ს. ნაესაკოვოში გაქურდეს ერთი ხარაზი. გლეხობა შეშინებულია და ითხოვს დახმარებას მთავრობისგან.

ზუბელი.

საზოგადოებრივი მუშაობა მივიწყებულია

(ს. ჭაგანი, ქუთ. მ.)

ჩვენს თემში გაჭრილია და გაფართოებულია ახალი გზები, მაგრამ, რადგან შეკეთებული არ არის, ავდრიან დღეებში ისე ატალახდება, რომ არა თუ ეტლით და ფეხით გავლა, ურმებსაც უჭირს მოძრაობა. თემის თავმჯდომარემ ამხ. ს. თადუმაძემ დარიგება მისცა ხალხს, რომ გზებს შეკეთება უნდათ, მაგრამ ჭაგნის მცხოვრებნი გულავარდნილი არიან. ეზარებათ მუშაობა.

არც გასამტყუნარი არიან, რომ თქვას კაცმა. და აი რატომ: ერთი რომ, ჭაგანი, როგორც ყოფილი თემი კულაშზე მაწერეს, მეორე, ბიბლიოთეკა - სამკითხველოში ჟურნალ-გაზეთები არ მოგვდის, მესამე, რაც უფრო აწუხებს მცხოვრებთ, ეს კოოპერატივის საქმე. კოოპერატიული ვაჭრობა უკვე აღარ არსებობს და მცხოვრებნი ჩავარდნილი არიან ჩარჩ-ვაჭრების ხელში.

დღეს ლანირ-ჭაგნის კოოპერატივი არის სამტრედიის „ეპო"-ს განკარგულებაში. იქ ვაჭრობაა გაჩაღებული, ხოლო ჭაგნელები კი ხახა-მშრალი დარჩენ!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამტრედიის „ეპო"-ს გამგეობა და აგრეთვე ცეკავშირი დაგვიბრუნებენ და გაგვიხსნიან ჭაგანში კოოპერატიულ ვაჭრობას დამოუკიდებლად ლანირ-ჭაგნისა.

სპირიდონ ხვიჩია

უშედეგო ცდა

(ბორჯომი)

ერთი თვის წინათ მეფუტკრეთა ერთმა ჯგუფმა, მოინდომა აქ სარაიონო მეფუტკრეთა საზოგადოების შექმნა. მიზნათ ქონდათ დასახული გლეხობაში მეფუტკრეობის გავრცელება. კრების მიერ არჩეული იქნა გამგეობა..

წარმოკავშირიდგან ამ საქმის მოსაგვარებლათ მოვიდა ინსტრუქტორი, რომელმაც აიყვანა აღრიცხვაზე ჩვენი თემების მეფუტკრეები. მან მეფუტკრეთა რიცხვი სცნო მცირეთ და არ გვირჩია მარტო მეფუტკრეთა საზოგადოების დაარსება. ინსტრუქტორმა უფრო სასარგებლოთ დაინახა სხვადასხვა სახის წარმოებათა კოოპერატიულად გაერთიანება.

გამგეობამაც ეს მიზანშეწონილად სცნო და დანიშნა 26 იანვრისთვის საერთო კრება. სადაც უნდა დასწრებოდა თითონ ინსტრუქტორიც. გლეხებმა თავი მოიყარეს, მაგრამ ვინაიდგან თბილისიდგან ინსტრუქტორი არ მოვიდა, კრება აღარ შესდგა და გლეხები უიმედოთ წავიდნენ თავიანთ სოფლებში.

ვინაიდან ასეთი საზოგადოების დაარსება არ მოხდა, სასურველი იქნებოდა საკრედიტო ამხანაგობას მაინც თავისი განყოფილების ერთი ნაწილი ბორჯომშიაც გაეხსნა. საკრედიტო ამხანაგობის დახმარებით სოფლის მეურნეობა დადგება სათანადო სიმაღლეზე და გლეხობის ეკონომიური პირობები გაუმჯობესდა.

მეფუტკრე ბერუჩიანი.

წერილებიდან

ს. ცაიში (ზუგდ. მ.)

ჭირვეული ქმარი. აქაურ მცხოვრებმა ანტონ ფეტელავამ ჭკუა ვერ ისწავლა. რამოდენიმე წელია ის აწამებს ცოლს, სცემს და უკმეხი სიტყვებით უმასპინძლდება. რას აკეთებს ქალთა განყოფილება?

მარ ია.

ს. დილიკაური

— **ვენახები ფართოვდება.** ღვინოზე ფასის მომატებამ მეტად წაახალისა გლეხობა ახალი ვენახების მოშენებისაკენ. უკანასკნელ ხანებში მრავალი მიწები დამუშავდა. ძალიან ძვირად ფასობს სანამყენე ვენახი. საჭიროა გლეხებს ნისიად დაეთმოს სანამყენე ვენახები.

ა. სალაძე.

ლესიჭინის თ. (ზუგდ. მ.)

— **რას უცდიან?** გასულ სექტემბერში მიიღო ჩვენმა თემ-აღმასკომმა განკარგულება დაემზადებია ტელეფონის ხაზის გამოსაყვანად 60 ბოძი. მას შემდეგ ოთხი თვე გავიდა, ბოძები ზოგი გზაზე ყრია და ზოგიც ტყეში ლპება უპატრონოთ. საჭიროა ამ საქმის დაჩქარებით მოგვარება.

ნ. სიჭინავა.

ს. დილიკაური (შორ. მ.)

— **ფოსტა დაგვიარსეთ.** ჩვენი სოფელი მოშორებულია ზესტაფონს 9-10 ვერსით. გზები არ გვივარგა. ამიტომ გლეხკაცობას მეტად უძნელდა ფოსტის სარგებლობისათვის ასეთი მანძილის მოვლა. დღეს ეს სიძნელე გადალახულია. დილიკაურში დაარსებულია ფ.-ტელ. განყოფილება, რომელიც ადგილობრივ აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციებს.

ამბრ. სალაძე.

ქვალონის თ. (ზუგდ. მ.)

— **აფთიაქი არა გვაქვს.** ჩვენი თემის მოსახლეობა დაავადებულია ციებ-ცხელებით. ხშირია შემთხვევა, როცა წამლის გულისთვის გლეხს ახალ-სენაკში უხდება სიარული. კარგა ხანია ვითხოვთ აფთიაქის დაარსებას: ვიმედოვნებთ, მაზრის განყოფილება გვაკმარებს ლოდინს.

ნატაშვილი.

საგარეჯო (გარე-კახეთი)

— **თეატრი გამოცოცხლდა.** ამ ბოლო ხანს ჩვენს თეატრს დიდი გამოცოცხლება ეტყობა. ყოველ კვირაობით იდგმება წარმოდგენა. გარდა ამისა იმართება ლექციები და ეწყობა ლიტერატურული გასამართლებანი. თვეში ორჯერ ჩვენ სცენას უწევს ხოლმე მოძრავი კინო.

გ. გარსიაშვილი.

ქვემო ავჭალა (თბილ. მ.)

— **გადამდები სენი.** სამიკიტნოებში სიარული გადამდებ სენათ გადაიქცა ჩვენს სოფელში. მიკიტნების მოქნილ სიტყვას ვეღარავინ აღწევს თავს. თემისაბჭოს თავმჯდომარეც კი ხშირათ სამიკიტნოშია და იქ ატარებს დროს. მისგან მაგალითს ღებულობს სხვებიც და უკანასკნელ კაპეიკებს მიკიტანს უტოვებენ. კარგი იქნება ვინმე იზრუნებდეს წითელ სასადილოს დაარსებისათვის.

გალეტი.

ს. ნიკორთი (გორ. მ.)

— **რა იქნა ფული?** გლეხებში შეკრებილ იქნა 18 ფუთი სიმინდი. გლეხკომის თავმჯდომარის ამხანაგმა პავლე გოგალაძემ ეს სიმინდი ხალხის დაუკითხავათ წაიღო ხაშურში, გაჰყიდა და ფული რას მოახმარა არავინ იცის. ამ საქმეს გამორკვევა უნდა.

მნაზველი.

ს. პიპილეთი (რაჭა)

— **მხიარული სტუდენტი.** თადეოზ ბაკურაძეს თავი მაღლა მოაქვს. რაც უნდა იყოს სტუდენტია. ამას წინათ ეს სახელო სტუდენტი თავის ამქარით ეწვია მეზობელ ქვრივს. მასპინძელმა, რითაც შეეძლო პატივი სცა. როცა თადეოზი გამოთვრა, პურ-მარილის გარდა სხვა უსინდისობაც მოინდომა და დაუწყო ხვევნა-კოცნა მასპინძელს. შეშინებული მასპინძელი მეზობლისას გადავარდა სტუდენტ თადეოზისგან თავის დასაღწევათ. ადგილობრივ კომკავშირის უჯრედმა უნდა მიიღოს ზომები თავხედ ბაკურაძის წინააღმდეგ.

სარდაფიშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **სამხრეთ ოსეთში** სოფელ ახალ-გორში გაჩნდა საქონლის ჭირი. ექიმი და შრატი გაიგზავნა.

— **ბორჩალოსა და აჭარისტანში** საქონლის ჭირი საგრძნობლად შენელდა.

— **ს. ახალდაბაში** (გორ. მ.) გაიხსნა საფოსტო განყოფილება.

— **სიღნაღის** აღმასკომმა მაზრისათვის ჩრდილოეთ კავკასიიდან მიიღო 10 ვაგონი სიმინდი.

— **ზუგდიდის** წითელი ჯვარის განყოფილებას ამ ჟამად ჰყავს 1000 წევრი.

— **ს. ხელიბში** (გორ. მ.) გაიხსნა საფოსტო განყოფილება.

— **წითელი ჯვარის** სიღნაღის განყოფილებამ გასულ წელს უღარიბეს გლეხების სამკურნალოდ დახარჯა 900 მან.

— **ფოსტის სააგენტო.** სად. რიონში გაიხსნა ფოსტის სააგენტო, რომელიც აწარმოებს ყოველგვარ საფოსტო საქმეებს.

— **ფოთის** ქალაქის აღმასკომმა აღრიცხვაზე აიყვანა და პენსია დაუნიშნა 73 წითელ-არმიელთა და დასაჩირებულთა ოჯახს.

— **ცაგერის** აღმასკომმა და გლეხკომმა დაადგინეს ლოტოდან შემოსული თანხა [illegible] გადასდოს ღარიბ-ღატაკთა დასახმარებლად.

სამეცნიერო დაწესებულებაში

რადიო-სადგური ფიზიკურ ობსერვატორიაში

რამოდენიმე დღის წინათ საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიაში მოწყობილი იქნა რადიო-სადგური, რაც საშუალებას მისცემს ობსერვატორიას წინასწარ გამოიცნოს ამინდი.

ამიერიდან ამინდის გამოცნობა დაკისრებული ექნება ობსერვატორიის სინოპტიკურ (ამინდის გამომცნობ) განყოფილებას. პირველად ეს განყოფილება თბილისში დაარსებული იყო 1915 წელში და მისი დანიშნულება იყო ამინდის გამოცნობა მომქმედი არმიისათვის; მაგრამ კავკასიის თავისებურ კლიმატიურ და ტოპოგრაფიულ პირობების გამო განყოფილებამ ვერ შესძლო მუშაობის სწორ ნიადაგზე დაყენება. საჭირო შეიქნა კავკასიის გამოკვლევა და შესწავლა ამინდის ცვალებადობის თვალსაზრისით.

1915 წლიდან 1918 წლამდე ობსერვატორიის სინოპტიკური განყოფილება ყოველდღე ბეჭდავდა და უშვებდა კავკასიის სინოპტიკურ რუქებს, რომლების შედგენის დროს ის ხელმძღვანელობდა რუსეთიდან და დასავლეთ ევროპიდან მოსულ მეტეოროლოგიურ დეპეშებით. 1918 წელში მეტეოროლოგიურ სადგურებთან კავშირის შეწყვეტის გამო განყოფილება დაიხურა.

საქართველოს სინოპტიკურ გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო წმინდა სამეცნიერო მუშაობისათვის, არამედ სოფლის მეურნეობისა, მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის, ამიტომ 1922 წელში გადაწყვეტილი იქნა განყოფილების ხელახლა გახსნა. პირველ ხანებში შეუძლებელი შეიქნა მეტეოროლოგიურ რადიო-ცნობების მიღება, ამიტომ განყოფილებამ გადაწყვიტა უარი ეთქვა ყოველდღიური ბიულეტენების გამოშვებაზე და მთელი თავისი ყურადღება შეაჩერა სინოპტიკური მასალების დაგროვებაზე და საქართველოს სინოპტიკური პირობების გამოკვლევაზე.

ამ მხრივ დიდი მუშაობა იქნა შესრულებული. მაგრამ განყოფილების ერთიერთი მთავარი ამოცანა — ამინდის გამოცნობა ვერ ხორციელდებოდა რადიო-ცნობების უქონლობის გამო. საჭირო შეიქნა სეკუთარი რადიო-სადგურის აგება. სადგურის მოწყობა დაიწყო გასული წლის გაზაფხულიდან და დამთავრდა რამოდენიმე დღის წინად. ეხლა ობსერვატორიის საშუალება აქვს საქართველოს სადგურების გარდა მეტეოროლოგიური ცნობები მიიღოს პარიზიდან, კენიგსვუსტერგაუზენიდან, ქაირიდან, ფეოდოსიიდან და სხვა ქალაქებიდან.

სინოპტიკურ რუქებში, რომლებიც შედგენილი აქნება ამ ცნობების მიხედვით, აღნიშნული იქნება ამინდის მდგომარეობა ევროპაში, ატლანტიის ოკეანეზე, აზორის კუნძულებამდე, ჩრდილოეთ ამერიკაში, მცირე აზიაში, ციმბირში, თურქესტანში და სპარსეთის ყურეში.

ბრძოლა ხანძართან

ხანძრების რაოდენობა

თბილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის სამმართველოს ცნობით: 1921 წელს თბილისში ადგილი ჰქონია ხანძრის 224 შემთხვევას და დაწვარა 8 სახლი; 22 წელში—309 შემთხვევას; 23 წელში—312; 24-ში—36 და 25-ში 546, მაგრამ არც ერთი სახლი არ დამწვარა.

ბრანდმაიორის ამხ. ბერიძის სიტყვით, ხანძრები ქალაქში გამოწვეულია უმთავრესად მოსახლეობის შემჭიდროებით. ამის გარდა ხანძართა 50—60 პროც. გამოწვეულია საკომურების უვარგისობით, რომელიც სპეციალური, ბუხრების მწმენდავი გუნდის შექმნით შემცირებულია 3 პროცენტით.

ახალი ხელსაწყოები

თბილისის ცეცხლის მქრობელ რაზმმა საზღვარ-გარეთიდან მიიღო ცეცხლის საქრობი ახალი ავტომანქანები და ავტომატიური კიბეები.

მეცნიერება და ტეხნიკა

ავტომობილები რკინისგზაზე

საფრანგეთში უკანასკნელ ხანებში აწარმოებენ ცდებს რკინისგზებზე ბენზინის მოტორიან ვაგონების შემოსაღებათ.

ინტერესს მოკლებული არ იქნება წევის ამ ახალი საშუალების განვითარების ისტორიასთან გაცნობა. პირველი ცდები ამ მხრივ დაიწყო მხოლოდ 1921 წლის ოქტომბერში.

ცდები მოახდინეს ჩვეულებრივი ავტომობილებით, რომელსაც რეზინის ბორბლები ვაგონის ბორბლებით შეუცვალეს. ამ ცდების მიხედვით აგებული იქნა პირველი სპეციალური ვაგონი, რომლის გამოცდამ, დაწყებულმა 1922 წ. მარტში (25.000 კილომეტრის მანძილზე), იმდენათ საინტერესო შედეგები გამოიღო, რომ საფრანგეთის სახელმწიფო რკინისგზების სამმართველომ დაუკვეთა ასეთი ვაგონი. 60 ძალიანი ბენზინის მოტორი, რომლითაც პირველ ხანებში სწარმოებდა ცდები, არასაკმაო ძალიანების მქონეთ იქნა ცნობილი და ახალ ვაგონებზე დადგმული იქნა 85 ძალიანი მოტორი.

ამრიგად აგებული რამოდენიმე ვაგონით, რომლებზეც დადგმული იყო ბენზინის მოტორები, 1925 წ. დასაწყისიდან მოახდინეს სერიოზული ცდები. ამ მიზნით ისინი გაუშვეს სხვადასხვა ხაზზე, სადაც ხელის სხვადასხვა პირობებია. მათ საერთოდ გაიარეს 120.000 კილომეტრი. ამ ხნის განმავლობაში ვაგონებს დაუზიანდა ზოგიერთი მეორე ხარისხოვანი ნაწილები, მაგრამ არ ჰქონებია ადგილი არც ერთ ისეთ მოვლენას, რომელიც შეიქმნებოდა შემდეგში ცდების წარმოებაზე ხელის აღების მიზეზათ.

ცდებს დიდი ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი დე-მონზი, რომელმაც იანვრის ბოლო რიცხვებში საცდელი მოგზაურობა მოახდინა პარიზ-ვერსალის ხაზზე.

ვაგონი, რომლითაც იმოგზაურა დე-მონზიმ, საკმაოდ დიდი ზომისა არის. მთელი მოწყობილობით იწონის 900 ფუთს, ვაგონი შესდგება განყოფილებიდან, სადაც მემანქანე (შოფერი) ზის, საბარგო განყოფილებიდან 2.0000 კილო (125 ფუთი) ბარგისათვის და ორი მეორე კლასის განყოფილებიდან. ამ მოტორიან ვაგონს კარგ გზაზე მიჰყავს კიდევ ორი ვაგონი, უფრო ცუდ გზაზე კი ერთი. ამრიგად მატარებელში პირველ შემთხვევაში არის ადგილი 100 მგზავრისათვის, მეორე შემთხვევაში კი—50-სათვის. ასეთი მატარებლის ნორმალური სისწრაფე უდრის 50 კილომეტრს საათში, ცალკე მოტორიან ვაგონს შეუძლია 72 კილომეტრის გავლა.

წევის ამ საშუალების მთავარი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა სათბობ მასალის დიდ ეკონომიას ორთქლით წევასთან შედარებით, მეორე ხარისხოვან ხაზებზე, სადაც მიმოსვლა სუსტია. ძალიან ფრთხილი გამოანგარიშებით მოტორიანი ვაგონით ერთ კილომეტრის გავლა ორი ფრანკი ჯდება, ჩვეულებრივი მატარებლით კი 5 ფრანკი.

საბჭოთა სასამართლო

შიო „მოჩხუბარიძე“

მუშათა ცენტრალურ კლუბში ერთი აურზაურია.

— გამიშვით, მაგას უჩვენებ...

— ამხანაგო მასურაძე, როგორ შეიძლება კლუბში ჩხუბი და აყალ-მაყალი, თქვენ, როგორც კომკავშირელს და კლუბის წევრს, ეს არ გეკადრებათ, მიმართავს დამკვლავებულ შიო მასურაძეს კლუბის გამგეობის წევრი.

— თქვენ ვისი მატრაკვეცი ხართ...

ენა ჩაიგმიდეთ...

შიომ მოწინააღმდეგეს ლაზათიანი სილა გააწნა და მხოლოდ შემდეგ მოახერხეს მისი კლუბიდან გაყვანა.

გამგეობა ადგენს: მასურაძეს ჩამოერთვას საწევრო წიგნაკი და გამორიცხულ იქნეს კლუბის წევრობიდან.

6 თებერვალს შიო ჩვეულებრივ გალეშილი მთვრალი მიადგა კლუბის კარებს და ამოიღო წიგნაკი.

— ვეუბნები თქვენი წიგნაკი, თქვენ კი მობრძანდით, კლუბში არ გიშვებენ,—მიმართავს კანტრალიორი.

— დაიკარგე აქედან,—შიომ უჩვენა მუშტი.

— ამხანაგო, მოგიწოდებთ დაიცვათ კლუბის წესი.—ჩაერია სამეურნეო ნაწილის გამგე შერაშენიძე.

— აი თქვენი წესი...

შიომ ერთი მაგრად უთავაზა გამგეს.

კლუბმა გამოიხმო დამხმარე ძალა. გამოჩნდა მილიციელი კვერთხით. შიომ შეუტია მილიციელს, აართვა კვერთხი და თავზე გადაამტვრია.

დიდი ვაი-ვაგლახით შიო მიიყვანეს კომისარიატში.

სასამართლომ შიო „მოჩხუბარიძეს“ შეუფარდა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გაუსწორებელი

არამ მურადოვი ცოტას [illegible].

სასამართლომ 7—8 თვის წინად გადახედა მის საქმეებს შეებრალა არამი, რომელსაც კარგა არ უქადდა ასეთი ხერხი და გადასწყვიტა მისი გასწორება,—მოათავსა გამასწორებელ სახლში.

არამმა დაჰყო ეს ვადა გამასწორებელ სახლში, მაგრამ გამოვიდა თუ არა გარეთ, მაშინვე ბაზრისაკენ გაექანა „სანადიროდ“. მოუცოცდა ერთ ვაჭარს ჯიბეს; ის იყო ერთი თითით მოაცოცებდა ჯიბიდან 16 მანეთს, რომ სტაცეს ხელი.

სასამართლომ ნახა არამი გაუსწორებელი, დარწმუნდა, რომ მის გასასწორებლად საჭიროა მეტი ვადა და იგივე გაგზავნა გამასწორებელ სახლში უკვე ორი წლის ვადით.

მკვლელობა

[illegible] საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ფურცაძის თავმჯდომარეობით გაირჩა მოქ. ვახტანგ გურამიშვილის საქმე.

ვახტანგ გურამიშვილი 19 წლის ახალგაზრდაა. გასული წლის აგვისტოში, როცა მისი მშობლები სააგარაკოთ იყვნენ წასული, ვახტანგის ბინაზე ხშირად იკრიბებოდნენ მისი ამხანაგები და ნაცნობ მეგობრები, ატარებდნენ დროს მუსიკაში და ოხუნჯობაში.

ერთ დღეს ვახტანგს ესტუმრა ნაცნობი ქალი თამარ მამაცაშვილი. იქვე იყო ვახტანგის ამხანაგი ჩოქორაშვილი, რომელსაც მოეწონა სტუმარი ქალი და ბოროტმა აზრმა გაუელვა თავში. ეს თავისი ბოროტი აზრი ჩოქორაშვილმა გააცნო გურამიშვილს, რომელმაც ეს უზომოდ იწყინა.. ამ ნიადაგზე ამხანაგებს შორის მოხდა ჩხუბი, რომლის დროს ჩოქორაშვილი მოკვლით დაემუქრა გურამიშვილს.

გურამიშვილი მიდის კომისარიატში და აცხადებს, რომ ჩოქორაშვილი მას სიკვდილით ემუქრება. ამის შემდეგ ჩოქორაშვილი [illegible] მეგობრებთან ერთად მიდის გურამიშვილის ბინაზე. გურამიშვილს კვლავ უსიამოვნება მოსდის ჩოქორაშვილთან სტაცებს ხელს თოფს, რომელიც მას წინდაწინვე ჰქონია მომზადებული, და ჰკლავს ჩოქორაშვილს.

სასამართლომ ბრალდებულ გურამიშვილს 146 მუხლის ძალით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, ხოლო მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ეს დანაშაული პირველია მის ცხოვრებაში და შესაძლებელია მისი გამოსწორება, სასჯელის მოხდის ვადა გაუნახევრა.

სახალხო კომისართა საბჭოში

ქ. სოხუმში ქართულ ცხრაწლედის სკოლის შენობის გაფართოება.

ქ. სოხუმში ქართულ ცხრაწლედის სკოლის შენობის გაფართოებისათვის საჭირო ხარჯი საქართველოს ფინსახკომის საბიუჯეტო თათბირის დადგენილების თანახმად, განზრახულია 71.665 მან. რაოდენობით. ამ თანხის დასაფარავად სახკომსაბჭომ გადასდო თავის სახსრებიდან 35.832 მან. 89 კ.

კურორტების რაციონალურად გამოყენება.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკის სოც. დაზღვევის სამმართველოს შეადგინონ და წარმოუდგინონ სახკომსაბჭოს კურორტების შენობათა რაციონალურად გამოყენების გეგმა.

სამხატვრო - სააღმშენებლო საბჭოს მოწყობა.

საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან მოეწყობა სამხატვრო - საარქიტექტურო საბჭო, ეკონომიურ საბჭოს მიერ დანიშნულ სპეციალისტ მხატვრებისა და არქიტექტორებისაგან. საბჭოს ფუნქციას შეადგენს პროექტების წინასწარი განხილვა სამხატვრო-სააღმშენებლო თვალსაზრისით.

შეღავათების მიცემა ძმ. ტანტების ცირკისათვის.

ძმ. ტანტემ აღძრეს შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე აკადემიურ თეატრების საგადასახადო შეღავათების მათ ცირკზე გავრცელების შესახებ შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა, რისთვისაც წინადადება მიეცა თბილისის ალმასკომს დააკმაყოფილოს ნაწილობრივ შუამდგომლობა.

მუშა - მოსამსახურეთა სახელმწიფო შენობიდან გამოსახლების საკითხი.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, მუშა-მოსამსახურეთა სახელმწიფო შენობიდან ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ, გადაეგზავნა სახალხო კომისარიატებს წინასწარ გასაცნობად და დასკვნის წარმოსადგენად.

1905 წ. რევოლიუციის 20 წლისთავის აღსანიშნავად

თბ. ალმასკომის საგეგმო კომისიამ 1905 წ. რევოლიუციის 20 წლისთავის აღსანიშნავად გამოიტანა შემდეგი დადგენილებები:

1905 წლის რევოლიუციის სახელობის სკოლები

ეწოდა ოთხწლედიან მეათე შრომის სკოლას (ნაძალადევი, ბაქინის ქ. № 20); შვიდწლედიან მე-32 შრომის სკოლას (ლოტკის გორა № 36) და დიდუბეში კოოპერ. ქ. № 17, 9 წლიან შრომის სკოლას.

„1905 წლის რევოლიუციის ქუჩა“

ჩერქეზიშვილის ქუჩის რკინის გზის ხიდის იქითა მხარეს, სადაც ფაქტიურათ სდებოდა რევოლიუციონური შეტაკებები დაერქვა „1905 წ. რევოლიუციის ქუჩა“.

„ცხრა-ამხანაგთა ბაღი“.

ნაძალადევის სკვერს ეწოდა „ცხრა ამხანაგთა ბაღი“. აქვე აღმართული იქნება ძეგლი მათი ხსოვნის აღსანიშნავად.

მარმარილოს დაფები

ელისაბედის ქუჩაზე (დიდუბეში) და ჯარისკაცთა ბაზარში მდებარე სახლებზე, რომელთაც 1905 წ. მეფის ჯალათები ესროდენ ზარბაზნებს, მიკრული იქნება მარმარილოს ქვის დაფები—შესაფერი წარწერებით.

„ბრძოლის ქუჩა“

ვინაიდან ელისაბედის ქუჩა ამჟამად იწოდება კლარა ცეტკინის ქუჩად და ამ დიდ რევოლიუციონერის ღრმა პატივისცემის გამო უხერხულია ხელახლად აღნიშნულ ქუჩის სახელის გამოცვლა, ამიტომ ელისაბედის ქუჩას მხოლოდ მუშტაიდის შესახვევის იქით მხარეს, რომლის მიდამოებში ხდებოდა უმთავრესად რევოლიუციონერებსა და მეფის ჯალათების შორის სისხლის მღვრელი შეტაკებები, დაერქვა: „ბრძოლის ქუჩა“.

ქრონიკა

თბ. ალმასკომში

— **გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.** თბ. ალმასკომის განათლების განყოფილებამ დაადგინა ალბულაღის 7 წლედის—მეხუთე ჯგუფი გადაკეთდეს ახალგაზრდობის სკოლად.

— **დახმარება სამხედრო ნაწილებს.** თბ. ალმასკომმა აირჩია კომისია ამხ. ამხ. გაბაშელის, ხმალაძის, ბლაგოვეშჩენსკის და წითელ ლაშქრის სამხრეთ განყოფილების წარმომადგენლის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა სამხედრო ნაწილებისათვის დახმარების გასაწევად საშუალებათა გამონახვა.

თბ. დაზღვევის სალაროში

— **დროებით შრომით უუნარ-დაკარგულებს** იანვრის განმავლობაში თბილისის დაზღვევის სალარომ მისცა 91.584 მან.

— **დაზღვეულ მშობიარეებს** ახალდაბადებულთათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად სალარომ იანვარში გაიღო 12.485 მან,

სხვადასხვა

— **მეტყევეთა ყრილობა.** 17 თებერვალს ბორჯომში შესდგება ბორჯომის სატყეო აგარაკების გამგეთა ყრილობა.

— **აქციზის** საქართველოს საზოგადოებას გასული წლის განმავლობაში შემოუვიდა 27.962 მან.

— **ლითონის მრეწველობის ტრესტში** ამჟამად ითვლება 6 საწარმოო დაწესებულება.

— **ჯაგრის დამზადება.** მიმდინარე წლის განმავლობაში ა/კავკასიის კოოპერატივთა კავშირი და „ზაკგოსტორგი“ დაამზადებენ 3500 ფუთ ნედლ ჯაგარს საზღვარგარეთის ბაზრისათვის.

— **სახალხო მეურნეობის ტრესტმა** დაამზადა მევენახეთა [illegible] 1200 ათასი მეტრი ამერიკული ვაზის ჩამყენი ლერწი.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა კლუბში.** დღეს, საღამოს 5 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შედგება პროფბიუროს შეკრება ამხ. ცინცაძის ხელმძღვანელობით. საღამოს 5 საათზე, პიონერ ხელმძღვანელთა სემინარი.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 9 თებერვალს, საღამოს 9 ს., ჩხუბის დროს ივანე ჰინჩოშვილმა დანით დასჭრა სურენ ტერ-ზიანცი. დამნაშავე შეიპყრეს.

— **ცოლის მოკვლა.** 8 თებ., საღამოს 7 ს., ძველ მანგლისში მოქ. დიმიტრი მიხაილოვმა ხანჯლით მოჰკლა თავის ცოლი აკა. მკვლელი შეიპყრეს.

— **შეპყრობა.** 9 თებ. ქურდობისათვის შეიპყრეს აკოფ მაკირტუმიანცი.

— **ძროხის ქურდი.** დიღომში შეიპყრეს ძროხის ქურდობისათვის კაიზიმა ფირალ-ოღლი.

— **ქურდობა.** 9 თებ. ვერის დაღმ. № 29 გაქურდეს ვალერიან კაკრიაშვილის ბინა.

— ამავე დღეს თეატრის შესახ. № 1 გიორგი ნანეიშვილის ბინიდან მოიპარეს 300 მ.ნ. ნივთები.

— 8 თებერ. ინტერნატის ქ. № 8 გაქურდეს ვალენტინა ბერიძის ბინა.

— 7 თებერ. პროკოფ ჯანჯღავას ბაზარში მოპარეს ნაბადი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

მიგაის გასტროლები

„ევგენი ონეგინი“

როდესაც ლაპარაკია ამა თუ იმ პარტიის შესრულებაზე ისეთი დიდი მსახიობის მიერ, როგორიც არის გასტროლიორი, შეიძლება ლაპარაკი არა საერთო შესრულებაზე, არამედ მხოლოდ ინდივიდუალურ მხარეებზე. მიგაი ასრულებს ამ პარტიას პუშკინის მიხედვით. ონეგინი მის შესრულებაში—არის ყველასადმი გულგრილი, ეგოისტი, რომელიც ფიქრობს მხოლოდ თავის პირად ინტერესებზე—ასეთია ამ როლის გაგება—თუ მხედველობაში მივიღებთ მის პირველ გამოსვლას და შემდეგ მის ყოფა-ქცევას ბალზე ლარინებთან. მაგრამ ბოლომდის ვერ იცავს ამ სახეს და ხშირად მის ასრულებაში გამოსჭვივის ლირიზმი და გულწრფელობა. სწორედ ამიტომ არა სწორად იყო შესრულებული ტატიანასთან შეხვედრის სცენა. აქ საჭიროა არა ლირიზმი, არამედ ირონია. იგივეა ლენსკისთან ჩხუბის სცენაში და დუელის წინ. მაგრამ უკვე ლენსკის მოკვლის შემდეგ ონეგინი ერთბაშად იცვლება, იგი აღელვებულია ახალგაზრდა პოეტის სიკვდილით, მას იპყრობს პესიმისტური სულიერი განწყობილება და სასოწარკვეთილება, რომელიც მას ახასიათებს დიდი მოხელის ბალზედაც. ეს სცენები უფრო სისწორით იქნა შესრულებული მსახიობის მიერ, განსაკუთრებით კარგი იყო უკანასკნელი სცენა ტატიანასთან.

შესრულების უარყოფით მხარეს წარმოადგენს განუწყვეტელი პოზიორობა; ამკარად სჩანს არა გულწრფელობა, არამედ ხელოვნური შესრულება, რა თქმა უნდა ეს გავლენას ახდენს მიუდგომელ მაყურებელზე. არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ ონეგინის პირველი გამოსვლა ლარინებთან. ონეგინი, როგორც კარგად აღზრდილი ადამიანი, თავაზიანად უნდა ექცეოდეს დიასახლისებს.

მიგაის ხმა საშუალო ძალის ლირიული ბარიტონია, მაგრამ ნაზი ტემბრით. ხოლო რაც თვითეულ ფრაზას აძლევს მრავალ ეს არის დახვეწილი დინამიკა სიმღერაში, რაც თვითეულ ფრაზას აძლევს მრავალ ნიუანსებს.

საინტერესოა გრიმიც მხოლოდ მეორე აქტის შემდეგ. ტატიანას პარტიას ასრულებდა მსახიობი ქალი, რომელიც პირველად მღერის თბილისის ოპერის სცენაზე—სკრიშევსკაია. მომღერალს საუცხოვო ხმა აქვს. სჩანს სკოლა. მაგრამ სცენიური შესრულების მხრივ არ სჩანდა, რომ მსახიობი კარგად იცნობდეს ოპერის გმირს. კარგი იყო წერილის სცენა. უკანასკნელი სცენა ონეგინთან არ არის სწორათ გაგებული. უნდა გვახსოვდეს, რომ ტატიანას უყვარს ონეგინი და არ შეუძლია დაფაროს ეს გრძნობა. მსახიობის შესრულებაში არ სჩანდა გულწრფელობა.

დანარჩენი შემსრულებლები ძველებია.

ჰ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

— **„ჯამბაზები“.** 16 თებერვალს, რუსთაველის თეატრში ქართულ საოპერო სტუდიის მიერ წარმოდგენილი იქნება ოპერა „ჯამბაზები“.

— **„ბალ მასკარადი“.** ხვალ, ოპერის თეატრში ახალგაზრდა მომღერლის დ. ანდღულაძის სადებიუტო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „ბალ-მასკარადი“. 10 თებერვლისათვის აღებული ბილეთები გამოდგება ხვალისათვის.

— **„ევგენი ონეგინ“.** შაბათს, ოპერის თეატრში ს. მიგაის მონაწილეობით მეორეთ მიდის ოპერა „ევგენი ონეგინ“.

— **ქართული პანტომიმა.** 18 თებერვალს, რუსთაველის თეატრში წარმოადგენენ თ. გახვახიშვილის პანტომიმას „მზეთა-მზე“.

— **„მგლის კონი“** ხვალ წითელ თეატრში სომხურ სექტორის მიერ წარმოდგენილი იქნება „მგლის კონი“.

— **ლამარა.** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მესამედ გრ. რობაქიძის პიესა: „ლამარა“.

— **რიგოლეტო.** დღეს, ოპერაში მიგაის და სტეპანოვას მონაწილეობით მიდის „რიგოლეტო“.

მუშათა ცხოვრება

ნუ დავივიწყებთ ამ ადამიანს

(სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის საყურადღებოდ)

ბევრი უჩინარი ადამიანი და თავდადებული რევოლიუციონერი შეეწირა მსხვერპლად 1905 წლის რევოლიუციას. ვინც ცოცხალი გადარჩა, მას დღეს შეუძლია იამაყოს იმ წარსულით, რომლისთვისაც იბრძოდა თვითმპყრობელობასთან. მაგრამ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც 1905 წლის რევოლიუციაში დიდი დახმარება გაუწევიათ მებრძოლ რევოლიუციონერთა, როგორც ცალკე პირებისათვის, აგრეთვე მთელი ჯგუფისათვის.

ასეთი ადამიანი იყო 1900 წლიდან 1905-მდე, სანამ მის ქონებას ნაცარტუტად აქცევდა ყაზახთა ბრბო—მარიამ სოლომონის ასული ზედგინიძე. მცხოვრები მთაწმინდის უბანში, წურინოვის სახლებში, რომელიც გამძვინვარებულმა ყაზახებმა დასწვეს 1905 წლის დეკემბერში ამ სახლის წინ გოროდოვოის მოკვლის გამო სადაც სხვათა შორის, მარიამ ზედგინიძის ბინაზე მოჰკლეს ყაზახებმა სტამბის მუშა ამხ. ვასო ხუციშვილი.

სტამბის მუშები მთაწმინდაში ბლომად სცხოვრობდენ და ამ რაიონში დიდი ორგანიზაციული მუშაობაც იყო. ყველაფერი ეს ხდებოდა უმთავრესად ამხ. მაშოს ბინაზე. ამ ბინაზე ხშირად კამოც დაიარებოდა და აქედან მას ბევრი სარევოლიუციო საქმეები გაუკეთებია. აქ იყრიდენ თავს ისეთი ამხანაგები, რომლებიც 1902 წლიდან სათავეში უდგნენ მბეჭდავთა კავშირის მუშებს და მათში პროპაგანდას და აგიტაციას ეწეოდენ მეფის წინააღმდეგ. ასეთები იყვნენ ამხ. ვანო ბოლქვაძე, სანდრო იაშვილი და სხვები. თუ საჭირო იყო ბინა კრებისათვის—მარია ზედგინიძის ბინა მუდამ მზად იყო, დაბეჭდილი ფურცლები უნდა შეენახათ ამხანაგებს—მაშოს ევალებოდა ეს, ციხეში მჯდომი ამხანაგების საცვლები იყო გასარეცხი—მაშო რეცხავდა, ვინმე ამხანაგთან ციხეში რამე იყო გადასაგზავნი—მაშოს ევალებოდა, იარაღი თუ ვინმეს ჰქონდა დასამალავი — მაშოსათვის უნდა ჩაებარებია, როცა ოთახში მის ბინაზე საიდუმლო კრება იმართებოდა, მარიამ ზედგინიძე კარებთან იდგა და საფრთხის მოახლოებისთანავე იმ წამსვე ნიშანს აძლევდა კრება დაშლილიყო. როცა ვასო ხუციშვილი მის ბინაზე მისულიყო, მაშოს გაეფრთხილებია, მაგრამ უკვე გვიანღა იყო—გარედან ყაზახთა ალყაშემორტყმული აღმოჩნდა წურინოვის სახლი...

— „ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ის საშინელი სურათი დღესაც თვალწინ მიდგია. რომ ყოველი გზა მოჭრილი აღმოჩნდა და ბინიდან გასვლა არ შეიძლებოდა, მე და ვასო ერთ კუთხეში გავჩერდით... ოთახში თოფებ მომარჯვებულები შემოვარდენ ყაზახები; გამჩხრიკეს მხეცებმა. ვასო ხუციშვილი მომაშორეს, მე კი ქუჩაში გამომიყვანეს გინებითა და ცემა-ტყეპით... შემდეგ ოთახში რომ შევიხედე, ვასო ხუციშვილი უკვე იატაკზე მკვდარი ეგდო, ოთახს კი ყაზახები ძარცვავდნენ“.

— ასე მოგვითხრობს ამხ. მაშო წარსულის ისტორიას.

თვითონ უგემია მეტეხის ციხე ამას შემდეგ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მან ყველაფერი იცოდა და ყველა რევოლიუციონერებს იცნობდა, მაინც არავინ არ დაუსახელებია. მაშინ მისი ბინის დაწვით მას ყველაფერი დაუწვეს ჯალათებმა და არაფერი არ გადარჩენია. ცოცხალი კი დარჩა, მხოლოდ ეხლა ძალა აღარ შესწევს ვინმესთან მივიდეს და უამბოს თავის გაჭირვებული მდგომარეობა.

განიცდის უკიდურესს გასაჭირს. როგორც მოხუცს და პენსიონერს, იძლევა თვეში... **3 მანეთი.** სარეცხის რეცხვით კიდევ რამდენიმე გროშებს შოულობდა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში სარეცხსაც აღარ აძლევენ.

მაშო ზედგინიძის ქვრივი ღირსია ყურადღების, როგორც 1905 წლის რევოლიუციის ერთი დაუღალავი მოღვაწეთაგანი, ის სცხოვრობს მალაკანთა ქუჩაზე, № 25, ერთ პატარა კუთხეში.

მუშკორი **ყ—ნი.**

არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის

რკინის გზის სამმართველოებმა და დაწესებულებებმა შარშან ზოგიერთი მუშა-ხელი აღრიცხვიდან მოხსნეს და კომისარიატებზე გადარიცხეს.

რკინის გზის დაწესებულებებმა მათ სათანადო ქაღალდები მისცეს კომისარიატებში წარსადგენად. მუშებმა დროზე ჩააბარეს ეს ბარათები კომისარიატში და კომისარიატებმა რომ აღრიცხვაზე აიყვანეს, მუშებს სამაგიეროდ მისცეს სააღრიცხვო ბარათები.

უკვე გავიდა ერთი წელიწადი და მუშებს პასუხისგებაში აძლევენ, ვითომდა გვიან გამოცხადებისათვის.

რას ჰგავს ეს?

თუ მუშა დროზე არ გამოცხადდა აღრიცხვაზე, რატომ მაშინვე არ გამოუძახეს მათ და ან რატომ არ ჩაუწერეს მაშინ პირად ბარათში დაგვიანება, რომ მას გასამართლებელი საბუთები მაშინვე წარედგინა.

რაღა გაახსენებს უსწავლელ მუშას, როდესაც უკვე განვლო ერთმა წელმა, იქნებ სულ დაწესებულებაც არის დანაშაული დროზე მის გამოუცხადებლობის.

მუშკორი **დარდი.**

პასუხად „შემთხვევით დამსწრეს“

გაზეთ „კომუნისტის“ № 288 „შემთხვევით დამსწრემ“ მოათავსა შენიშვნა, სადაც მან წაუყენა ბრალდება სამტრედიის რკინის გზის კლუბის დრამწრეს შალიკაშვილის პიესის დამახინჯებაში. ეტყობა შენიშვნის ავტორი თვით ვერ ერკვევა იმაში, რასაც სწერს.

პიესა „არამზადები“, რომელზედაც მოგვითხრობს „შემთხვევითი დამსწრე“, ეკუთვნის ვ. შალიკაშვილს. როგორც სჩანს „შ. დ.“-ს ის მიუღია შალიკაშვილის მეორე პიესათ: „უნიადაგონი“, და აღშფოთებას გამოსთქვამს ამ პიესის დამახინჯებაზე, მაშინ, როცა ჩვენი კლუბის სცენაზე 29 ნოემბერს 1924 წლისა მიდიოდა „არამზადები“.

ამიტომ „შ. დ.“ საყვედური მიგვაჩნია გაუგებრობათ და როგორც ასეთი შეუძლებელიც არის ამ შენიშვნაზე რაიმე არსებითი პასუხის გაცემა.

სამტრ. რკ.-გზის კლუბის გამგეობის თავმჯდომარე: **ა. კორძაია.**

უსამართლობას ბოლო მოუღეთ

დაბა ხაშურში არის მცხოვრები, 65 წლის მოხუცი, ხელობით მჭედელი ლეონტი გვენცაძე რომელიც ორმოცი წელიწადია ამ ხელობაზე მუშაობს და მთელი ამ ხნის განმავლობაში მას არავითარი მრუდი საქმე არ მიუძღვის არავის წინაშე. მოქ. გვენცაძე მიუხედავად იმისა, რომ ის მოხუცია, მაინც თავისი პატიოსანი და დაუღალავი შრომით არჩენს ცოლშვილს, ცხრა სულის რაოდენობით (ყველა ქალებია). მიუხედავად ამისა მას ავიწროვებენ ზოგიერთი პირები. ამ რამოდენიმე კვირის წინათ მას ჩამოართვეს სამჭედლო დარაბა, რომელშიაც ის მუშაობდა. არავითარი სხვა ქონება არ გააჩნია გვენცაძეს, გარდა ამ სამჭედლოსი. აღსანიშნავია ისიც, რომ დარაბა სულ უბრალო ნახევრად დანგრეული შენობაა, რომელიც არავითარ დაწესებულებათ არ გამოდგება, გარდა სამჭედლოსი. სხვათა შორის იყო მაგალითი „ეპო“-ს ფონდში გადასული საუცხოვო შენობა დაუბრუნა ალმასკომმა პატრონს, რომელიც უამისოდაც კარგათ სცხოვრობდა.

დღეს საბრალო მოხუცი თვალცრემლიანი ხან ვის შესჩივის და ხან ვის თავის გაჭირვებას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა დაიცვას მშრომელის ინტერესები.

მუშკორი **მილიციელი.**

მადლობის ღირსია ასეთი მუშა

რკინის გზის საკავშირო და საელექტრო - ტეხნიკურ დარგში მსახურობს უფროსის თანაშემწედ ალექსანდრე ნავროზაშვილი, მისი ყოფაქცევა და მოქმედება მეტად სასიამოვნოა და გულწრფელი მუშებისადმი.

არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა ასეთი მაგალითი, რომ მუშა მიმართავდა მას თავის ოჯახურ გასაჭირზე, იგი მას მუშურ დარიგებას მისცემდა და მასთან ერთად აკმაყოფილებდა კანონიერ ფარგლებში და აი ამიტომაც ჩვენ ის გვიყვარს და არა იმისათვის, რომ იგი უფროსის თანაშემწეა, არამედ როგორც მუშა და მუშის მეგობარი.

ჩვენი მუშური მადლობა მას.

მუშკორი **ია.**

მოუშალეთ ეს გარყვნილების ბუდე

ბათუმის ქუჩაზე სახ. № 2-ში სცხოვრობს, მოქ. ბარბალე ქიქამვა, რომელთანაც ხშირად მოდიან ვილაც საეჭვო პირები და დღე და ღამე მასთან მოურიდებლად ქეიფობენ. ამ ეზოში სულ მუშები სცხოვრობენ და დღელილ-დაქანცულთ მოსვენება არ აქვთ ამ ავარებისაგან. როცა ამ ქალს მიმართეს დარიგებით, მან ასე უპასუხა: მე ისეთი კაცები მყავს, რომ მთელმა დიდუბემ რომ მიჩივლოს, მაინც ვერას დამაკლებენ.

იმედია მე-12-მეტე კომისარიატი ამ გარყვნილების ბუდეს მოსპობს.

მუშა—ვ.—**ნ. ბ.**

ჩვენც ხალხი ვართ, მოგვაქციეთ ყურადღება!

სად არ გინდათ, რომ სინათლე არ გაიყვანეთ. მაგრამ რაღა დააშავა ალექსანდროპოლის ქუჩამ მე-8 სამილიციო უბანში, ეს ჩვენ არ ვიცით [illegible] არის, [illegible] ყველგან სინათლე გაჰყავთ.

ამ ქუჩამ რაღა დააშავა?

საჭიროა ამ ქუჩასაც ეღირსოს სინათლე, ვინაიდან სიბნელეში ვიმყოფებით.

მუშკორი **ია.**

[illegible] წერილებიდან

— **ნათლიმამობა ყველგან სჭრის.** სოფ. ცაცხვში არის რკინისგზის ბაქანი, სადაც არის დარაჯად ამავე სოფლის კარგა შეძლებული მოქ. ნესტორ კობახიძე. მისი ცოლი კი სოფ. ცაისში მასწავლებლად არის. ნესტორი არ იყო კავშირის წევრი და არც უმუშევართა სიაში იყო გატარებული. ისე „ნათლი-მამობით“ იქნა დაყენებული სამსახურში და ის უკიდურესად ღარიბი გლეხობა, უსახლ-კაროენი, რომლებიც იყვნენ გატარებული უმუშევრად და კიდეც ქონდათ ნათხოვნი ეს ადგილი, დარჩნენ უმუშევრად იმიტომ, რომ მათ არ ქონდათ საშუალება ყოველ დღე ექეიფებიათ აქაური გზის ოსტატი და სხვადასხვა მოსამსახურენი.

მუშკორი **ვალი.**

— **მუშები დახმარებას მოითხოვენ.** დ. საჩხერეში არსებობს რამოდენიმე სამჭედლო. ოსტატებს ვყევართ შეგირდები. მჭედლები ერთმანეთს ჯიბრში უდგანან. ისინი ცდილობენ ერთმანეთზე ადრე დაიწყონ მუშაობა, რომ მეტ ხანს გვამუშაონ შეგირდები და ჩვენი შრომით ისარგებლონ. გვამუშავებენ ნაშუაღამების 1—2 საათიდან საღამოს 5—6 საათამდე. მჭედლებს უჭირავთ დაბის ცენტრი, სადაც უმეტეს ნაწილად გონებრივი მუშაკები სცხოვრობენ, რომელთაც ჩვენ მოსვენებას არ ვაძლევთ, მაგრამ თუ ოსტატებს უთხარით რამე ამის შესახებ, ისინი დათხოვნით გვემუქრებიან.

მოგვექციეთ ყურადღება, საბრალო ნოქრებს, და განგვისაზღვრეთ მუშაობის საათები.

მუშა **დამაკვირდი.**

— **ჩვენი მუშური მადლობა ასეთ ექიმს.** ქ. თბილისის დეპოს მუშას დომენტი ჰელიძეს ჰყავდა ბავშვი ავად, რომლის მორჩენაზე სხვა ექიმები იმედს ვერ იძლეოდნენ, მაგრამ რკინისგზის ექიმმა ამხ. სიხარულიძემ იკისრა ზემო აღნიშნული ავადმყოფის ექიმობა და მუშის შვილი მძიმე ავადმყოფობას გადაარჩინა, და საბრალო მუშა-მშობლის გული გაახარა. ამიტომაც უძღვენით მას ჩვენს მუშურ მადლობას და უსურვებთ მას მომავალშიც მეტ ენერგიულ მუშაობას. სასურველი იქნებოდა, რომ სხვებმაც მას მიბაძონ.

მუშა **ლ. კობახიძე.**

პასუხი ამხ. გაგუას

გაზ თ „კომუნისტი“-ს № 260 ში მოთავსებული იყო წერილი ვინმე მოქ. გაგუასი ასეთი სათაურით: „ამ ექიმს [illegible] მორჯულება სჭირდება“, რაც მიმართული იყო ექიმ ჯაშის წინააღმდეგ. აღნიშნული გაგუა სწერს, თითქოს იგი უდიერათ ეპყრობოდეს დ ზღვეულებს და არა სინჯავდეს მათ სანამდის ვიდრე 2 მანეთს არ მიიღებს [illegible] ავადმყოფებისგან.

ეს ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს და გაუგებრობით [illegible].

ექიმი ჯაში, პირიქით, ენერგიული და პატიოსანი მუშაკია და [illegible] კმაყოფილნი არიან.

პასუხის მგებელი მუშაკი **ხ.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ხუთშაბათს, 11 თებერვალს, ნაშუადღევის 5 საათზე, საქ. კომპარტიის ბინაზე ამხ. მუხიშვილის ოთახში, მოწვეულია „რემედას“-ის საქ. ცეკას და „რემედას“-ის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: ჩოდრიშვილი, ჯაჯაძე, მუშიშვილი, არ. რუხაძე, ატაბეკოვ-ტუმას, ბელიაევი, ჯაიანი, ზაქსს, ქელიძე-ბაგდატიევა, სულუხიძე, კიზირია, ქუთათელაძე, ხახანოვი, მშვილდაძე, „რემედას“-ის თბილისის რაიკომების მდივნები და „რემედას“-ის თბილისის კომიტეტის წევრებისათვის.

რემ. საქ. ცეკ. საორგან. განყოფილება.

საქართველოს სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ახ. ლენინელთა კომუნისტური კავშირის გაერთიანებული უჯრედების [illegible] ყველა წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ აცხადებს, რომ შაბათს, ა/წ. 13 თებერვალს, საღამოს საათზე, უნივერსიტეტის შენობაში შესდგება უჯრედების გაერთიანებული კრება.

დღის წესრიგში სდგას

ამხ. მიშა ოკუჯავას მოხსენება

მე-14-ე ყრილობის შედეგებზე

დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატების აუცილებელია დაუგვიანებლად.

ახ. ლენინელთა სახლის გაერთ. უჯრედის

ბიურო-კოლექტივის მდივანი **ცინცაძე.**

საქართველოს კომკავშირის თბილისის კომიტეტი აუწყებს თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის წევრებს და იმ ამხანაგებს, რომელნიც შემოდიან კომკავშირში და დამტკიცებული უნდა იქნან ორგკოლეგიის მიერ, რომ ხუთშაბათს, 11 თებერვალს, დღის 2 საათზე, საქართველოს კომკავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში (რუსთაველის 20) შესდგება საქართველოს კომკავშირის თბილისის კომიტეტის ორგკოლეგიის სხდომა.

სავალდებულოა დასწრება დაუგვიანებლად.

თბილისის კომიტეტის ორგკოლეგიის გამგე **სალუქვაძე.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ბაიაშვილთან

კაკაბაძე ნიკოლოზ, გურგენიძე არხიპი, სოხაძე ივანე, ტალევოსიანი ტატეოსი, ზურაბოვა გრიგოლ, ბადრიძე ელისაბედ, მჭედლიშვილი ნიკო, ისკანდარიანი ისაკი, ხაჯიევა ელისაბედი, შოგირაძე ვარლამ, კაციტაძე არჩილ, აბრამიძე გრიგოლ და ნიჟერაძე დომენტი.

ქალაქის რაიკომი.

დღეს, 11 თებერვალს, საღამოს 5 საათზ, თბილისის კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებასთან გაიმართება მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებების გამგეების თათბირი. დღის წესრიგში სდგას ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღის—8 მარტის ჩატარების საკითხი.

სავალდებულოა ქვემოდ დასახელებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრება:

პროფკავშირთა საბჭოს, მუშათა მთლიანი კოოპერატივის. პოლიტიკური განათლების სამმართველოს. სახალხო განათლების განყოფილების, ალმასკომის, განათლების სახ. კომისარიატის, ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიის, ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, დამზღვევი კასის საქალთო ქვე-განყოფილების, შინამრეწველობის, იუსტიციის სახ. კომისარიატის, 1, 2, 3 და 4 რაიონის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგეები, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთ განყოფილების, საქართველოს კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილების და პიონერების.

სასურველია მსხვილი წარმოებების ქალთა ორგანიზატორების დასწრება.

ხუთშაბათს, 11 თებერვალს, საღამოს 6 საათზე მე-6 ე უბნის სოლიანლაგო დარგის მუშათა კლუბში შესდგება ლენინის რაიონის ქალთა კომისიების თათბირი ქალთა ორგანიზატორების თანდასწრებით კომპარტიის წევრები და კანდიდატებით.

დღის წესრიგი:

1) საანგარიშო მოხსენებები ქალთა კომისიების თავმჯდომარეების შემდეგი უჯრედებიდან: სამმართველო, საშემოსავლო დარგი, რკ. გზ. ს საავადმყოფო, [illegible] ფარეხი.

2) საინსტრუქციო მოხსენება ქალთა კომისიების მუშაობის შესახებ.

დასწრება ყველა კომუჯრედების კომისიის წევრების სავალდებულოა.

ლენინის რაიონის მდივანი **ქავთარაძე.**

შაბათს, 13 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ლენინის რაიკომის შენობაში შესდგება კომპარტიის განათ. მუშ. კავშირის წევრების და კანდიდატების საორგანიზაციო თათბირი განათ. მუშ. კავშირის კომუჯრედის დასაარსებლად.

დასწრება ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა.

1. ლოლუა პარმენ, მე-4 შრომის სკოლა.
2. ლიპარტიანი მოსე მე.-14 შრ. სკოლა.
3. კავტიაშვილი ხრ. მე 2 კერა.
4. კუკჩეიშვილი ლიდა, მე-5 შრ. სკოლა.
5. ზაჟიალოვი ალექსანდრა, მე-2 რაიონის გან. მუშ. კავ. უჯ. მდივანი.
6. ცივილინი, მე-6 შრ. სკოლა
7. დოლიძე თამარა, მე-3 საბავშვო ბაღი.
8. დოლიძე ვერა, მე-30 შრომის სკოლა.
9. გუხარევი, მე-68 შრ. სკოლა.
0. მ. ხიევი სოფიო, მე-3 კერა.
11. ზარსევოვი ანდრეი, თ. კ. ს. კ. 3.

ლენრაიკომის მდივანი **ქავთარაძე.**

პარასკევს, 12 თებერვალს, დილის 10 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში შესდგება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი: **მიხ. კახიანი.**

განცხადებები

ულრმეს მწუხარებასა შინა მყოფნი მშობლები—საშა და აბესალომ გოდაბრელიძეები, შვილები—შოთა და ქეთევან გოდაბრელიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ პირველის შვილის და უკანასკნელთა დის

თამარა გოდაბრელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 10 თებერვალს 2 საათზე, საჩხერეში. 1.430.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე—ოლინკა, შვილები—ელენე, ტატიანა, ედუკი, აკაკი და ზაქრო, სიძე—სიმონ ცხომელიძე, შვილისშვილები, ეთერი, თინა და ნინა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათთვის

ძვირფასი მღვდ.

ერმალოზ სიმონის ძე

კალანდარიშვილის

გარდაცვალების დღიდან ორმოცი დღის შესრულების გამო ა/წ. 13 თებერვალს, დილით შაბათს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია სოფელ მაკვანეთის (გურიაში) ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი 1,475.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები—გოგუცა, ნუცა, კატუშა, სიძეები—იოსებ კაკაბაძე, ალექსანდრე ლოლაძე, მირონ გრიგოლაშვილი, შვილის შვილები—მარგალიტა, თინა, კაკალო, მარსელინა, ოთარი, კლავდია, ზაქულა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პირველთა დაუვიწყარი საყვარელი დედა და უკანასკნელთა უძვირფასი ბებია

ლირსა მემარიაშვილისა

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 11 თებერვალს, ქუთაისში.

1476. 1—1.

რუსთაველის თეატრი: დღეს, 11 თებერვალს,

ლამარა

გრ. რობაქიძის

ნ. 742 2—2

სახელმწიფო ოპერა გასტროლები

ს. ი. მიგაის და ე. ა. სტეპანოვასი

სამშაბათს, 16 თებერვალს

მიგაი და სტეპანოვა **კ ა რ მ ე ნ**

ოთხშაბათს, 17 თებერვალს

ს. ი. მიგაი **ევგენი ონეგინი**

პარასკევს 19 თებერვალს

ს. ი. მიგაი **დ ე მ ო ნ ი**

კვირას, 21 თებერვალს

მიგაი და სტეპანოვა **რ ი გ ო ლ ე ტ ო**

დღეს 11 საათამდე მიიღება განცხადებები ორგანიზაციებიდან 11—3-მდე იქნება ბილეთების გაცემა.

ნ. 741 საღამოს 6 საათიდან დაიწყება საერთო გაყიდვა. 6—3

„კომუნისტი"-ს რედაქცია გადავიდა

კამოს (ყოფილ დიდი მთავრის) ქუჩაზე

№ 68.

აპოლო [illegible]

ახალი ამ სეზონში

„КИРПИЧИКИ" და პროგრამის გარეშე სენსაციური კომედია „ШАХМАТНАЯ ГОРЯЧКА"

სეზონის საუკეთესო სურათი პოლი ნეგრის მონაწ.

„ი ვ ე ტ ტ ა"

დადგმა მსოფლიო რეჟისორის ერნსტ ლიუბიჩის

„ი ვ ე ტ ტ ა"

ანონსი: სამშაბათიდან „ნიბელუნგები".

0—21 ნ. 609

სახელმწიფო ოპერა დღეს, 11 თებერვალს

მიგაი და სტეპანოვა

„რ ი გ ო ლ ე ტ ო"

(ბილეთები გაყიდულია)

შაბათს, 13 თებერვალს

ს. ი. მ ი გ ა ი ს გასტროლი

„ევგენი ონეგინი"

სამშაბათს, 16 თებერვალს

ს. ი. მიგაი და სტეპანოვა

კ ა რ მ ე ნ ი

ნ. 740 6—1

ხელისმომწერთა და ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპექტი № 24

ტელეფონი № 10—49

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

ლითონის ტრესტი

ამხ. სტალინის სახელობის

ავტო-სახელოსნო

კლარა ცეტკინის ქ. № 119, ტელ. 20—97

ა წ ა რ მ ო ე ბ ს

ავტომობილების, მოტოციკლეტების, ტრაქტორების, აკუმულატორების და სხვა ელექტრო-ტექნიკურ ხელსაწყოების შეკეთებას

ჰყიდის ავტომობილებს, მოტოციკლეტებს და ყოველგვარ სისტემის ავტო-ნაწილებს.

10—3 ნ. 709

ნოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—13

АЛКОГОЛЬНАЯ ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ ЛАБОРАТОРИИ „ГАЛЕН-МОСКВА" в МОСКВЕ
СПОСОБ УПОТРЕБЛЕНИЯ ВНУТРИ КОРОБКИ
АЛКОГОЛЬНАЯ ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ ЖИВОТНЫХ
LIQUOR TESTICULORUM SPIRITUOS
ЛАБОРАТОРИИ „ГАЛЕН МОСКВА" в МОСКВЕ

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ „СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ"

ავადმყოფობათა წამლობა

პროფესორ ბრაუნ სეკარის წესის ხედვ.

„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან".

„გალენ-მოსკოვის" კოოპერატივის ორგანოთერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამზადებულია პროფესორ ბიუხნერის საშუალებების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.

გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას, ყოველი სახის ნევრასტენიას, სხეულის მოდუნებას, სიბერისგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი. მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მილების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ქლექი, შაქრის ავადმყოფობა. ხერხემალის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებს პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.

სეკარის სითხე იყიდება საავთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. სავაჭროს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. კორესპონდენც. და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გ ა ლ ე ნ ი ს" ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. **Адрес:** Зак. представит. коопер. „Гален" Тифлис площадь своб. № 2 Каравая. Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ". Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооператива „Гален-Москва" Москва ул. Герцена. № 5 отд. 3 Б. 425 0—17.

ექიმი **ნ. [illegible]შვილი**

სამშობიარო და ქალის სნეულებანი. მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზოვის) ქუჩა № 22. 25—1

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა 49) ტელ. 4—82.

1355 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმეორებითი რჩევებს აძლევს. ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად

ექ. ე. მ. მ[illegible]ნარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღით 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—1

ექიმი **მ. ა. ლ[illegible]ვსკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან —11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან —6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანის და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8 საათ. ქალების—საღამოთი 5—6 საათ.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტი, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—და სხვ.).

ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია.

საღამოს 4—6 საათამდე

ბელგიის ქუჩა № 1.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი **ა. ს. [illegible]**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად [illegible]). [illegible] და ქირურგიული ავადმყოფობანი, [illegible] ბუასილის, [illegible] სპეცია[illegible] მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—5 საათამდე

ექიმი **გ. ნ. მაჩაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

კბილის ექიმი

ფ. ო. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი

დ. ა. [illegible]ედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს.

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძის ქუჩა (ყოფილი საპიორნი) № 3 25—

დოქტორი **გ. მეჯრაბიანი**

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. მეწუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.

შეზაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან 9 საათ.-დე; ქალები [illegible] საათ. საღამოს.

მისამართი: კამოს ქუჩ. № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33,

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოების ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ბ ა ლ ა ნ ს ი

საქართველოს ს. მ. ს. ს. ქვა-ნახშირის მრეწველობის და მინერალურ სათბობით სავაჭრო შენაერთი „სახელმწიფო სათბობი"-ს

1924 წ. ოქტომბრის 1-ს

ა ქ ტ ი ვ ი

I. ქონება: *)			
1. შენობები და ნაგებობანი	26,5	450.152—45	
2. ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი	13,0	221.272—11	
3. ახლად შეძენილი	1,0	17.476—56	688.901—12
II. დაუმთავრებელი შენობები და კაპ. რემონტი	4,6		79.091—41
III. მასალები:			
1. ძირითადი	7,2		122.151—42
IV. საქონელი და მზა ნაწარმი:			
1. საწყობებში და მაღაზიებში	7,2	121.997—19	
2. გზაში	1,2	20.465—49	142.462—68
V. ფულადი სალარო და ფასიანი ქაღალდები:			
1. სალარო და მიმდინარე ან—ში	0,7	12.765—64	
2. ფასიანი ქაღალდები	—	900—	13.665—64
VI. ანგარიშსავალდებულო თანხები:	0,4		6.768—41
VII. მიღებული გადასახდელები და დოკუმენტ.			
1. მიღებული თამასუქები	4,3		72.827—07
VIII. დებიტორები:			
1. მუშა-მოსამსახურენი	0,6	9.582—94	
2. გამყიდველ-მიმწოდებელნი და მონარდენი.	0,4	6.068—82	
3. მყიდველები	10,8	183.778—76	
4. ს.მ.ს.ს. განყოფილ. და ტრესტები	20,5	347.907—42	
5. სხვადასხვა დები ტორები	1,2	20.586—24	567.924—18
IX. მომავალი საანგარიშო წლის ხარჯები	0,4		6.094—93
ბალანსი . . .	100,0		1.699.886—86

პ ა ს ი ვ ი

I. კაპიტალები:			
1. საწესდებო:			
ა) ძირითადი	39,5	671.424—56	
ბ) საბრუნავი	19,4	330.122—67	1.001.547—23
2. საამორტიზაციო	4,8		81.897—67
3. მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობეს. ფონდი	0,6		10.886—79
II. სესხი და კრედიტები:			
1. ბანკები განაღდებული თამასუქებით	4,3		72.569—52
III. გაცემული თამასუქები:	1,6		27.885—63
IV. კრედიტორები:			
1. მუშა-მოსამსახურენი	1,4	23.054—93	
2. გამყიდველ-მიმწოდებელნი და მონარდენი	21,9	372.173—24	
3. განყოფილ. და ტრესტები	3,2	53.849—57	449.077—74
V. მოგება:			
1. საანგარიშო წელში	3,3		56.022—28
ბალანსი . . .	100,0		1.699.886—86

*) საქართ. ეკონომიურ საბჭოს 1925 წლის სექტემბრის 21, № 27 დადგენილების თანახმად, ნაციონალიზაციის წესით მიღებული ქონება ნაჩვენებია ომის წინადროინდელ მანეთებში.

ბალანსის გარე მუხლები:

მიწის ნაკვეთები: 103,610 კვ. საჟ.—79,890 მანეთი

სახელმწიფო სათბობის მმართველი **მ. ლ. ბორკონი.**

მთავარი ბუხჰალტერი **ზაიცი**

მოგების განაწილება:

მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად	10% —	5.602—23
სამეურნეო გადასახადი	10 „ —	5.602—23
სათადარიგო ფონდში	20 „ —	11.204—46
ხაზინის სასარგებლოდ	37 „ —	20.728—24
საბრუნავი თანხის გასადიდებლად	23 „ —	12.885—12
სულ	100 „ —	56.022—28

ეს ბალანსი განხილულია ს.მ.ს.ს. მთავარ ბუხჰალტერიაში, დამტკიცებულია სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ა.-კ. სახკომსაბჭოს 1925 წლის აპრილის 2, № 18 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

საქ. ს.მ.ს.ს. მთავარი ბუხჰალტერი

პ. ა. ჯანელიძე

ზარალ-მოგების ან-ში

დ ე ბ ე ტ ი. **კ რ ე დ ი ტ ი.**

№№ რიგზე	ანგარიშთა დასახელება	თანხა	№№ რიგზე	ანგარიშთა დასახელება	თანხა
1	საერთო საადმინისტრაციო ხარჯები	65.078 52	1	მოგება საქონლისა და მასალების გაყიდვისაგან	413.429 67
2	სავაჭრო ხარჯები	184.674 72	2	მიღებული პროცენტები	2.028 10
3	გადახდილი პროცენტები	7.449 51	3	სხვადასხვა შემოსავალი	91.952 74
4	ვალიუტის კურსის განსხვავება	84.671 87			
5	ზარალი საეჭვო ვალებისაგან	32.518 53			
6	სხვადასხვა შემთხვევითი ზარალი.	76.995 08			
7	ნამთი (მოგება)	56.022 28			
	ბალანსი . . .	507.410 51		**ბალანსი . . .**	507.410 51

სახელმწიფო სათბობის მმართველი **ბორკონი**

მთავარი ბუხჰალტერი: **ზაიცი**

ნ. 748 1—1

დ. აბაშა

კბილის ექიმ

ა. ნადარეიშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატექნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები.

25-1 № 1306

დაიკარგა ახალგაზრდა კომკავშირის მანდატი, გაცემული დუშეთის ალმასკომიდან № 9437 და საკანდიდატო მანდატი, გაცემული პირველ ქართულ მსროლელი ლეგიონიდან № 2537 ლავრენტი არტემის ძე მეტონიძეს სახელზე ჩ. გ.

1—1 1485

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი ფორმა № 4, მოცემული შორაპანის მაზრის სამხედრო მაგიდის მიერ აკაკი იასონის ძე ტყემალაძის სახელზე. ჩ. გ.

1—1 1484

დაიკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი № 73 პეტრე პეტრიაშვილის სახელზე, ჩ. გ.

1—1 1471

დაიკარგა დამზღვევ სალაროს და მუშკოოპის წიგნაკები ივანე ალექსის ძე ჯავახიშვილის სახელზე, ჩ. გ.

1—1 1474

დაიკარგა მედსანშრომის კავშირის საწევრო წიგნაკი № 5444 ვლადიმერ ბიწაძეს სახელზე, ჩ. გ. 1—1 1477

დაიკარგა სამხედრო ნუსხა კირილე ვ—ძე ესებუას სახელზე, ჩ. გ.

1—1 1478

დაიკარგა კომპარტიის წევრობის მთლიანი პარტბილეთი № 495305 ქიშვარდი ალმასხანის ძე სირაძის სახელზე, ჩ. გ.

1—1 1478

დაიკარგა ს. კ. პ. მთლიან პარტ-ბილეთი № 495336 ალექსანდრე ლუკას ძე გაბისონიას სახელზე, ჩ. გ.

1—1 1478

დაიკარგა ქ. გორის საბჭ. მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 531. მიხეილ სააკაშვილის სახელზე, ჩ. გ.

1—1 1482

დაიკარგა კ. ბაირამოვის 580 ვედრო ზესტაფონიდან ღვინის გადასატანი მოწმობა № 15578. ჩ. გ. 1—1 1481

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 35 ე იუ შალომის ძე მეგრელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 ნ 749

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 4964 და დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 4509 ტატიანა მაქსიმოვიჩის სახელზე, ჩ. გ.

1—1 1485

ექიმი **ზ. ა. თარუმოვი**

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.

მიღება საღამოს 5-დან 6 ნახ. საათამდე სასამართლოს ქ. № 12.

ტელეფონი 22—59.

ქ. ქუთაისის I უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში მე-3-მე ინტერნაციონალის ქუჩაზე, სახლი № 35, დანიშნულია 17 თებერვალს, 1926 წ., დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობა სიმონ ფიჩხაძის ქონების, ოჯახის მოწყობილების, სპერმეტ შკაფის, მაგიდის, კამოდის, კრესლოების, ტანისამოსის შკაფის, პიანინოს და სხვა სახლის მორთულობის, შეფასებულის სულ 321 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე სახელმწიფო ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ.

ნ. 750 1—1

ქ. თბილისის მე-4 უბნ. სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ს. ზავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ ის 16 თებერვალს, დილის 10 საათზე პლეხანოვის ქ ჩა № 97, ქარხანაში მთელბახისა, საჯარო ვაჭრობით გაყიდის მეწარმოებელ კოოპერატიულ არტელის „იმედი"-ს მოძრავ ქონებას, რომელიც შესდგება: სპილენძის კუბისა, გამთბობი მანქანისა, კოლონკისა, გასაციებელისაგან და სხვა სპირტის აპარატის ნაწილებისაგან, შეფასებულს 4.300 მან., თბილისის კომუნალურ ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქალ. თბილისის მე-4 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 29 იანვრის 1926 წ თარიღით № 483, გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 1479. 1—1.

ქ. ქუთაისის I უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში გელათის ქუჩაზე, სახლი № 38, დანიშნულია, 17 თებერვალს, 1926 წ., დილის 12 საათზე საჯარო ვაჭრობა ისხაკ ბიძინაშვილის ერთ-ერთ სართულიანი ქვიშ პალატით ოთხი თვალი ხის სახლის, აგებულის მიწაზე ზომით 300 ოთხკუთხი საჟენი შეფასებული 500 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნულ 311 მუხ. სამ. საპ. კოდექსისა და საწინდარი 10 პროც. შეფასებული თანხისა. ნ. 750 1—1

ქ. ქუთაისის მე-II უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით, აცხადებს, რომ 18 თებერვალს, 1926 წელსა, დილის 11 საათზე ადგილობ ქ. ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ვლადიმერ სიმონის ძე შერძენაძის ქვიტკირის სახლის-მდებარეს იმავე ქუჩაზე, აგებული საგზოვე ნაკვეთ მიწაზე, მიწა ზომით სამოცი კვად. საჟენი, შეფასებული 620 მანეთად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან — შაქრის ტრესტის და სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილების და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად. ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხლ. სამ. საპ. კოდექ. და 10 პროც. საწინდარი. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან, სასამართლოში.

ნ. 750 1—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 15 თებერვალს, 1926 წ., დღის 12 საათზე სახლში № 1, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის არტაშეს კალატოზოვის მოძრავ ქონებას: საწერ. მანქანებს ამ მანქანების ლენტებს, არითმომეტრს და სხვ., შეფასებულს 1160 მანეთად, „სტალპაიტორგის" ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 21 იანვრის და 3 თებერვლის 1926 წ. თარიღით, №№ 194, 332 გაცემულ სასამართლოს ბრძანებებისა. 1486 1—1

Судебный Исполн. Нарсуда 4 района г. Тифлиса К. Пэтемковский

сим объявляет, что 16 сего февраля, в 12 час. дня, им будет продаваться с 1-го публичнаго торга право Нины Васильевны Амашукели на Одну третью часть находящегося по ул. Жореса (бывшей Кирочной) под № 43 двухэтажного кирпичного с канализацией и водой дома с подвалом, в коем 12 комнат, 2 передни, 2 кухни, 2 людские, ванная, под'езд и железный балкон на улицу и одноэтажного кирпичного флигеля о 2 х комнатах с подвалом и кладовкой и деревянным сараем, каковое право оценено в 1100 руб. Торг произойдет в местонахождении этих построек. Покупщики обязаны: 1) представить судебному исполнителю справку потар. отд. Обсуда Вост. Грузии и Коммун. отдела, что ни они, ни их супруги, ни их несовершеннолетние дети не владеют в г. Тифлисе какими-либо строениями, а также дать подписку, что ни они, ни их вышеуказан. члены семьи не владеют строениями в какой либо другой местности, 2) внести 10 проц. с оценки продаваемого права, а остальные покупные деньги в течение семи дней

1483 1—1

ტირაჟი—24.656

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს წულუკიძის ქუჩა № 4